

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
ზუბდინის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

კალისტრატე სამუშია

ქართული ხალხური კოეზიის საკითხები

(მეგრული ნიშნულების მიხედვით)

იოსებ მებრელიძის
რედაქციით



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1979

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქართული (მეგრული) ხალხური პოეზიის შემდეგი ძირითადი საკითხები: 1. მითოლოგიური ლექს-სიმღერები (მნათობთა კულტი, ანიმიზმი, ლაზარობა, კეთილი და ავი სულები), 2. საწესჩვეულებონი, 3. ხალხის ფილოსოფიური შეხედულებანი ცხოვრებისეულ საკითხებზე, 4. სატრფიალო ლირიკა, 5. სოციალური და კლასობრივი უსამართლობა, 6. სამშობლო, 7. თანამედროვე ლექსები, 8. მილექსებისა და გაბაასების ტრადიცია სამეგრელოში.

აღნიშნული საკითხების ძირითად ფონდს შეადგენს კ. სამუშიას მიერ მოპოვებული, ადრე გამოქვეყნებული და ახლად მიკვლეული მასალების უმეტესობა, რომელიც ამ ნაშრომს დაერთვის და დალაგებულია თემატიკური პრინციპით. აქ წარმოდგენილია როგორც ტრადიციული, ასევე საბჭოთა სინამდვილის ამსახველი ლექს-სიმღერები. მეგრულ ტექსტს ახლავს საერთო ქართულ ენაზე სიტყვასიტყვითი პარალელური თარგმანი. ასეთი მოცულობითა და ასეთი პრინციპით „ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით)“ პირველად ქვეყნდება. ეს ნაშრომი სათანადო დახმარებას გაუწევს ქართველურ ტომთა ზეპირსიტყვიერებით დაინტერესებულ ყველა პირს, აგრეთვე სასარგებლო იქნება ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა და ეთნოგრაფთათვის, საერთოდ ქართული კულტურის მკვლევართათვის.

რედაქტორი ი. მეგრელიძე

შესავალი

ეროვნული კულტურის ღრმად შესწავლისათვის რომ ზეპირ-სიტყვიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს საყოველთაოდაა აღიარებული. მას ჩვენშიც, განსაკუთრებით რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი მოღვაწეები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვები — გასული საუკუნის 60-იანი წლებიდანვე აქცევდნენ ყურადღებას. მაგრამ მასალების შეკრება ქვეყნის ყოველ კუთხეში ერთნაირი ინტენსიურობით არ წარმოებდა. გარდა იმისა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის მესვეურნი ბოროტად იყენებდნენ ქართველური ენის, მეგრულის მეცნიერულად შესწავლის ცდას, არც მასალების შემკრები ენთუზიასტები იყვნენ ადგილზე, რის გამოც მეგრული სიტყვიერების ბევრი ნიმუში დაიკარგა და ავტორმტკმელთა რიგი სახელებიც დავიწყებას მიეცა. დღეს ჩვენი საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები დიდი ინტერესით ეკიდებიან ამ ეროვნულ საქმეს. უკვე ყურადღება მიექცა ქართველურ ტომთა ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრებასა და შესწავლასაც.

აღრე უმთავრესად ლინგვისტიკური ინტერესით გამოქვეყნებულ ტექსტებსა და გამოკვლევებზე (აღ. ცაგარელი, ი. ყიფშიძე; შ. ბერიძე, მ. ხუბუა და სხვ.) რომ არ ვილაპარაკოთ, ახლა უკვე ფოლკლორული ინტერესებითაც განპირობებული პუბლიკაციებიც გვაქვს გამოკვლევებითურთ. ასეთთაგან, მაგალითად, გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა ჩვენი წიგნი „ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები)“ (თბ., 1971)¹ და კიდევ მეტი ინტერესი გამოავლინა კრებულისადმი „ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები, 1, პოეზია“². ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდაგამ (თბ., 1975). გამოქვეყნდა აგრეთვე „ქართული ხალხური სიმღერები, მეგრული“³ ჩაწერილია ოთარ ჩიჯავაძის მიერ, I (თბ., 1974)...

¹ ერთ-ერთ გამომხატურებაში ვკითხულობთ: „წიგნი ერთ კვირაში გაიყიდა და დღეს ბიბლიოგრაფიულ იმუიათობას წარმოადგენს“ (გაზ. „კომუნისტი“, 1972, 18 მარტი; შტრ., გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1972, 7 იანვარი).

დიდი საქმეა წამოწყებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში პროფ. მიხ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით „ქართული ხალხური პოეზიის“ კორპუსის გამოცემით, რომლის 6 წიგნი უკვე გამოქვეყნდა. პირადად ჩვენც განვაგრძობთ მუშაობას და მკითხველს ვთავაზობთ წინამდებარე ახალ ნაშრომს, რომელიც შეიცავს გამოკვლევას ამავე ხალხური პოეზიის ძირითად ქანრებზე (იხ. შინაარსი). ტექსტებში დაცულია მთქმელთა მეტყველების თავისებურებები კუთხეთა მიხედვით.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია, მადლობით მოვიხსენიოთ წიგნის რედაქტორი — პროფ. იოსებ მეგრელიძე ამ ნაშრომის გამოსაცემად მომზადების საქმეში მეტად საჭირო და საქმიანი დახმარებისათვის. მის შემდეგ ნაშრომის მეგრული ტექსტები თარგმანებითურთ წაიკითხეს ნიკოლოზ კილანავამ და კორნელი დანელიამ. მათ თავიანთი შენიშვნები გაგვიზიარეს, რისთვისაც მათაც მადლობას ვუძღვნი. გამოკვლევას, როგორც რიგ საკითხთა შესახებ პირველს, ცხადია, ნაკლიც ექნება. საქმიან შენიშვნებს კვლავ მადლობით მივიღებთ და გავითვალისწინებთ მომავალ მუშაობაში.

კ ა ლ . ს ა მ უ შ ი ა

I. მიტური ლექს-სიმღერები

მითების პოეტური მასალის მიხედვით შესწავლა მოითხოვს პროზაული ნიმუშების გათვალისწინებასაც, მაგრამ აქ უკანასკნელთ მხოლოდ აქა-იქ ვიყენებთ, რადგან მათ შესახებაც სპეციალური გამოკვლევა უნდა დაიწეროს.

ორივეს ერთად თანაბრად შესწავლას განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ მეგრული სიტყვიერების ბევრი ნიმუში და ავტორმთქმელთა სახელებიც დაიკარგა. ჯერ მათი კვალის გამოვლენა საჭირო. ეს ნაწილობრივ ხერხდება კიდეც. მაგალითად, გამოვლინდნენ ძველი ავტორმთქმელები: კიპა ფაჟავა, ნაურუზ გრიგოლაია, უზა ქვარაია, პეპუ ქარდავა, პეტრე (პეტრუშა) მეუნარგია, იასონ ხარაშვილი, ლიპარ წითლიძე, ჯურუ შედანი, გვადა არქანია, ლადი სალასია, ლადი გაგუა და სხვები, რომელთა მიერ შექმნილი ლექსები ხალხში გავრცელებულა. არსებობს ცნობა, რომ სამეგრელოში განთქმული მელექსე და მეჩონგურე კიპა ფაჟავა მთავრებს — ლევან და დავით დადიანებს — ჰყავდათ მიწვეული სასახლეში. სამეგრელოში თურქთა შემოსევის დროს (1855 წ.) იგი თავდამსხმელებს ეკატერინე ჰავჰავაძის ჯაშუშად მიუჩნევიათ და სიკვდილით დაუსჯიათ¹.

კიპა ფაჟავასა და პეტრე მეუნარგიას სახელებთან დაკავშირებული ლექსების მცირე რაოდენობა მაინც გვხვდება. დანარჩენი ავტორმთქმელებისა კი მხოლოდ სახელებიღა შემოგვრჩა. სავარაუდოა, რომ დღემდე ჩვენში შემორჩენილი და გავრცელებული ლექსების ნაწილი მაინც მათ მიერ უნდა იყოს შეთხზული. იმის დადგენა, თუ ვის რომელი ლექსი ეკუთვნის, ამაჟამად უკვე ძნელია.

სამეგრელოში შემონახული ხალხური შემოქმედების ნიმუშები მრავალმხრივი და მდიდარია, მაგრამ მის სიმდიდრეზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ დღემდე შეკრებილი მასალების მიხედვით. მათ უსრულობაზე მიუთითებდნენ ჯერ კიდევ ალ. ცაგარელი, ი. ყიფშიძე და შ. ბერიძე. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ჯვარის მხარეში (წალენჯიხის რაიონი) ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები დეტალურად

¹ დ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში, თბილისი, 1957, გვ. 42.

არ იყო შესწავლილი. ჩვენ აქედან დავიწყეთ მასალის შეკრება და განვაგრძეთ ზუგდიდისა და მის მიმდებარე რაიონებში. გვანტერესებდა, თუ რამდენი სახალხო მთქმელი ჰყავდათ და რა სიმადლეზე იდგა ამ კუთხეების ზეპირსიტყვიერების იდეურ-მხატვრული დონე ან რა ადგილი ეკავა ჩვენს ტომს ამ მხრივ ქართული ეროვნული სულიერი კულტურის საგანძურში; რანაირი უნდა ყოფილიყო წყობილისიტყვაობა ქართველი ტომებისა, რომელთა წარმომადგენლები ფარტაზი და აეტი თავიანთი მჭერმეტყველებით აკვირვებდნენ ანტიკური ხანის რომაელ კეისრებსა და ფილოსოფოსებს². მართალია, შორეული წარსულის ნიმუშებმა ნაკლებ მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ შემდეგ შექმნილ მასალებს ეტყობათ წინაპართა ნეტყველების კვალი. იგივე შეიძლება ითქვას ლეგენდებზე, ზღაპრებსა და სასიმღერო რეპერტუარებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, დავიწყებას ეძლევა და მზრუნველის ხელს საჭიროებს.

რაც შეეხება პოეტურ ფოლკლორს, მასზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ დღემდე გამოცემული და ჯერ გამოუქვეყნებელი ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვითაც, რომელთა ნაწილი წინამდებარე მონოგრაფიას დაერთვის. ბოლო დროს მოპოვებული და გამოუქვეყნებელი მასალებიდან აღსანიშნავია: 1. მითოლოგიური ლექს-სიმღერები, 2. ლექსად გაწყობილი გამოცანები, 3. მილექსებისა და გაბაასების ტრადიცია მეგრულში და 4. სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლექსების ციკლი.

ამ ლექსთა ნაწილი გადმოგვცეს ადგილობრივმა ენთუზიასტ-შემკრებლებმა — ნორა და მიხეილ ქობალიებმა (ქ. ზუგდიდი), მთქმელებმა — იაკობ და თორნიკე ქვაჩახიებმა (ოქუმი, გალის რ-ნი) და დამიანე ქობალიამ (ს. ოდიში). უმეტესობა კი ჩაწერილია ჩვენ მიერ ადრინდელ ექსპედიციებში. შესაძლებელი გახდა პირველ კრებულში შესული, ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ არასრულად ჩაწერილი ლექსების შევსებაც. მაგალითად, „ყარსის ბრძოლა“, „ლექსი ავსულებზე“, ვარიანტები „მაცი ფიფიაზე“, „მღვდლის სიზმარი“ და სხვა საგრძნობლად შეივსო. ადრე ჩაწერილი „ყარსის ბრძოლა“ შვიდ სტროფს შეიცავს და შემდეგ სოფ. ოქუმში სახალხო მთქმელის 85 წლის იაკობ ქვაჩახიას სიტყვებით ჩაწერილი იგივე ლექსი კი ცხრამეტ სტროფს. იგივე ითქმის რამდენიმე ადრე გამოქვეყნებულ ლექსზეც. რაც შეეხება მითურ ლექს-სიმღერებსა და ლოცვებს, მათ ვიყენებთ ამავე უნარის ცალკეული საკითხების განხილვის დროს.

² ნ. კან დე ლაკაი, ქართული კლასიკური მჭერმეტყველება, თბ., 1961, გვ. 228, 238.

მასალა დალაგებულია იმავე თემატიკური პრინციპით, რითაც ვხელობდვანელობდით პირველი კრებულის გამოცემის დროს. მათ დაემატა მითური ლექს-სიმღერები და ლექსად გაწყობილი გამოცანები. მათაც ახლავთ თარგმანი ქართულ ენაზე, რომელიც დედნების ადეკვატურია. სადაც ეს აუცილებელია, სიტყვასიტყვით გადალებას გვერდს ვუვლით. მაგალითად. „მოქვირუა კოჩის“ პირდაპირი თარგმანი იქნება „მოჭრილი კაცი“, მაგრამ შინაარსით ტ ა ნ მ ო რ ჩ ი ლ ს ნიშნავს და ასეც ვთარგმნით.

გადავდივართ მითური ლექს-სიმღერების თემატიკურ განხილვაზე.

მნათობთა კულტი

შემორჩენილი ლექს-სიმღერები. ცხადპყოფენ, რომ ძველად როგორც საქართველოს სხვა ტომებში, ისე განსაკუთრებით მეგრულში მნათობთა თაყვანისცემა ყოფილა გავრცელებული. მზე და მთვარე მათ უზენაეს ღვთაებას წარმოადგენდა. ვისაც ჩვენში მნათობებზე შექმნილი საგალობელი, დედის ნანასთან ერთად, მზე და მთვარის შუქივით მოჰქვნიდა, მას ნათლად მოაგონდება ლექს-სიმღერები და ლოცვები მნათობებზე.

დიდი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი შესანიშნავად ავლენს მეგრულ ფოლკლორში მნათობთა კულტის საკითხთან დაკავშირებულ მაგალითებს, ვრცლად იყენებს მეგრულ ლექსს:

ბეა დიდა რე ჩქიმი,
თუთა—მუშა რე ჩქიმი,
ხეიჩა—ხეიჩა მურიცხეფი
და დო ჭიბა ჩქიმი.

მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამაჩემი,
მოციმციმე ვარსკვლავები
და და ძმია ჩემი.³

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ექსპედიციებში მონაწილეობისა და სხვა დროსაც ჩვენ მიერ ჩაწერილი ლექს-სიმღერების ერთობლიობა საკმაოდ ხელსაყრელი მასალა კოლხეთში მნათობთა კულტის კიდევ უფრო ნათლად წარმოდგენისათვის. ისტორიული წყაროებიდანაც ირკვევა, რომ როგორც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (სირია, ეგვიპტე, საბერძნეთი და სხვა), ასევე საქართველოში მთვარე მამა ღვთაებად იყო მიჩნეული, ხოლო მზე — დედა ღვთაებად. ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მთვარე მთავარ ღვთაებად ასურელებისა და ქარანალების ანუ სა-

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 58-59.

ბიელთა სარწმუნოებაში ითვლებოდა, მას „სინ“-ს ეძახდნენ და ქვეყნიერების მბრძანებლად სთვლიდნენ. საყურადღებოა მეტადრე ის, რომ ამ ორივე ხალხის შეხედულებითაც მთვარე მამაკაცად ითვლებოდა. შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქარანელების, ანუ საბიელთა და ქართველების უძველეს სარწმუნოებათა შორის სხვა მხრივაც დიდი მსგავსება არსებობს⁴.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს აგრეთვე ცდომილთა სახელების მიხედვით დაწესებული სალოცავი ადგილებისა და რიგ გეოგრაფიულ სახელთა ერთგვარობა როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე კოლხეთში. მაგალითად, მთვარე-ღვთაების თაყვანისცემის საფუძველზე უნდა იყოს წარმოქმნილი სახელი მდინარისა „სინ[წა]“ — სინ-წყალი⁵.

ასეთი შეიძლება იყოს სახელწოდება ო[სინ]დალე — მთაგორაკიანი ადგილი ჩხოროწყუს რაიონში, სადაც დგას XI ს. სალოცავი წმინდა გიორგისა. ალბათ, იმ ადგილზე ადრე მთვარე-ღვთაების სამლოცველო იქნებოდა და ამიტომ შემორჩა მას პირვანდელი სახელწოდება.

წარმართობის დროიდან მთვარე-ღვთაებაზე ლექსად გადმოცემული ლოცვა უახლოეს დრომდე შემორჩა აგრეთვე ჩვენს წინათაობას. მათგან ზოგნი ახალი მთვარის გამოჩენას ლოცვით ხედებოდნენ და სთხოვდნენ, რომ სანამ ის ცაზე იქნებოდა (მომდევნო მოქცევამდე), ამათი ოჯახები სიკეთით აეცსო და ადამიანთათვის ჰიხარული მიენიჭებინა. ახალი მთვარის პირველი დანახვის მომენტში მნახველი ცდილობდა, როგორმე მაშინვე დანა ან სარკე დაენახა, პირველად ნივთზე დაეხედა, შემდეგ იგი მთვარისათვის მიეშვირა და ეთქვა:

თუთა ახალი, გამაახალი,
ახალი თუთა, გამახარი,
ცაში კარი სი გომინჯი,
სი ჯვეში დო მა—ახალი!

მთვარე ახლო, განმაახლე,
ახლო მთვარე, გამახარე,
ცისკარი შენ გამილე,
შენ ძველი და მე—ახალი!

(შენ დაბერებულიყო და მე ახალგაზრდად დავრჩენილვიყო).

ახალი მთვარის დანახვისას სხვა რაიმე ნივთს არ შეავლებდნენ თვალს. ამ დროს ამ ნივთების დანახვა ნატურის ასრულების საწინდრად მიაჩნდათ.

ნაკლები ბედნიერების მაჩვენებელი იყო ახალი მთვარისას მცენარეთა დანახვა. აგრე წარმოედგინათ, რომ სხვა ნივთებს, ზემოთ დასა-

⁴ ციტ. „ქართველი ერის ისტორია“, ტ. 1, გვ. 60.

⁵ მდ. სინ[წა] ჩაუღდის ზუგდიდის აღმოსავლეთით და უერთდება მდ. ჟუმს.

⁶ მთქმელი ვასილ მიქავა, ს. ლია, წალენჯიხის რ.

ხელებულებთან შედარებით, ნაკლებად შეეძლო ნატურის ასრულება, მათ ნაცვლად ქვისა და ცხოველთა ხილვა კი ბედნიერების დამაბრკოლებელ ნიშნად მიაჩნდათ.

მთვარისა და მზე-ღვთაებათა თაყვანისცემის გადმონაშთი ჯერ კიდევ ვლინდება მეგრულ-სვანურ ზეპირსიტყვიერებაში. თუთაშ დღა (თუთაშხა — ორშაბათი) ყველაზე ბედნიერ დღედ ითვლებოდა. თურმე ამ დღეს იწყებდა მამაკაცი მისთვის ყველაზე დიდმნიშვნელოვან საქმეს, მაგალითად, — სამოსახლო ადგილის არჩევას, სახლის მშენებლობის დაწყებას და სხვა. ამასთან დაკავშირებით დამახასიათებელია სიმღერა და მისი მისამღერებელიც — „თუთაშხა ბედნიერც მა ხორუა მიმდომი“ — „დიდ ორშაბათს, ბედნიერს მე დასახლება — სახლის შენება მოვიწოდო — დავიწყე“ და თანაც ბედნიერად ამისრულდაო. ეს ლექსი კომენტარების გარეშე გამოხატავს ამ ტრადიციას და მას აქვე წარმოვადგენთ.

თუთაშხა ბედნიერც⁷
მა ხორუა მიმდომი,
ლენხუმაშა მიდაბრთი დო
ქემიპუნი ხუთი შონი,
ხუთიხოლო ახალგაზდა,
ლონიერი მუქოთი ლომი;
ქემიილეს ჩქიმი ეუდე,
არძო კუბური დო კყონი,
ევიონწყეც, ქიგედგეს
გაჯინალ მუქომით ბროლი, —

/დიდ/ ორშაბათ ბედნიერს
დასახლება მოვიწოდო,
ლენხუშში წავედი და
ხუთი სვანი მოვიყვანე,
ხუთივე ახალგაზრდა,
ლონიერი ვითა ლომი;
მოიტანეს ჩემი სახლი,
ყველა წაბლისა და მუხის (ხისა),
ააწყეც და დადგეს,
შესახედავად როგორც ბროლი, —

ამ ლექსის ბოლო სტროფი შედარებით გვიან უნდა იყოს შექმნილი. ამას თვით სახლის ნაგებობის ფორმაც ადასტურებს. ამით ისიც დასტურდება, რომ „თუთაშხა ბედნიერის“ (დიდორშაბათ ბედნიერისადმი) თაყვანისცემის გადმონაშთი ჯერ კიდევ შემორჩენილია ჩვენს მოხუცებს.

მთვარის დღისადმი ლოცვა-თაყვანისცემა ხდებოდა დიდმარხვის დასასრულს, — ყველიერის წინა ორშაბათს⁸. ყვავის წამოფრენამდე ე. ი. დილით. სანამ ის დაიჩხავლებდა, ყველა უნდა წამომდგარიყო.

⁷ ზოგიერთ გამოცემაში ბედნიერც და ა. შ. ფორმებშიც წერია ს, რაც ზუგდიდურს არ ახასიათებს. იხ. „ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები“, I, თბ., 1975. შტრ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамматика мингрельского (инверского) языка, ს.-პეტ., 1914, 024; ასეთი ფორმები დადასტურებულია გურულ კილოშიც. იხ. ი. მუგრეჯიანი, მიცემითი ბრუნვისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში. — თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, 1937, გვ. 348-355.

⁸ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 313 — 314.

საწოლიდან, გარეთ უნდა გამოსულიყო და სამჯერ უნდა დაეძახა „გორჯგინ კვარია“ — მიჯობნია, ე. ი. წამოდგომა დაგასწარი ყვავო. ოჯახის უფროსი კაცი წინაღობით მოხარშული კვერცხების ნაქუქებს, რომელიც ღომით იყო სავსე, ეზოს გარეთ გადაყრიდა, — ვითომც ყვავს ატყუებდა, კვერცხები მოგართვიო და თან სამჯერ ხმაშემალღებით დაიძახებდა:

ჩუჩელია, ჩუჩელია,⁹
ჩქენ მამული ხარგელი ღო
შხვამ მამული ფურცელია.

ჩუჩელია, ჩუჩელია,
ჩვენი მამული დახუნძლული ქნა და
სხვის მამულში ფურცელიო.

ამასთან ერთად, ჩვენი წინაპრები ღიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მთვარის მოქცევის დროს მომხდარ მოვლენებს და იმის მიხედვით საზღვრავდნენ ამა თუ იმ საქმის დაწყების აუცილებლობას და ვარაუდობდნენ, რომ სავსე მთვარეზე დაბადებული ბავშვი თუ ცხოველი უნაკლო და საღი იქნებო. მის მომავალ ბედსაც ამის მიხედვით წინასწარმეტყველებდნენ. ასევე სამასაღე ხეს მთვარის დამლევს (თუ-თაში დალიას) სკრიდნენ — მკამელა არ გაუჩნდებაო. სავსე (სრულ) მთვარეზე მოპრილ ხის მასალას მკამელა (ჭიები) დაღრღნისო. ადამიანთა სახესხვაობის მიზეზსაც მთვარის მოქცევის დროს სხვადასხვა მომენტების გათვალისწინებით ხსნიდნენ. მთვარის მოქცევის მიხედვით დაწესებული ჰქონდათ კვიმატიანი დღეები ცალკეული თვეების მიხედვით, რაც ძველ კალენდრებშიცაა შეტანილი. ასეთ დღეებში შორ გზაზე წასვლას, მდინარეში ან ხეზე გასვლას ერიდებოდნენ. ამის შესახებ ლექსში „გასაჭირი ზღვაზე“ (იხ. ქვემოთ, გვ. 117) შემდეგია ნათქვამი:

სოთნ ულა ვეფირქა
გლაზა თუთაში შორთას,
თაშით ქეშერხვადასგლა,
ღორთთქ ვემგოთას!

არსად წასვლა არ იფიქრო
მთვარის ცული მოქცევის დროს,
ასედაც რომ შეგემთხვეს,
ღმერთმა არ დაგაარგოს.

ამ სტრიქონების გამლექსავ მწყემსს, მთვარის ცული მოქცევის დროს ე. ი. კვიმატიან დღეს, გემით მოგზაურობა რომ გადაუწყვიტია, ეს მიაჩნია მიზეზად, რომ მას ზღვაში ხიფათი შეემთხვა.

სამეგრელოში მთვარე-ღვთაების თაყვანისცემის შესახებ არსებული ლექს-სიმღერებისა და მასთან დაკავშირებით წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელწოდებათა გარდა ამ უკანასკნელად აღმოჩნდა მეტად სარწმუნო მასალაც — სოფ. ურთის (ზუგდიდის რ.) მცხოვრებ

⁹ ვარიანტებში — ჩუჩელია.

იორდანე ქირიას სახლში წლობით ინახებოდა მიწის სამუშაოების დროს ნაპოვნი კაყისაგან გამოკრილი პატარა ქანდაკება, რომელიც არქეოლოგების მიერ მიჩნეულია მთვარე-ღვთაების ქანდაკებად. ეს ქანდაკება 1967 წელს ჩაბარდა არქეოლოგ დომენტი ქორიძეს და ამჟამად ინახება საქ. სსრ მეცნ. აკადემიის არქეოლოგიის განყოფილებაში¹⁰.

მთვარესთან ერთად გაღმერთებული იყო და თაყვანს სცემდნენ მზეს¹¹. როგორც ზემოთაც აღინიშნა, მთვარე აღიარებული ყოფილა მამა ღვთაებად, ხოლო მზე — დედა ღვთაებად. ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან ტომობრივი ნათესაობისა თუ ახლო კულტურული ურთიერთობის გამო, ასურელების მზე (დედა-ღმერთი, ცეიში)¹² მთავარ ღვთაებად ყოფილა აღიარებული კოლხეთშიც. მისი სალოცავები წმინდა ადგილებად ითვლებოდა წარმართობის პერიოდში, სადაც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ იმავე ადგილზე აუშენებიათ დედა-ღვთაების — ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც შემორჩა წარმართობის დროინდელი — მზე-ღმერთის სახელი — ცეიში და იქ გაშენებული სოფელიც იწოდება ცეიშად (საერთო ქართულით — ცაიში). ცნობილია ცაიშის საკათედრალო ტაძარი სოფ. ცაიშში. ზუგდიდის რაიონის (სოფ. ცაიშში) მზე-დედაღვთაების — ცეიშის სახელით სალოცავი ადგილების გარდა, წარმართობის დროს აღნიშნული ყოფილა მდინარეთა და მცენარეთა სახელწოდებებიც: მაგ, „ეკ“ მეგრულად თელას ჰქვია: ასევე „ცკი“ მდინარეს (ცხაკაიას რ.), რომელსაც დღეს ცივს უწოდებენ.

მზე-ღვთაებას, როგორც სითბოსა და სინათლის მომცემ წყაროს, უხსოვარ დროიდანვე ექნებოდა დამსახურებული თაყვანისცემა ადამიანებისა, თითქმის იმ დროიდან, როდესაც ის ველურ მდგომარეობაში მყოფი ბუნებისგან ღებულობდა წყალბასაც და წყრომასაც. მზისაგან ქვეყნის გათბობა ბუნების ძალთაძალის წყალობა იყო და ეს ძალა (მზე) მისთვის განუსაზღვრელად სათაყვანებელი იქნებოდა. ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების იშვიათი ნიმუში „მზეო, ამოდი, ამოდი!“... მართებულად მიაჩნიათ ამავე პერიოდის მითური ხანის ლექსად და ასეთივეა მეგრელთა მიერ შექმნილი ლექს-სიმღე-

¹⁰ აღნიშნული ქანდაკების შესახებ იხ. გაზ. „მებრძოლი“, 1967 წ. 10 ოქტომბერი (დ. დაგარკულიას წერილი — „საინტერესო ნაპოვნი“).

¹¹ ეს მოსაზრება დადასტურა ურთა-ცაიშის მიდამოებში აღმოჩენილმა მზე-ღვთაების ქანდაკებამ. ესკერპი არის ქვიდან გამოკვეთილი ლომის თავი შუბლზე მზის გამოსახულებით (დაცულია ზუგდიდის მუზეუმში).

¹² ჩაიში — ცაიში, მეგრ. — ც ე შ ი, არის მოსაზრება, რომ ნიშნავს მ ზ ე-ღ მ ე რ თ ს (ციას).

რები მზეზე. ისინიც უშუალოდ გამოხატავენ მზისადმი თაყვანის-
ცემას. მაგალითად — „მორთია ჩხანაია (მოდის მზიანო დღეო)“ —

მორთია ჩხანაია,
თოლფე ობარჩხალაია;
მორთია ჩხანაია,
ელარჯის ფჩანანაია

და

სათანჯო სარკილი დო
დიხაზუ(რ)გა მუნაფილი,
თელი დოსქილადირი დო
ლურელეფი ჩხონაფილი.

მოდის მზიანო (დღეო).
თვალეზ „ზარჩხალა“¹³ მზეო;
მოდის მზიანო დღეო,
ელარჯს გვაქმევენო!

და

სათანჯო მოწმენდილი დო
დიხაზუ(რ)გა დაბურვილი,
ცოცხალი დარჩენილიყონ დო
მიცვალებულნი ცხონებულნი.

სათანჯო მთის სახელია, რომელიც მდებარეობს მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე და წარმოადგენს კავკასიის მთავარი ქედის წინაქალთებზე მდებარე ბორცვებისა და გორაკების დაბოლოებას (ზღვის დონიდან 508 მეტრი). მთა სათანჯოდან მოჩანს მთელი კოლხეთის დაბლობი და შავი ზღვა. ადრეულ პერიოდში მას სათვალთვალოდ და ორიენტირებისათვისაც იყენებდნენ კოლხეთის უღრან ტყეებში გასული მონადირეები თუ სხვადასხვა საქმით დაინტერესებულნი და ამ კუთხეში მოსიარულე ადამიანები.

გადმოცემით, მისი უფრო დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ეს მთა ამინდის დასადგენად ჰქონდათ გამოყენებული ამ კუთხის მცხოვრებთ. სჯეროდათ, რომ თუ სათანჯოს თხემს ღრუბელი წაებურება, ნალექია მოსალოდნელიო, ხოლო თუ ღრუბელს გადაიყრინდა, დარს ელოდნენ. ამას მხარს უჭერს სათანჯოს მთის შესახებ არსებული ტრადიციული გადმოცემა. ეს გვარწმუნებს იმაში, რომ ამ მთას ამინდის გარკვევისათვის, სანიშნოდ „სათანჯოდ“ იყენებდნენ და ამიტომ უწოდეს მას ეს სახელიც — „სათანჯო“ — მეგრულად თანჯი იგივეა, რაც დალი — სამანი¹⁴,

სათანჯოს შესახებ შექმნილი ლექსის ზემოთ დასახელებული ადგილიდან იგრძნობა, რომ ეს ლექსიც მითურ პერიოდშია შექმნილი და მასში ხალხის ნატურა-სურვილია გადმოცემული. სათანჯოსკენ ცის მოწმენდილობა ტაროსის მომასწავებელი იყო, და ეს უკანასკნელი კი უხვი მოსავლის საწინდარი გახლდათ. ავდრიანობა კი, პირიქით, მოუსავლიანობას, შიმშილს და ციებ-ციხელებას უქადდა ხალხს. ამიტომ ბუნების წყალობის შემყურე მეგრელი კლიმატის დასადგენად მთა სათანჯოს შეჰყურებდა — ნატრობდა მისკენ მოწმენდილი ცის დანახვას. სწორედ ეს აზრია გატარებული ლექსის ზემოდასახელებულ

¹³ სიტყვასიტყვით — ჩახჩახა.

¹⁴ შდრ. ს. შაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 235.

სტროფში. პროფესორების — ალ. ცაგარელისა და ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილი და დღესაც ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ლექსი სათანჯოზე ექვს სტროფს მოიცავს, მაგრამ გარდა ზემოაღნიშნული იმ ერთი სტროფისა, როგორც შინაარსი გვაძეცვობს, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებითაა შექმნილი. ე. ი. სხვადასხვა თემაზეა დაწერილი და ლოგიკურად ერთიან აზრს არ გამოხატავს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სათანჯოზე სასიმღეროდ შექმნილი ზემოდასახელებული სტროფი მითური პერიოდისაა, ხოლო დანარჩენი შემდეგი დროისა. მართალია, აღნუსხული მოვლენები სათანჯოს მიღამოებშია მომხდარი და გალექსილი, მაგრამ თემატურად არავითარი კავშირი არა აქვს სათანჯოს სასიმღეროდ მითურ პერიოდში შექმნილ სტროფთან და დღეს თუ ეს სტროფები ერთადაა თავმოყრილი და ერთ სასიმღერო ტექსტს წარმოადგენს, ეს მხოლოდ მომღერალთა მიერ სტროფების შეკოწიწების გამო მოხდა¹⁵.

კოლხეთში ხანგრძლივი გვალვა იშვიათად იცის, მაგრამ როცა იგი იწყებოდა, შეწუხებული ხალხი უინდორონთს (ზეციერ ღმერთს) მიმართავდა ხვეწნით, რაც დღემდე შემდეგი ლექსითაა შემორჩენილი:

გოხვეწუთ უინი ღორონთი,
კოც კვიზა ქოუქყოლოფი,
დოშხაფალე გოროხი,
მუთ აიშახ გოგოლოფი,
ვადოკილუა, ვადოკვა
ჩქინი ბეღიში კოლოფი!

გეხვეწებით ზეციერო ღმერთო,
კაცთა ვეიზა გვიწყალობე,
„დოშხაფალე“¹⁶ გოროხი,
რაც კი დღემდე გაახხე,
არ გამოკეტო, არ დასწყვა
ჩვენი ბედის კოლოფი!

ეს ლოცვა სხვადასხვა კუთხეში რიტორული მიმართვითაც (პროზაულად) სრულდებოდა ღვთისადმი სათემო ლოცვის დროს. ასე ეძახდნენ ხანგრძლივი გვალვისაგან შეწუხებული ხალხის ლოცვას, რომელიც სრულდებოდა მთელი თემის მონაწილეობით. სოფელ რიყეში (ზუგდიდის რ.) მცხოვრებმა 105 წლის მიხეილ ბეჩუს ძე ჯიქიამ შემდეგი გვიამბო: „როდესაც ხანგრძლივი გვალვა დადგებოდა, მცენარეულობა ჰკნობას დაიწყებდა და ცოცხალი არსება უწყლობით შეწუხდებოდა, მივმართავდით სათემო ლოცვას. ე. ი. მთელი სოფელი უნდა შეყრილიყო, საერთოდ მოგროვილი სახსრებით საკლავი უნდა გვეყიდა. დათქმულ დროს თემობა ერთ დანიშნულ ადგილზე შეიყრებოდა, საერთო სახსრებით შეძენილი საკლავი თემის თავკაცს, ყველაზე ხნიერს და ღვთის მორწმუნეს უნდა დაეკლა. რამდენი მონაწილეს იყო, იმდენ ნაწილად უნდა დაეჭრათ ხორცი, იმდენივე სანთელი

¹⁵ ამ თემაზე ჩვენ მიერ წაკითხულ იქნა მოხსენება — „სათანჯო ზეპირსიტყვიერებაში“ — საქ. ფოლკლორისათა საკოორდინაციო საბჭოს V კონფერენციაზე 1965 წელს.

¹⁶ პირდაპირი მნიშვნელობით — მოაშხაპუნე, დანამე.

უნდა მიეკრათ ლარტყაზე და ლოცვის ჟამს, როცა ანთებდნენ, სანთლის უკან მლოცველნი მუხლმობრით დაემხოზოდნენ. თემის თავკაცი „ხოზოკვარებით“ და სანთლით ხელში ზეცას შეჰყურებდა და ღმერთს მიმართავდა:

ღუღლორონთი, ღიხამუ სქან სახეჲ
ქოარსებუ მუთუნინდა, ქემეხვარით,
ქიანა ანგილოზიში ეფუა რე, ღიხაში
ენარჩქინა ვორეთ, ღიხათ აბრსებენთ,
ცაშა ტკვა ვე(მ)მადგინენა სქანდა მეფრთათენი,
თუღოშე გოხეწუთ; საზღო ვემემგოთათ, ქომსაშველით
ზეციერი, ჰავა მუშუში პილანიშა
ქოიი დო ქვიმა ქომჰყოლოფით!..

მამაუფალო, ღაილოცოს შენი სახე!
თუ არსებობ რამე, დაგვეხმარე,
ქვეყნიერება ანგელოზითაა სავსე, მიწისაგან
ვართ გაჩენილი, მიწით ვარსებობთ,
ცას კიბეს ვერ მივადგამთ, რომ თქვენთან ამოვიდეთ,
ქვევიდან გეხვეწებით, საზრდო არ მოგვაკლო,
გვისაშველე ზეციერო. ამინდი თავთავის ჭერზე
დააწესე და წვიმა გვიწყალობე!...

ლოცვის შემდეგ იმართებოდა ცეკვა-სიმღერა — ლაზარობა, რომლის დროსაც ზემოთ დასახელებულ ლექსს მღეროდნენო. ამის ჩატარებას მოვსწრებივარ ბავშვობაში. გვიან მხოლოდ ლოცვები ტარდებოდა და ლოცვის შესასრულებლად მე მირჩევდა სოფელიო¹⁷, და ზემოთ დასახელებული ლექსიც იმან ჩამაწერინა.

ზეციერისგან წვიმის გამოსათხოვნად აღნიშნული რიტუალის გარდა, კოლხეთში მიმართავდნენ ლაზარობას. მეგრელები საერთოდ ქართულ ლაზარეს, ძივავას უწოდებდნენ, მასთან დაკავშირებული რიტუალი სამეგრელოში სულ სხვა გაგებით და შინაარსით კეთდებოდა, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. ქართველი გამოჩენილი ისტორიკოსები და ფოლკლორისტები დიდი გულდამაჭერებლობით აღწერენ ლაზარობის ტრადიციას მხოლოდ ქართლ-კახეთში და მას ტაროსის მომწესრიგებელი ღვთაების თავყანისცემად სახავდნენ. აღმოჩნდა კი, რომ იგი მთელს დასავლეთ საქართველოში ყოფილა ცნობილი¹⁷; მისი კვალი ჰანეთშიც იქნა მიგნებული. სამეგრელოში ლაზარეს (ძივავას) — ადამიანის მაგვარ გამოსახულებას მდინარეში აგდებდნენ

¹⁷ ი. მეგრელიძე, ლაზარობა აპარაში. — ეურნ. „ქოროხი“, ბათ.. 1974, № 4, გვ. 90 — 92; მისივე წერილი, კვლავ ლაზარობის შესახებ, — ეურნ. „ქოროხი“, 1976, № 2.

ქალები და ნაპირ-ნაპირ გასდევდნენ წივილ-კივილითა და ვაი-ვიშით, აქაოდა (ვითომც) კაცი დაიხრჩოო (შეიძლება ამიტომაც უწოდეს მას ძი-ვაეა).

ლაზარეს (ძივაეას) წყალში დახრჩობით ადამიანებს ჰქონდათ ჩანერგილი, რომ თუ ადამიანი მდინარეში დაიხრჩობოდა, განუწყვეტლივ კოკისპირულად იწვიმებდა მანამ, სანამ დამხრჩვალის გვამს ადიდებული მდინარე ხმელეთზე არ ამოაგდებდაო. ამ რწმენის მიხედვით, ძველად მეზღვაურებს ხომალდით მიცვალებულის გადაყვანა აკრძალული ჰქონდათ და არც ისინი ბედავდნენ, რომ მიცვალებული საზღვაო ტრანსპორტით გადაესვენებიათ. — ზღვა ლეღვას დაიწყებს და დავილუბებითო. გადმოცემითვე, თუ გემზე კაცი რაიმე უცაბედი შემთხვევის გამო მოკვდებოდა, მეზღვაურებს ის უნდა გადაეგდოთ გემიდან. ზღვაოსნობაში ძველ დროს ეს კანონად ყოფილა აღიარებული. ტრადიციული გადმოცემების გარდა, ამაზე უთითებს ლექსი: „გასაქირი ზღვაზე“ (იხ. ქვემოთ, გვ. 117). მისგან მოგვყავს ადგილი:

ღუღიში რსიოლქ გემიოლჯ
ლო თოღეფი ქიგიბჭკური,
უკულიან მუთუნ ვაფშე,
ლურელ კოც მუქო ვაგური...

თავბრუხვევა ამივარდა
და შემგრა თვალის ლული,
შემდეგიდან არაფერი მახსოვს,
მკვდარ კაცს როგორ დავემსგავსე...

მარა მუთუნ ვაგნო ცვენო
ათე კაპიტანეფქალა,
ლურელ კოჩი გეგნილანი,
კანონც ვა ცოფე თინეფქალა.

ამ კაპიტნებთან
თურმე არაფერი გავა, —
მათში კანონად არ ყოფილა,
მკვდარი კაცის გადაყვანა.

მუქო ქაწომსერგელეს ღო
მათი ქავოკურცი კინე,
ხე-მარდიქეთი გაჩენდგ ღო
იაკრი ქაგოთესგ გიმე...

როგორც კი დამითრიეს,
მეც ისევე გამომელიძა,
ხომალდიც გაჩერდა და
ქვევით ჩაუშვეს ლუზა...

ამის მიხედვით, სასაფლაოების გამართვა მდინარის პირას აკრძალული იყო; მდინარე მიეძალემა იმ მხარეს და სასაფლაომდე გადარეცხავსო. ნებით თუ უნებლიეთ ამ რწმენას დღესაც აქვს თავისი გავლენა.

წარმართობის დროისაა შელოცვანი ცეცხლზე. საღამოს, როცა ჭალაბობა დაიძინებდა, ოჯახის უფროსი დიდ მუგუზალს ჩაახვევდა ლეველზე, ზედ ბევრ ნაცარსაც დააყრიდა და შემდეგი სახის ლოცვას დაატანდა:

აღას—შაღას,
თუნთი გვალას,
ღელიბ—კერაის,
ბალიდ—უვანას,
ჩქიმ—ღარხერი—
ჩე გოთანას!

ელასა-მელასა,
დათვი მთასა,
ღელაბერი — კერასა,
ბერიკაი — უანასა,
ჩემი ცეცხლი —
თეთრად გათენებასა!

ანიშიში

მცენარეთა და ცხოველთაგან ბუნების საიდუმლოების შეცნობის რწმენა აღრიდანვე ჰქონდა ადამიანებს. ამაზე მიგვანიშნებს გვიანდელამდე შემორჩენილი მცენარეთა თაყვანისცემა; როგორც ჩანს, მუხა, თელა და კაკლის ხე ადამიანთა უძველესი სალოცავები იყო. ყვიანახეულით შეპყრობილ ბავშვს გაატარებდნენ კაკლის ხის ფესვებს ქვეშ, — მშვიდობიანად გაუვლისო. ცხოველთაგან კოლხეთში გაღმერთებული იყო ხარი. ამის გადმონაშთი ქრისტიანულ სარწმუნოებასაც გადმოჰყვა, რაშიდაც გვარწმუნებს ხარისთავის გამოსახვა ქრისტიანული ეკლესიის კარებსა და კედლებზე, აგრეთვე ფულზე — კოლხურ თეთრზე; როგორც ძველი წელთაღრიცხვის, ისე შემდეგდროინდელი ამ მონეტის ყველა ეგზემპლარზე ხარის ან ვერძის თავია გამოსახული. მეგრულ მწყემსთა ჩვეულებაში გვიანდლამდე შემორჩა რწმენა, საქონლისათვის ლოცვის გადახდისა. ასეთი ლოცვა აუცილებელი ყოფილა ცხენის, კამეჩისა და ცხვრისათვის, რომელიც განსაკუთრებული რიტუალით სრულდებოდა¹⁸.

შიანურ ცხოველებსა და ფრინველებს თავისი ბედის მოზიარედ თვლიდნენ ადამიანები. ადამიანთა რწმენით, ისინიც იღვწოდნენ თავიანთი პატრონის მომავალ ბედზე. ამიტომ ცხოველთა მიერ რაიმე მანიშნებელი თვისების გამოვლენით დასკვნები გამოჰყავდათ თავიანთ ბედზე თუ უბედობაზე. თუ ღელაღი დაიყვილებდა, ეს აუგის მომასწავებლად ითვლებოდა და მას დაკლავდნენ. თუ ადამიანი საქონელს ახლო გაუვლიდა და საქონელი დაიბლავლებდა, ესეც ცუდის მანიშნებელი იყო. ძველი წარმოდგენით, ცხოველთა და ფრინველთა ბეჭზე დამახასიათებელი ნიშნებით აღირიცხებოდა მათი პატრონის ყოველივე ავ-პარგი და პირუტყვის თუ ფრინველის დაკვლის შემდეგ ბეჭის ძვალს გასაშრობად ინახავდნენ, შემდეგ ზედ დარჩენილი რბილი-საგან გაასუფთავებდნენ, რომ ბეჭზე მოსალოდნელი, მაუწყებელი გამოსახულებანი მკაფიოდ დაენახათ და მისგან სათანადოდ დასკვნები

¹⁸ ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები იხილეთ ა. სოხაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან. თბილისი, 1964, და იქვე — „ბოსლოზის დანიშნულებანი“, გვ. 14. კოლხეთში ხარისა და ვერძისადმი თაყვანისცემას ნათლად ადასტურებს 1977 წელს სოფ. ორულში (ზუგდიდის რაიონი) აღმოჩენილი ვერძის ქანდაკება-კერპი (დაცულია ზუგდიდის მუზეუმში).

ვაშოტანათ თავიანთი ოჯახის მომავალ ცხოვრებაზე. ცხოველთა და განსაკუთრებით საქონლის კულტის დიდმნიშვნელობაზე მეტყველებს წარმართობის პერიოდის კოლხეთში არსებული სალოცავეები საქონლის ღვთაება — ჭეგემისარონისა¹⁹. მათი სახელით ცნობილ სალოცავ ადგილებზე ქრისტიანობის შემდეგ ახალ ღვთაებათა სალოცავეები გაჩნდა. ასეთ ადგილებს ძველი ღვთაების სახელწოდებაც შერჩა ზოგან. მაგალითად, — ჭეგეთა, ე. ი. ჭეგეს სამყოფი (ზუგდიდის რ.), ჯვარული ჭეგე — იგავე ჭეგე (წალენჯიხის რ.) და სხვა. ჭიხაშქარში ამ ძველ ტრადიციას ახლოდრომდე მისდევდნენ და ამ სალოცავს მიწობას, ე. ი. მისარიონობას ეძახიან²⁰.

შინაურ თუ გარეულ ფრინველთაგან ყველაზე გრძნეულად სკვინჩა ყოფილა აღიარებული. გადმოცემის მიხედვით, თუ სკვინჩა მარცხენა მხრიდან დასძახებდა ადამიანს, სიკეთის მომასწავებლად მიიჩნდათ, თუ მარჯვენა მხრიდან — ცუდისა. სკვინჩა თუ სტეენას ჭიკჭიკით დაასრულებდა, ესეც ძალიან კარგის მომასწავებლად ითვლებოდა. ამაზე მეტყველებს მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში დღემდე სასიმღეროდ შემორჩენილი ლექსი:

კვინჩა ჭვიტანც, ჯას გიმახე,
საფარსაკო ვა რე თინა,
შორ შარაშა მადუ ოლგ,
ჯოი ჩქიმოლა, ვემებდინა?!

სკვინჩა სტეენს და ხეზე ზის,
ის არაა საფარსაკო,
შორს შარაზე მიწვეს წასელა,
ვაი, ჩემი ცოლვა, არ დაეიკარგო!

კეთილი და ავი სულები

ავ სულებზე მრავალი თქმულება და ლექსია შემორჩენილი მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში. ერთი ნაწილი ამ თემაზე შექმნილი ლექსებისა იმ აზრს გამოხატავს, რომ ავი, ბოროტი სული დღენიდაგ ტყე-ღრეში ცხოვრობს და მრავალი სახის მაცდურობით შეუძლია ავნოს ადამიანს. ასეთები არიან: ჭინკები. ოჩოკოჩები, ალქაჩები და სხვ.

არის ასეთი აზრიც. რომ ავი სულები თვით ადამიანთა შორის მოიპოვებიან. ისინი ცხოვრებისეულ თვისებათა გარდა გრძნეულური, ეწმაკისეული თვისებების მატარებელნი არიან. თავს ისე მოგაჩვენებენ, როგორც მათ სურთ. მაგალითად, წარმოგვიდგებიან უფრო კატის სახით და ღამლამობით მგლებზე მჯდომი დათარეშობენ. ასეთი

¹⁹ ჭეგე და მისი სხვა ფორმები ნიშნავს შ შ ი ნ დ ა ნ ს და არა მხოლოდ შ შ ი ნ დ ა ნ ს გიორგის (შდრ. ჭეგე მარიაში და სხვა). იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, მეგრ გრამატიკა. გვ. 412.

²⁰ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1942.

ბოროტებით სავსე ეშმაკისეული თვისების მქონე არსება მაცდურებით მოქმედებს ადამიანთა მიმართ, გათვალავს მას და სხვა.

ტყის ავი სულის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სასიძღვრო-საცეკვაო ლექსში გამოხატული „ძაბრალე“, რომლისაც ახლო წარსულშიც ეწინოდათ. მისი ძირეული სახელწოდება d[ვ]აბრარე უნდა იყოს, რაც მეგრულად მუხანათს ნიშნავს. თავისი შინაარსით მას ლეგენდარულ ეპოქაში აქვს ფესვები გადგმული; ლექსი საფერხულო ცეკვის მისამღერებლად ყოფილა გამოყენებული და გამოხატავდა ალქაჯის სახით ტყიდან მოვარდნილი ძვაბრას (მუხანათი — ბოროტი სულის) თავდასხმის მოლოდინში მის წინააღმდეგ შურისგებით ამოქმედებული ადამიანის საბრძოლო განწყობილებას. დროთა განმავლობაში, მეცნიერების განვითარებასთან ერთად, ლეგენდარულ წარმოდგენებსაც გამოეცალათ შინაარსი და d(ვ)აბრარე სახელმაც ფორმა — „ძაბრალე“ მიიღო, ხოლო მუხანათის, ავსულის წინააღმდეგ მებრძოლმა გმირმა მასხარას მნიშვნელობა მოიპოვა. „d(ვ)აბრა რეს“ წაბაძვით, მის პარალელურად, გაჩნდა სახუმარო-საცეკვაო ლექსის ვარიანტები, რომლებიც გუნდური ცეკვის მაგივრად სოლოთი სრულდება. ამ სახით წარმოიქმნა „d(ვ)აბრა რეს“ პარალელურად დღეს ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც მოარული სახუმარო-საცეკვაო „ჯანსულო“. ეს მოხდა ჩვენ თვალწინ. ახლა უკვე ფართოდ გავრცელებული „ჯანსულოს“ (მისამღერებელი ტექსტის — ვარიანტების) ავტორმთქმელებად იონა და ბათლომე სართანიები ითვლებიან, რომლებსაც ჩვენც მოვსწრებივართ, ხოლო ცეკვის ახალი რეპერტუარის შექმნელად და მის პირველ შემსრულებლად — დ. კიტას აღიარებენ. ამჟამად ეს ორი სიმღერა „ძვაბრა რე“ და „ჯანსულო“ ერთმანეთის პარალელურად არსებობს. მეორე პირველის წაბაძვით შექმნილა, მაგრამ მასაც აქვს რაღაც თავისი პირველწყარო.

პავლე და ბეგლარ აკობიების მიერ შექმნილი d[ვ]აბრარე — ძაბრალე (მუხანათი) — კეთილი სულის სადიდებლად შექმნილ ლექსადაა მიჩნეული²¹, რაც სინამდვილეს მოკლებულია, ვინაიდან სხვადასხვა მხარეში (ოქუმში, აბაშაში და თვით ზუგდიდში) ჩვენ მიერ ჩაწერილი ვარიანტები თავისი შინაარსით ავი სულის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციების მატარებელია, რაც უშუალოდ გამოსახულია თვით ლექსში. აქვე მოგვაქვს რამდენიმე ტაეპი:

²¹ აღნიშნული რეპერტუარები ჩანაწერების სახით გადმოგვცა მიხეილ და ნორა ქობალეზმა. ნ. ქობალია იყო ბ. აკობიას გუნდის წევრი, რომელსაც შემორჩენია ეს ჩანაწერი. შტრ. ქვემოთ, გვ. 120.

ჰაი ძაბრა, სქანი ლურა,²²
სი მზაკვალი ჩხვინდი ლულა...
ჰე ბოშეფი, სორე მუერცუ!
ცანცალქ გემოილე გურცუ!
ქემშეხვარით არძაქ ვარა,
ვორწყუქ მუქო ობკუშენცუ!

ჰაი ძქვაბრა, შენი სიკედლი,
შე მზაკვარო ცხვირბორეცილო!
ეჰე, ბიჭებო, ეგერ მოდის!
კანკალი ამივარდა გულისი
მომეშველეთ ყველამ თორემ,
ვხედავ რომ შემქამს!

ამ სტრიქონებიდან აშკარად იგრძნობა ძ(ვ)აბრას მიმართ სიძულვილისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სულსისკვეთებით განწყობა. კარგი იქნება, თუ ხალხური ლექსის გადაკეთებას არ მიმართავენ ცალკეული პირები, რომლებიც საკუთარი ფანტაზიით ქმნიან ლექსის პირვანდელი შინაარსისაგან დაშორებულ გადმოცემებს, რაც ქვეშა-რიტად ხალხური შემოქმედების სიწმინდეს ზიანს აყენებს.

ძ(ვ)აბრაზე შექმნილ ლექს-სიმღერების წყებას განეკუთვნებიან: თქმულებები ოჩოკოჩზე, ტყაშმაფაზე (ტყის მეფექალზე), ჰინკებზე, ალქაჯებზე და სხვა.

ოჩოკოჩი — ზღაპრული არსებაა. მკვლევართა აზრით, ოჩოკოჩი „ოჩიკოჩადაა“ (ვაცააცადაა) გაგებული, რაც სწორი არ არის. სინამდვილეში, ძველ მეგრულში იგი დიდს, ვეებას ნიშნავდა. მაგ., ოჩე ყვანა (დიდი ყანა). გადატანითი მნიშვნელობით სიტყვა ო ჩ ე ყანას დართვის გარეშეც დიდ ყანას გამოხატავდა. აქედან მომდინარეობს შრომის სიმღერა „ოჩემ ხვე ღო ხვარიელი“, ე. ი. ყანის (დიდი ყანის) ხვაი და ბარაქა მოგვემოდესო. ოჩე (ოჩო) სიტყვის გაგებაში ყურადღებას იქცევს საერთო ქართულ ენაში შემორჩენილი ძირი — „ოჩო“ — ოჩოფხვა, რაც დიდფხვებიანს ნიშნავს და გადატანითი მნიშვნელობით — ხისაგან გამოთლილ, ტბორებსა და ტალახებში სასიარულო საშუალებასაც ეძახიან. ასე რომ ოჩოკოჩი ვეება, ახმახი კაცის გამომხატველი სიტყვაა. ჩვენი აზრით, ზღაპრული „ოჩოკოჩი“ ვეება, უძლეველ ტყის კაცს ნიშნავს (შდრ. ოჩოფხვა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“).

ჰინკებზე და ალქაჯებზე დღემდე გამოუქვეყნებელი და ამ კრებულში შეტანილი მასალებიდან დამახასიათებელია მონადირე მწყემსის და ჰინკების შეხვედრის ერთი ეპიზოდი. მწყემსს — გურკოჩია კონჯარიას. საქონელი ჰყოლია ურთას მთაზე. გურკოჩია მონადირეც ყოფილა. მას ერთ დღეს შველი მოუკლავს და დამით ფარეხში მწვადს რომ წვაედა, ჰინკები შესულან და კერიის მეორე მხარეზე ღრიანცელი აუტეხიათ. თურმე, ნანადირევის თანამონაწილეობა ნდომებიათ. ერთმა მათგანმა უთხრა თურმე გურკოჩის:

²² იხ. ქვემოთ, გვ. 120.

გურკოჩი, ტატალ კოჩი,
დოურთე დო მალას დოჭვი,
ხვალე ჭკუმე, ონჯლორე რე,
სითი ოკეუმ დო მათი ქოფჩი.

გურკოჩი,²³ მშვენიერო კაცო,
დაატრიალე და შეწვი მალე,
მარტო რომ ჭამო, სირცხვილია,
შენც ჭამე და მეც მაჭამე!

გურკოჩის მუგუზლისათვის რომ დაუვლია ხელი, ჰინკები გაქციულანო (მთქმელი შ. კონჯარია, მცხ. ქ. ზუგდიდში).

დღესაც სამეგრელოს მთიან მხარეში ცნობილია გეოგრაფიული ადგილების (ქვაბულებისა და გამოქვაბულების) სახელწოდებანი, რომლებზეც უთითებენ, როგორც ქაჩებისა და ჰინკების სამყოფელ ადგილებზე. მაგ., ქვაჩიში (იგივე ქაჩიში) მდებარეობს ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის ქვევით, სადაც ენგური ტოვებს მთიან მხარეს და დაიკავებს. ამ ადგილს „ლაყოჩისაც“ (ჩასახერგს) ეძახიან, ხოლო ზევით არსებულ გამოქვაბულებს ქვაჩიშს (იგივე ქაჩიშს) ძველთაგან გადმოცემით აღქაჩებისა და ჰინკების სამყოფ ადგილად თვლიდნენ. სოფ. წყაბაშის ჩრდილოეთით არსებულ ქვაბულს ოჩოკოჩების სამყოფელი ჰქვია, ხოლო უფრო ზევით — სოფ. წყაბაშიდან დაახლოებით ოთხ კილომეტრზე არსებულ ციცაბოს „ეშმაკეფიშ ოსხაპუეს“ (ეშმაკების საცეკვაოს) ეძახიან. გეგეჰკორის რაიონის ცენტრის ჩრდილოეთით მდებარე სერი „ტაბაკონას“ სახელითაა ცნობილი. ამ ადგილზე, თურმე, ჰიაკოკონობის ღამეს ეშმაკები მეჯლისს — ტაბლას (მეგრ. ტაბაკს) მართავდნენ და ღრებოდნენო. ეს ჩანს ჩვენს კრებულში შესულ ლექსში — „მაზაკვალეფიში ლერსი“ — (ლექსი მზაკვარებზე).

გარდა ამისა, ეს ლექსი — „მაზაკვალეფიში ლერსი“ — ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ხალხის იმ უძველეს რწმენაზე, რომლის მიხედვით ეშმაკეული თვისების მატარებელი თვით ადამიანთა წრეში არსებობენ. ლექსის შემთხვევლი საზოგადოების სახელით მოუწოდებს ყველას: შეიცნონ ასეთი ეშმაკეული თვისების მატარებელი ადამიანი, დადაღონ შანთებით, ნიშანი გაუყეთონ შუბლზე, რათა შეხვედრის დროს ყველამ შეიცნოს და პირჯვარი გადაიწეროს. ამის შემდეგ მას ვერ ავნებს ავი სული, მას შეეშინდებაო. ავ სულებს (მზაკვარებს) ალალი შრომით მოპოვებული ხვაგი და ბარაქა, ყოველივე ღამაზი და მშვენიერი ეხარბებათ, ამიტომ ხალხი ზიზლით შეჰყურებდა მათ მსუნაგობასო:

²³ გურკოჩი სიტყვისიტყვით ნაწარმოებია მეგრ. გურისა და კოჩისაგან, რასაც საერთო ქართულით შეესატყვისება გულოვანი (გულადი) კაცი.

თე ქიანა მევეკოთამ
ხარენობა-ზაკუსა,
მაზაკვალეფ სოდეთ რენი,
ნოტე შურო ვაეუსა...

ეს ქვეყანა დაულუპავს,
გათვალეას და სიხარბეს,
მზაკერები სადაც კი არიან,
ნეტავი სულაც გაქრენ.

ლექსში ასახულია მავნედ დაბადებულ არსებათა თვისებები, რომ ავი სულები (ვითომც) გათვალავენ კეთილ ადამიანებს და უქარგავენ მათ ბედნიერი მომავლისათვის საქმიანობის უნარს, მათ ათასგვარ ხიფათსა და ფათერაკს შეახვედრებენ. ავი სულები ლამლამობით მგელზე მჭდომნი დათარეშობენ, განსაკუთრებით კი — „ქექეთობაზე“ (კიაკოკონობის ღამეს), რაც წელიწადში ორჯერ იყო — წმინდა ელიასა და მარიამობის დღეს (ძველი სტილით 20 ივლისსა და 15 აგვისტოს).

ელიასა და მარიამობის წინა დღე მზაკერობის დღედ იყო მიჩნეული, ამიტომ ამ დღეს ჯვარს დასვამდნენ ჰიშკარის გვერდით — ეშმაკები რომ შეხედავენ, მავნეობის უნარს დაუქარგავსო. აღნიშნულ დღეებში რაიმე საქმის გაკეთებას ან ეზოს გარეთ წასვლას ერიდებოდნენ, ღამით ცეცხლს დაანთებდნენ ჰიშკარის წინ და საერთოდ თავშესაყრელ ადგილზე, რათა მგელზე მჭდომი ეშმაკები დაეფრთხოთ. ხალხის წარმოდგენით, მარიამობის წინა ღამით ეშმაკები საწნახელში ჩაჯდებოდნენ და იმით დასრიალებენ თურმე, ეს ხალხურ ლექსში შემდეგნაირადაა გადმოცემული:

მარაშნა ქმადღრთენი²⁴,
დიკყანა ოქნახეში რგინაფას,
ხარხის ქაშუუკათუანა
წყარმაკი დო ფშინაფას,
მინც ანთება გეუოლუ,
მინ იკყანც რგილაფას.

მარიამობა რომ მოაღწევს,
საწნახლის გორვას იწყებენ,
ხალხში გაავრცელებენ
წყალმანკსა და სიმსივნეს,
ზოგს ანთება ემართება,
ზოგიც ვაიყვებას იწყებს.

ავსულებზე შეთხზული აქ დასახელებული ლექს-სიმღერები გვარწმუნებს იმაში, რომ ხალხი ცდილობდა, როგორმე შეეცნოთ ავსულა და დაედაღათ ის. ლექსში ნათქვამია: „მზაკვალეფი დამნიშნათ, მისგთი ვაგეწყზნებუნი“ — „მზაკერები მივინიშნოთ (დავდალოთ), ვისაც არ გეწყინებათ“. შემდეგ მათი აზრით, დადალულ მზაკვარს ვნება არ შეეძლო და მას თვით ხალხი იყენებდა სხვა მზაკვართა გამოსაცნობად. ასეთს მეგრელები მენცარს — მისანს ეძახიან. ავი სულების წინააღმდეგ ცნობილია აგრეთვე ასეთი შელოცვები:

1. აღსაო, მალსაო,
თვალმანებელსაო,
ეშეტახა — გურიში ქუა,

აღსაო, მალსაო,
თვალთ მავნესაო,
„ეშეტახა“ — გულისტკივილი,

²⁴ ეს ტაეპი დღემდე გამოქვეყნებულ ტექსტს არ ახლავს.

ზურც ბორზალი,
თოლც ლახვარი,
ემე ჭვარი დაუწერი
სამსამებელსაო.

გულზე ბოძალი,
თვალზე ლახვარი,
ზედ ჭვარი დაუწეროს
სამი სამებისაგანო.

ქართულადაც ულოცავენ:

2. სამოთხის კართან ვიჯექი,
გამოვიდა ურია ქენთელა,
დამგლიჯა, დამქყავლა,
მარჯვენა ხელი წამართვა,
გამოსაგლეჯი...
აღექი მარიამ და შეუყყენ
მავნეს, უი და ვაი,
ვაი და უი.

3. თუ ქალია, თუ კაცია,
გვირგვინოსანი, თუ უგვირგვინო,
თვალში ნაცარი,
გულზე ნახვარი —
დაეცეს სამას სამოცდა სამი
წმინდა გიორგის ლახვარი,
ფუი, ასე გააქრე!

მავნე არსებათა გარდა, ხალხი რალაც კეთილისმყოფელ ძალებსაც ცნობდა. მათი გაგებით, ეს კეთილის მომასწავებელი ძალა იყო „მესეფი“ და ყვავილბატონები. ისინი მათ მიერ დაწესებული კეთილისმყოფელი წეს-კანონების დაცვა-დარღვევის შემთხვევაში სათანადო მოწყალებას თუ სასჯელს დაუწესებდნენ ყოველ ადამიანს. მათ მიერ დაწესებული კანონების დარღვევის შემთხვევაში, რაიმე დანაშაულისათვის, ყვავილბატონები სჯიდა დამნაშავეს. ავადმყოფის ჰირი-სუფალი მოიწვევდა კეთილი საქმიანობით ცნობილ ადამიანებს და ამღერებდა ყვავილბატონების წინაშე მოსანანიებლად შექმნილ საგალობელ ლექს-სიმღერებს, რომელსაც საბოდიშოს ეძახდნენ. მათი ვარიანტები წინამდებარე კრებულში საბოდიშოს სახელით შემოვიტანეთ. ხალხის რწმენით, „მესეფებს“ შეეძლოთ ქცევის შესაბამისად ებოძათ ადამიანისათვის წელიწადი კარგი თუ ცუდი ამინდებით, მიენიჭებინათ ნადირობის ბედი და სხვა. მათ შესახებ, ზემოდასახელებული ლექსების გარდა, მნიშვნელოვანი მასალა მეგრულ ხალხურ პოეზიაში ჯერ არაა ცნობილი. რაც შეეხება დღემდე გამოქვეყნებულ ზღაპრებს, ლეგენდებს და ამ უნარის პროზაულ გადმოცემებს, თანამედროვე მკვლევართა მიერ გამოცემულ მონოგრაფიებში ისინი საკმაოდ ამომწურავადაა განხილული, რაზედაც ჩვენ აქ ყურადღებას ვერ შევაჩერებთ. ზღაპრული ეპოსი ჩვენი კვლევის მიზანი არაა, მხოლოდ ვიტყვი, რომ დღემდე გამოქვეყნებული ზღაპრების უმეტესობა ჩაწერილია მოსწავლე ახალგაზრდობის გადმოცემით (ჩამწერები — ტეპცოვი, სტეფანოვი, პეტროვი, შ. ლომიძე, მ. ხუბუა და სხვა)²⁵. ესენი უფრო საყმაწვილო ზღაპრებია. სხვანაირად არც შეიძ-

²⁵ იხ. СМOK, 5, 10, 18, 24 და მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები. თბ., 1936.

ლება ყოფილიყო, ვინაიდან დიდ ზღაპართა თხრობის ტრადიცია უფრო ღამის თევაზე იყო მიღებული, სადაც ახალგაზრდები არ მონაწილეობდნენ (არსებული ადათის მიხედვით). ახალგაზრდებს აღმზრდელობითი ხასიათის მოკლე ზღაპრებს უყვებოდნენ შინაურობაში და სწორედ ამან განსაზღვრა მათ მიერ ჩაწერილი ზღაპრების საყმაწვილო ხასიათიც. სწორედ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე გამოქვეყნებული ზღაპრები არაა კოლხეთის წარსულისათვის დამახასიათებელ ზღაპართა სრული ნიმუშები.

II. საწინააღმდეგო ლექს-სიმღერები

საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე წარმოიქმნა წესჩვეულება, რომელიც თანდათან ყალიბდება, მკვიდრდება ცხოვრებაში, თაობიდან თაობას გადაეცემა და ამიტომაცაა ნათქვამი: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“.

ამ ნარკვევის ძირითად მიზანს არ შეადგენს წეს-ჩვეულებათა ეთნოგრაფიული აღწერა და მიმოხილვა, მაგრამ მათთან დაკავშირებული და შორეულ წარსულში შექმნილი ლექს-სიმღერები თვით ჩვეულებათა ზოგადი დახასიათების გარეშე მანაც გაუგებარი იქნება. ამიტომ საჭიროდ მივიჩნით მათთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოკლე შენიშვნების გაკეთება.

უწინარეს აქ უნდა შევჩერდეთ დაბადების, ქორწილისა და გარდაცვალების ყოფასთან დაკავშირებულ საწესჩვეულებო ლექსებზე.

ბავშვის დაბადება ყოველი ხალხისათვის სიხარულის მომგვრელია. ძველ სამეგრელოში ყველაზე უფრო სასიხარულო ყოფილა ძეობა — ვაჟის დაბადება. მას თოფის სროლით — შედლუხით ხვდებოდნენ. ქალიშვილის დაბადებისას თოფს არ ისროდნენ, თითქოსდა იმიტომ, რომ კაცის საქმეს მოჰკიდებს ხელს, მანდილოსნის საქმეს გადაუდგებაო და საბოლოოდ არცერთი ცდა კეთილად არ აუხდებოა. ამიტომ ქალიშვილის დაბადების დროს თოფის გასროლა სარწმუნოებრივ ცოდვად ითვლებოდა — ვაშინერცია (არეგებისო). ორსულს თუ დრომდე მშუცელი ასტიკვდებოდა, უდროო მშობიარობის ასაცილებლად შემდეგი სახის შელოცვა სცოდნიათ:

ადამ-ევა სამ დეიძახა,
სამი წყარი წყარათიშა,
ცგხა მაგდა, კოშკდა მაგდა,
დედას შვილამდის მოხლა-მოვენსა
არაიყუნება შენ, არაიყუნება შენ,
არაიყუნება შენ²⁰.

²⁰ მთქმელი ლუკა გოგუა, ს. ჩხორია, ზუგდიდის რაიონი. ტექსტი არ ითარგმნება. კ. ს.

როცა მშობიარობა გართულდებოდა, „სულემის“ მფლობელს გამონახავდნენ და სულემას დაუდებდნენ სასთუმალზე მშობიარეს. ეს უებარ წამლად ყოფილა აღიარებული და ამიტომაცაა ნათქვამი:

მელე სი დო მოლე მა,
აღმასი დო სულემა²⁷

გალმა შენ და გამოლმა მე,
აღმასი და სულემა.

ე. ი. ცხოვრებაში ყველაზე უფრო საკირო და წმინდა არსებანიო. შინაარსის მიხედვით ნიშნავს: ერთმანეთის პირისპირ ვართ აღმასი და სულემაო. ბავშვის დაბადებისთანავე მას ნერჩის (სახლის ფუძის) მფარველ ანგელოზს შეავედრებდნენ, ლოცვას გადაუხდინდნენ იმ სახით, როგორც ეს ს. მაკალათიას აქვს აღნიშნული²⁸.

ბებია ქალები ბავშვს სახელსაც შეურჩევდნენ, რასაც დედა ნათლობის დროს მღვდელს ეტყოდა. მღვდელი კალენდარში ჩახედავდა და დაბადების რიცხვის შესაბამისი სახელის დარქმევას ურჩევდა მშობლებს. ნათლობის შემდეგ სახელი მეზობლობაშიც გახდებოდა ცნობილი. მშობლები ბავშვის დაბადებისათვის, რიცხვისა და მთვარის მოქცევის მიხედვით დაიწყებდნენ წინასწარმეტყველებას მის მომავალ ბედზე. არსებობს წარმოდგენა, თითქოს, ბავშვს (ძალიან იშვიათად) დაბადებისას უჩინ-მაჩინის ქუდიც მოჰყვებოდა. ასეთი ბავშვი ქვეშ-ქვეშა, მზაკვრული თვისებებისა იქნებოდა²⁹.

აკვანში მწოლიარეს დედა ნანას უმღეროდა; „ნანაში“ ჩართული ლექსებიდან მოგვყავს შემდეგი:

1. აჩუ, აჩუ კეკენია,
კეკე ცხენუ გეხენია,
ონანგერი ხარხუნტელი,
ქული მონოქკარქკუნტელი.

აჩუ, აჩუ კეკენია (პატარა ცხენი),
კეკე ცხენზე შემქდარა,
უნაგირი „ხარხუნტელი“³⁰
ქული კრულ-კრულით მოხატული.

2. ნანაა, ნანა სქუა
ნანაშ(ი) კირიმა,
არკვანიშა იშამჩანუ
ვარდიში პირი მა..

ნანინა, ნანა შვილო,
ნანას კირიმა,
აკვანში მიწევს
ვარდის კოკორი მე...

3. სისა ტურა მუურცია,
ამარ (ი) ტურა მუურცია,
იამანიშო³¹ თოლი გილუ
სქანი კირი მა...

სისა, ტურა მოდისო,
აგერ ტურა მოდისო,
იამანის თვალები გაქვს
შენი კირი მე...

²⁷ სულემა (სულემისა) ქლორის, სინდიყის ძლიერ შხამიანი, თეთრი ფხვნილი; იხმარება მედიცინასა და ტექნიკაში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., 1960, გვ. 1170).

²⁸ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

²⁹ მთქმელი ლუკა გოგუა, ს. ჩხორია, ზუგდიდის რაიონი.

³⁰ ხარხუნტელი იგივეა, რაც „ქკარქკუნტელი“, ორივე სიტყვა კრელის სინონიმებია.

³¹ იამანი (იამნისა) ძვირფასი ქვა, აქარი, აყიყი („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ტ. IV, თბ., 1955, გვ. 527).

ქუჩუჩელი ვარდი რეკ,
ბეა დო თუთაში ნარდი რეკ,
დიხუხინე გოლვაფირო,
სქანი კირი მა!...

გაფურჩქენილი ვარდი ხარ,
მზის და მთვარის გაზრდილი ხარ,
ძილინებისა შემოგველე,
შენი კირი მე...

4. დიღამ(ი) გურკუ ახარენც,
უძიციანც მაგალეცჷ;
ანგილოზეფ (ი) გახურთქინ,
იში კირი მა...

დედის გულსა ახარებს,
უცინის (მის) ტოლებს;
ანგელოზები, „გახურთქინა“
მისი კირი მე...

შვილით გახარებული, ამღერებული დედა აკენის სახელურზე გადაწოლილი ძუძუს აკმევედა თავის პირმშოს და ზოგჯერ გამოცანასაც დაამღერებდა:

ერთი სტუმარი მეწვია,
მისდღეში უსტუმრებელი,
ორი ულუფა მივართვი
სუფრაზე დაუდებელ³² და სხვა...

დედის ამდაგვარი, აკვანთან საგალობელი, „ნანა“ დამახასიათებელი იყო საქართველოს ყველა კუთხისათვის, მაგრამ აკენის სიმღერას და მასში ჩართული ლექსების სასიხარულო ტონს ცვლიდა სტიქიური და სოციალური შავბედობით გამოწვეული პირობები; „თურქიანობისა და თურქობის „პერიოდი დღესაც მწარედ მოსაგონარია. ქართველისათვის. ამაზე სამეგრელოს ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდებაც მეტყველებს: ცხაკაიას რაიონში ამჟამადაც უთითებენ მდინარე ტეხურაზე მორევს, რომელსაც „დედამოკას“ (ფეხმძიმე დედას) ეძახიან. გადმოცემით, აქ თურქი გამოჰკიდებია ორსულ დედაკაცს („მონკათ ოსურკუ“), ეს უკანასკნელი რომ დადლილა, თავის დაღწევის იმედდაკარგული, მორევში გადავარდნილა და თავი დაუხრჩვია. ასეთ ეპოს, გაუბედურებულ სამშობლოში ყოველგვარი სიმღერა და მათ შორის აკენის სიმღერებიც აღსაქვსა მტრებისადმი სიძულვილის გრძნობით, ამათგან ერთი — „ნანა თურქობის დროისა“ გამოქვეყნებული აქვს ი. ყიფშიძეს³⁴. ახლად ჩაწერილთაგან აღსანიშნავია — „ნანაია დელი-დელი“:

³² გახურთქინ — სიტყვისიტყვით: ფრთაზე ფრთის შემოკერით, ფრენით გარსულის.

³³ მთქმელი სპირიდონ კვარაცხელია, ქიონია ევანია (ქ. ზუგდიდი) და ზინა თოდუა-შელიასი, სოფელი დარჩელი, ზუგდიდის რაიონი, ჩამწ. კალისტრატე სამუშია, 1973 წ.

³⁴ ი. ყიფშიძე, Грам. мингр. яз., გვ. 138; შდრ. ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), გამოსაცემად მოამზადა კ. სამუშიამ, თბ., 1971, გვ. 20.

ნანია დელო-დელო,
გვილირი თურქიში საწებელი,
ირო ბქკუშუ, აწომდგენი,
გებრძლუშქუ, ირო ფჩენი

ნანია დელო-დელო,
მოკლული თურქი საწებელით
რომ მომართვან, გვამ ყოველთვის,
არ გავძლები, სულ მაქამოშ³⁵!

ასეთია მიმოხილული წყაროების სასიხარულო და გულსაკლავი მონაცემები.

დღემდე გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა და ტრადიციული გადმოცემაც იმას გვიდასტურებს, რომ ძველ კოლხეთსა და მის მეზობელ სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმშიც სარძლოს აკვანშივე დანიშვნის შემთხვევებიც ყოფილა.

საცოლეს გატაცებასთან დაკავშირებით სოფელ ორსანტიაში ჩავწერეთ დამახასიათებელი ლექსი — „გოგოს გატაცება“, რომელიც ერთვის ამ მონოგრაფიას³⁶: ლექსი აშკარად გვამცნობს ქორწინების ამ არასასურველ შემთხვევის მაგალითებს:

დღდმაყარე რაგადანც—
არიქა, „დადა“ გელია,
ბარგი ოკო ქგმკიქუნე,
მუთა გოხვარ მეტია,
ათენა რე ჩქე მოპუნანი,
სქან ილბალ ღო ბედია.

თავმაყარი ლაპარაკობს —
არიქა, დაიკო, აღექიო,
ტანსამოსი უნდა ჩაიცივა,
არაფერი გშველის მეტია,
აი, ესაა, ჩვენ რომ მოგვყავს,
შენი ილბალი და ბედია!

ძღაბი: —მა ის ვაგაუნუქუქუ,
მუქო ჭიმას-სოფროსენი,
დღაშდღდიშე ქგმარზენდას
ქესაში ეფშა ოქროსენი!“

გოგო: — მე მას არ ვაგეყები,
როგორც ჩემს ძმას—სოფრომსაო,
ყოველდღიურად რომ მაძ ლევდეს
საესე ქისა ოქროსაო!“

სასინდო: —ძღაბ(ი) ვარიას რაგადანცო?
ენა ახალი მოდა ვარე.
დღოუნძალით ღო ქგმკაქუნით
ის ჩერჩელაფა მალე!

სასიძო: — გოგო უარს თუ ამბობს,
ეს არაა ახალი მოდა,
დააძალეთ და ჩააცვიოთ,
მას თრევა მოუხლება!

მიუხედავად ასეთი არასასურველი ქორწინების შემთხვევებისა, სამეგრელოში ძირითად ჩვეულებად მიანც ნებით ქორწინების ტრადიცია ითვლებოდა, რომელიც ზოგჯერ მაქანკლის ჩარევით გვარდებოდა.

სურვილით ქორწინების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქალის შობლებს თანხმობით სასიძოს მოწვევას, რასაც ადგილობრივ ენაზე გინოძირაფას — თვალთ გასინჯვას ნიშნავს. ორივე მხრიდან

³⁵ მთქმელი ოლია სამუშია-ფიფიასი. ჩამწ. კ. სამუშია, სოფ. ორჯონიკიძე, შალენ-ჯიხის რაიონი, 1935.

³⁶ იხ. ქვემოთ, გვ. 131.

თანხმობის შემთხვევაში ხდებოდა გოგოს ნიშანუა (იგივე — შანუა) ნიშნობა. დანიშნულ ქალს ერთი წლის განმავლობაში უნდა დაეყო მშობლიურ ოჯახში. ამ დროის მანძილზე მას უმზადებდნენ მზითვეს და საქორწილო ტანსაცმელს. ქორწილის დღეს როგორც ქალიშვილის, ასევე ვაჟის მშობლების ოჯახში იმართებოდა დ ი ა რ ა — საქორწილო სუფრა. სასიძოს მხრიდან გამოგზავნილ მდადე-მაყრებს სასიძო არ მოყვებოდა. მათ ახლდა ნდობით მოსილი ახლო ნათესავი, რომელიც მაყრიონის თავკაცად ითვლებოდა და ცდილობდა ქალის მშობლების ოჯახში გამართული საზეიმო სუფრისათვის, რაც შეიძლებოდა, მალე დაეღწია თავი, მაყრიონი არ დათრობოდა და აყალმაყალის გარეშე პატარძალი დროულად და მშვიდობით მიეყვანათ ვაჟის ოჯახში. ამიტომ მის მითითებებს დანარჩენები სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ. სამაგიეროდ მასპინძლის მხარე ცდილობდა დიდხანს დაერჩინათ მაყრიონი და დაეთროთ. ასეთ დაპირისპირებას ხშირად აყალმაყალიც მოჰყვებოდა ხოლმე.

სასიძოს სახლს რომ მიუახლოვდებოდა მაყრიონი, უფროსი გამოჰყოფდა მახარობელს, რომელიც ცხენის ჭენებით ყველაზე ადრე შეივრებნდა ეზოში ლექს-შაირების სიმღერით და წირღვს (ბარკალს) მოითხოვდა. როცა მას მისცემდნენ ბარკალს, რაიმე სახუმარო ლექს-სიმღერას შემოსძახებდა და უკან გაბრუნებული მაყრიონს მიეგებებოდა. „ამის თაობაზეა შექმნილი ვინმე საბაიას მიერ ერთ-ერთ ქორწილში ნათქვამი ლექსი:

დუღმაყარე გოხოლუთუ
საბაია ბარღეფული,
ხვალე მობრთინ ვაიჩქედან,
ართო ვორეთ არყებულთ!

მაყრიონის თავკაცი გახლავართ,
საბაია ბარღეფული,
მართოდ მოსული არ გეგონოთ,
[ყველა] ერთად ვართ დამრული!³⁷

პასუხი იაკობ გულუასაგან, ექსპრომტად თქმული მასპინძლის მხრიდან:

ვითი ხოჯი დოიცილით,
ხოლო ვარე ბაღებულთ,
ირკოჩ ართო მუს მიშით?
დუღ რეოფუნა არღებულთ!

ათი ხარი დაგიკალით,
კიდეე არაა საქმარისი,
ყველანი ერთად რად მოდიოდით?
ყოფილხართ თავაგდებულნი!

მაყრიონი გზადაგზა მღეროდა საქორწილო სიმღერებს. მათ შორის „კუნტა ბედნიერას“ („მოკლე ბედნიერას“), რომლის მისამღერი იყო „მა თინა რე მახარენც“. ამ ტრადიციის გამომხატველია ლექსი:

³⁷ ქ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971, გვ. 102. ქვემოთ ყველგან მითითებულა ეს კრებული.

მა თინა რე მახარენც
მოკუელუ³⁸ მეღუესუ მაყარფეც,
ახალგაზღდა ბოშეფც დო
ცირეფც-მუში მახანეფც.
მოკუელუს ქიმოღუნანა,
კუნთხუს ქენარინუნა,
ქიციას ქიგნაფორანა დო.
კოც ვენაჩინუნა,
ამსერ(ი) თაში თხილანა დო

მე ისაა რომ მახარებს,
პატარძალი მიჰყავთ მაყარებს,
ახალგაზღდა ბიჭებსა და
მის თანატოლ გოგონებს.
პატარძალს რომ მიიყვანენ,
კუთხეში დააყენებენ,
მანდილს გადააფარებენ და
კაცს არ შეახელებენ,
ამელამ ასე უვლიან და

სიძის ოჯახში შესვლისთანავე მაყარიონი საერთოდ ცნობილ საქორწილო სიმღერას „კუჩხბედინერას“ (ფეხბედინერას) შემოსძახებდა. მას ეზოში, ქიშკრიდანვე იწყებდნენ. მასპინძლის მხარე შედლუხით ხვდებოდა. პატარძალს პირველად დედამთილი მოეგებებოდა, რომელსაც ჯამით ხელზე ედო ტკბილეული და ფეტვის მარცვალი; პატარძალს გზადაგზა (წინ) დაუყრიდა ფეტვის მარცვალს (გამრავლების ნიშნად) და თავისავე ხელით ტკბილეულს აკმევდა „ასე ტკბილად ყოფილიყო ჩვენს ოჯახშიო“ (თვითონ პატარძალიც ფანტავდა ფეტვის მარცვალს). სახლში რომ შედგამდა ფეხს პატარძალი, უწინარეს შესასვლელთან გადაჯვარედინებულ ხანჯლებს ქვეშ (ალაიაში) გაატარებდნენ; მაყარიონიც თან შეჰყვებოდა. დარბაზში მთლიან ხაქაპურებს ისროდნენ მაღლა. მის დაქერაში მაყარები ერთმანეთს ეჯობებოდნენ და ამიტომ დარბაზში შეიქმნებოდა წიწწვა-გლეჯა ამ ხაქაპურისათვის.

სეფაში პატარძლის შეყვანისას მაყარიონი მას კუჩხბედინერის მღერით ხვდებოდა. აქ საქმროს გამოჩენა მიუღებელი იყო. პატარძალს ახლდნენ მხოლოდ მეჯვარე საქმროს მხრიდან და მდადე ქალიშვილის მაყარიონიდან³⁹.

სეფის შემოვლის შემდეგ პატარძალს გაიყვანდნენ და ცალკე ოთახში დასვამდნენ.

საქორწილო სუფრა გათენებისას უნდა დამთავრებულიყო. თამადის მოადგილე, თუ სანაქებო კაცი იქნებოდა, საპასუხო სადღეგრძელოებს დილამდე მოიღევდა. მას ჯერ კიდევ ხის ტოტზე მჯდარი დე-

³⁸ „მოკუელუს“ გაგებაში ვერ დავეთანხმებით დიდად სახელმოხვეკილ მეცნიერს თ. სახოკიას, რომლის განმარტებით „მოკუელუ“ ქუვადუს (ამოწყვეტას) ნიშნავდეს (თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1956 წ.). ნამდვილად „მოკუელუ“ ნიშნავს არა ამოწყვეტას, არამედ მოწყვეტას („მოწყვედუსა“). იგი ლოგიკურადაც უთითებს მის შინაარსზე: პატარძლის მოწყვეტას მამის ოჯახიდან.

³⁹ დადეს (მდადეს) სამეგრელოში მაყარად მიმავალ იმ მანდილოსანს ეძახიან, რომელიც ქორწილის დროს მოუცილებლად ახლავს პატარძალს და თადარიგს აძლევს მას.

დალი უნდა ჩამოეგდო თოფის ერთი გასროლით და იგი ოჯახის დედა ქალისთვის უნდა მიერთმია. ქათმის მკვლელი შემდეგ ხელპირს დაიბანდა, ცხენზე შეჯდებოდა, დანარჩენები მას მიჰბაძედნენ და ერთხანს ეზოში ჭირითობდნენ. რომელიმე მათგანი, ვისაც კარგად გაწვრთნილი ცხენი ჰყავდა, შეიძლებოდა სახლის აივანზე ასულიყო მხოლოდ ერთხელ. ამის განმეორება არ შეიძლებოდა, — მასპინძლის შეურაცხყოფად ითვლებოდა. შემდეგ სტუმრები სიმღერითა და ცხენების ჰენებით გასცილდებოდნენ ოჯახს. სტუმარ-მაყრები ცხენზე ამხედრებულ სიძეს უნდა გაეცილებინა კარგა მანძილზე.

მაყრონის გაცილების შემდეგ, მასპინძლისა და სუფრის მსახურთა გარდა, წინა ღამეს სუფრის მონაწილეთაგან დარჩენა ოჯახში თავმოყვარეობის შელახვად ითვლებოდა. ასეთი სუფრა სახასიათო არ იყო, ის შეზღუდული იყო საერთოდ მიღებული ტრადიციით, რომელსაც მტკიცედ იცავდა მხოლოდ გლეხკაცობა. რაიმე მიზეზით სუფრიდან ამდგარი კვლავ ვერ დაუბრუნდებოდა სუფრას, — უზრდელობად ითვლებოდა.

პატარძლის შემოსვლასთან დაკავშირებით წამოწყებული „კუჩხიბედინერი“ სეფიდან პატარძლის გასვლით თავდებოდა. შემდეგ მას მოჰყვებოდა სხვა სუფრული სიმღერები — „გინძე კუჩხა ბედინერა“ (გაბმული ფეხბედინერი), „გეფშვათ ღვინი ხარათია“ (დავლით ღვინო ხალნითაო) და ა. შ. ასევე ღვინოს სმაში წამაქეზებელი მრავალი სახის სიმღერა, როგორცაა: „გექურ-გექური“ (მიეძალე და დალიე), „უჩარდია უჩა კოჩი, ვაშუნდი და მუშა მორთი“ (შავგვრემანო, უჩარდიავე, თუ არ სვამდი რისთვის მოდი). დიდი სიხარულით შეხედებოდნენ, თუ ვინმე შესძლებდა, დაცლილი სასმისი შაირ-მილექსით გადაელოცა სხვისთვის. ექსპრომტს თუ ექსპრომტითვე უშასუხებდნენ, ვაყვაცობად ითვლებოდა⁴⁰. ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებითაა შექმნილი დამახასიათებელი სტროფები:

გეშვია, გეშვია,
ახალი ღო ჯვეშია,
ჯვეშ კოჩიში ოშვეში
ღვინიში ოჭგრეშია...
გეშვი ღო ქღდმახეამი,
აშო მოშიჩაქალე,
მა თიქ ვეშმაშულა,
მარან გჰოსარგალე!

დალიე, დალიე,
ახალი და ძველია,
ძველი კაცის უღვაშები
ღვინის საწურელია.
დალიე და გაღმომილოცე,
აქეთ მოაჩაქჩაქე,
მე თუ ის ვერ გამოეცალე,
მარანი შემომარჩიალე!

⁴⁰ საქორწილო სასიმღერო რეპერტუარების შესახებ გაღმოცემა ვკუთვნის ძველებური სიმღერების მცოდნე ვლადიმერ სალიას (ქ. წალენჯიხა).

მიუხედავად ასეთი ხასიათის მიწალებული სმისა, სუფრის ყოველი მონაწილე ცდილობდა, სუფრაზე მოკრძალებული ყოფილიყო და ღვინო ზომიერად დაეღია, რომ გადამეტებული სმით დადგენილი ტრადიცია არ დაერღვია და სოფლის ყბადანსალები არ გამხდარიყო. ასეთ დროს ღვინოს სმის მოყვარულნი დიდი მოკრძალებით იქცეოდნენ, რომ წესისამებრ ბოლომდე შერჩენოდნენ სუფრას. ასეთ მომლხენტა გამოთქმული უნდა იყოს რაჭა-იმერეთიდან შემოსული სტროფი:

ღვინოვ ჩასულო კურშია,
შენ გენაცვალე სულშია,
მათრობელა ნუ შემექმნები
ქეიფის მიწურულშია.⁴¹

ღვინოვ, შე ქაჭანაკის ძვე,
უცეცხლოდ ამოსდულღები,
ქკვიანი კაცთან ბრძენი ხარ,
უკუოსთან ამოქუხნები.

დროგამოშვებით სეფაში დაშვებული იყო ცეკვა-თამაში ან მელექსეთა გაშირება. მუსიკალურ ხელსაწყოებს შორის ძირითადი იყო ჩონგური და დაირა.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თამადის (ტოლბაში) გადადგომის შემდეგ მის მოადგილეს (მეგრ. მოპირდაპირე, ბილბაში) უნდა დაესრულებინა სუფრა, მაგრამ თუ თამადა კიდევ აქ იყო და შეეძლო სმა, მას უფლება ჰქონდა „ოლურკულა“ (წასვლის კულა)⁴² მოეთხოვა და გზა დაელოცა სტუმარ-მაცრებისათვის. ეს მხოლოდ ამ ორს უნდა დაეღია. დანარჩენები კი ამ დროს ცნობილ წამქეზებელ 'სიმღერას — „ოლურკულას“ (წასვლის კულას) უმღეროდნენ:

ჰოი, ოლურკულა რე,
თენა მისგო(ი) ვეშაშენი,
თელოღურა რევი;
გეშაშვი დო გეშარუჭკი⁴³
ეუჩა ულა რე!

ჰოი, წასვლის კულაა,
ამას ვინც ვერ გამოსცლის,
ცოცხალმკვდარია;
დალიე და ამოწრუპე,
წასვლის ეამია!

ასეთ ქორწილში მკაცრი ტრადიციული წესის მიხედვით მაცრად მონაწილეობის მიღება ყველას როდი შეეძლო; ასეთი უნდა ყოფილიყო ტრადიციის მცოდნე, კარგი მხედარი და მომღერალი, მომლხენი და თავაზიანი. რჩეულ კაცსა და ქალს, თუნდ ნათესავეც არ ყოფილიყო, მაცრად თუ მდადედ მიიწვევდნენ ქორწილში და ზოგიერთიც, თურმე, სანაქებოდ ჰყავდათ ამორჩეული სოფელში; იტყოდნენ:

⁴¹ მოქმელი მიხა ცხვირაეშვილი (დურგალი რაჭიდან).

⁴² ოლურკულა (წასვლის კულა) — მზადდებოდა ბზისაგან, ჩიბუხის ფორმა ჰქონდა და თავდახშული იყო; ჰქონდა თითის სიშხო ტარი, საოდანაც უნდა ჩაესხათ და შემდეგ გამოეწრუპათ ღვინო. კულას გრძელ და ვიწროყელიან სურასაც უძახოდნენ, მაგრამ იგი პირველის სახელია.

⁴³ გეშარუჭკი — ამოწრუპე ისე, რომ სასმისს კრიალი გაჰქონდესო.

ორმოცეტი უფრო მეტი მაყრობა გადახდენია და აყალმაყალი არსად არ მოსვლიაო. აქ მარტო სმაში არ იყო საქმე; ეს წარმოადგენდა ერთგვარ შეჯიბრს დარბაისლობასა და მხედრობა-ცეკვა-თამაშში.

მთქმელთა გადმოცემით⁴⁴, ძირითადად ასეთი ყოფილა ქორწილის ჩატარების წესი ძველ ოდიშ-სამურზაყანოში. ქორწილის დროს გლეხკაცის ოჯახში მოწვეულნი 70—80 კაცამდე თუ იქნებოდაო, ხოლო თავად-აზნაურისა თუ მემამულისას — 150—200-მდეო. ქეიფი რამდენიმე დღე გრძელდებოდაო. ეს თვით მექორწინეთა ოჯახის შეძლებასა და ახლო ნათესავეების სიმრავლეზე ყოფილა დამოკიდებული. გარეშე პირთა მხრივ რაიმე შესაწევარი ხარჯები მიუღებელი ყოფილა (მასპინძლის შეურაცხყოფად ითვლებოდა). მიღებული ყოფილა მხოლოდ ახლო ნათესავეების მხრივ ასეთ შემთხვევაში რაიმე ნივთის ჩუქება პატარძლისათვის. დიდ ღირსებას იმსახურებდა პირადი ნახელავის საჩუქრად მირთმევაო.

თავად-აზნაურთა ქორწილში გართობის ცერემონიალი უფრო ფართო მასშტაბით ტარდებოდაო (ჯირითში სროლა, მარულა, საგანგებოდ მოწვეული მომღერლები და მელექსე-მოშიარენი).

უცხოელ მოგზაურთა და მთქმელთა გადმოცემით, რამდენიმე დღით ქორწილისა თუ ლხინის გაგრძელება დამახასიათებელი ყოფილა მხოლოდ მებატონეთა უმრავლესობისათვის, რომლებიც ყმა გლეხის ნაშრომის შემყურენი ფუქსავატურ ცხოვრებას ეწეოდნენ, ღრეობაში ატარებდნენ დროს და, ეროვნული ტრადიციების გარდა, ათასგვარი გადაჭარბებულ თავისებურებებით აზვიადებდნენ ქორწილისა თუ ლხინის წეს-ჩვეულებას. როგორც წესი, ყმა-გლეხს არ შეეძლო მებატონეთა სუფრაზე მჯდარიყო ან ჯირითში გასულიყო. გლეხები ცალკე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გამონაკლისი აქაც ხდებოდა. გვანჯი ჩიქოვანის გადმოცემით, „გასული საუკუნის 70-იან წლებში სოფელ ჭკადუაშელ (ზუგდიდის რ.) მებატონეს გიორგი დადიანს შეურთავს წულუკიძის ასული ხონიდან. ქორწილის მესამე დღეს ჯირითი გაუმართავთ. ერთიმეორის საპირისპიროდ გამოსულან ნეფე-დედოფლის მაყრები. დადიანის წინასწარი გაფრთხილებით, მის ცხენოსანთა ჯგუფში ერია, თურმე, აზატი გლეხი (ძუძუმტე დადიანისა) — ტოტი ჭითანავა, რომელიც ძალიან გაწვრთნილი ყოფილა ცხენოსნობაში. ჯირითის დასასრულს იგი გამარჯვებულ ხონელ წულუკიძეს გაჯიბრებია, რომელმაც თურმე ძალიან ახლოდან ესროლა ჯირითი. ისარი გლეხს ხელით დაუჭერია. მაშინ გაბრაზებულ წულუკიძეს გამოუტაცნია იგივე

⁴⁴ მთქმელები — ბოჯო ცატავა (118 წლის, სოფელი რეჩხოცხირი, ვალის რაიონი) და აწვანსვენებულნი — კაკა ევანია და გვანჯი ჩიქოვანი (ჭ. ზუგდიდი).

ისარი და კითანავასათვის ბეჭებზე დაურტყამს. ტოტის სამაგიეროდ დამბაჩა დაუცია წულუკიძისათვის, იგი თავგახეთქილი ჩამოუგდია ცხენიდან და გაქცეულა. მეორე დღეს, მწოლიარე წულუკიძეს ტოტი შოუთხოვია — მოვიდეს და მინახულოსო. დადიანს შეშინებია: ვაითუ ესროლოს და მოჰკლასო! ტოტის გაუბედნია შესვლა. დაშავებულ წულუკიძეს სასთუმლიდან მოოქროული დამბაჩა გამოუღია, საჩუქრად გადაუცია ტოტისათვის და უთქვამს: რაც მე მჭირს, ნასვამობით მომივიდა, ახია ჩემზე, რადგან მე წესი დავარღვიე; შენ კი მამაცურად დაიცავი იგი და ამიტომ ეს მიჩუქნიაო⁴⁵.

დასახლებული საქორწილო ჯირითის მაგალითიდან ჩანს, რომ ქართული ტრადიციის მტკიცე დამცველნი უმთავრესად მდაბიონი იყვნენ. გადაგვარებული მალალი წოდება ფორმალურად ელოლიავეზოდა მას, მათი ქორწილი და ლხინი ქართულ ეროვნულ ტრადიციას ყოველთვის არ იცავდა.

ყველაზე უფრო საგულახხმოდ მიმაჩნია XVII საუკუნის იტალიელი მისიონერისა და მოგზაურის ფრანგი ჟან შარდენის შენიშნული შემთხვევები; საკუთარ სამლოცველოდან (მარნიდან) გამოსული და ღვინით შეფიცხებული მეგრელები, საერთო სამლოცველოში (ეკლესიაში) წირვაზე მოსულნი, ხატის წინაშე თამამად იქცევიან⁴⁵. ისინი გაკვირვებით აღნიშნავენ: „სადაც ეკლესიები არ არის, მარანი ზნირად ეკლესიის მაგივრობასაც სწევს. წმინდა წირვის შესასრულებლად საუკეთესო ადგილია მარანი, ბავშვების ნათლობასაც აქ აწყობენ“⁴⁶.

ქართველი კაცის ოჯახში საკუთარი მარან-სამლოცველოს არსებობა წარმართობის დროინდელ გადმონაშთად ჩანს. 1940 წელს სოფ. ჯაფარიძეში (წითელწყაროს რ.) ერთმა ხანდაზმულმა ბერიკაცმა იაგორ ლაპიაშვილმა გვითხრა: „იციო, შვილებო, წინაპართა გადმოცემიდან მახსოვს, წმინდა ნინო ვაზის ჯვრით რომ არ შემოსულიყო საქართველოში, ქართველები ქრისტიანობას არ მიიღებდნენ“.

ამ ლეგენდაში შეიძლება ჰუმზარიტების ნაპერწკალიც ვეროს. ქართველობას სჩვევია ვაზისადმი სიყვარული და სანთელ-საკმეველთან ერთად, ღვთის სადიდებლად ვაზი და ღვინოც მიაჩნდა⁴⁷.

საღვთოდ დაწესებულ უქმე დღეს მუხლმოყრილნი შემოუდგებოდნენ ქვევრს; ოჯახის თავკაცი ან ვინმე სხვა მოწვეული მლოცველი ამავე ქვევრიდან ამოღებულ ღვინოს, შეწირული საქონლის თავსა და

⁴⁵ ე. შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975, გვ. 185 — 186.

⁴⁶ ჯ. ჯ. ჯუდიჩე, წერილები საქართველოზე, თბ., 1964, გვ. 99.

⁴⁷ ე. შარდენი, იქვე.

გულ-ღვიძლს, ანთებულ სანთელთან ერთად, ყველას შემოავლებდა თავზე: შემდეგ ცალკე სუფრაზე დასხდებოდნენ და ნალოც ღვინოს ზომაზე მიირთმევდნენ... (მოქმედი 95 წლის ლუკა გოგუა, სოფ. ჩხორიადან, ზუგდიდის რ.). ჩვენი თანამედროვე მკვლევრები ისტორიის ასევე უთითებენ საქართველოს შესახებ თემურლენგის მემკვიდრეთა მასალებზე, სადაც ნათქვამია: „ძეოფე ად-დინ ალი იეზიდი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართველი ქალის თუ კაცის ბედნიერება უღვინოდ შეუძლებელი იყო. ღვინო ამშვენებდა ქართველი კაცის ჭირისა თუ ღვინის სუფრას“⁴⁸.

კეთილი კაცის პურ-მარილზე არსებობს ლექსი:

კარგი კაცის პურ-მარილი
ზღვაში ხიდად გაიდება,
იგი კაცის პურ-მარილი
პირშიც აღარ ჩაიდება...

ეს დიდებული ტრადიცია ჩერ გადაგვარებულმა თავადაზნაურობამ და შემდეგ კი კაპიტალიზმის ეპოქამ თვალთმაქცობისა და მლიქვნელობის სასუფეველად აქცია და გააყალბა. დღეს ის უნდა აღსდგეს თანამედროვე ეპოქის მაჩისცემის შესაბამისად, ყოველმა პატიოსანმა ადამიანმა უნდა აღმართოს მახვილი გაყალბებული ტრადიციების აღსაკვეთად...

მიცვალებულის გლოვისა და დასაფლავების ძველებური ტრადიცია ოდიშ-სამურზაყანოში ამ ახლო პერიოდამდე წესიერად იყო შემორჩენილი. მისიონერები ლამბერტი და ჯუდიჩე მისი მხოლოდ სქემატური აღწერით კმაყოფილდებიან. ძალიან ცოტაა ნათქვამი ზარით დატირებაზე, გალობაზე და მოთქმით ტირილზე, რასაც ამ შემთხვევისათვის წამყვანი დანიშნულება ჰქონდა.

ისინი მართლნი არიან, როცა არ უთითებენ გლოვის ეამს „საკრავიერი“ სამგლოვიარო ჰანგ-მელოდიების არსებობაზე მიცვალებულის დატირება-გასვენებაზე. სამგლოვიარო ცერემონიალის დროს „საკრავიერი“ ხელსაწყოების გამოყენებას ძველს სამეგრელოში ადგილი არ ჰქონდა. ამ უახლეს პერიოდში, როცა ჩონგური და მასზე მისამღერი ლექსები (მიცვალებულის შესახებ) გამოჩნდა, მას ძველი თაობა უკმაყოფილოდ შეხვდა: — ჩონგურს ჩვენი წინაპრები ღვინის დროს უკრავდნენ და გლოვის ეამს ჩონგურის გამოჩენა ვინ მოიგონაო — ნაწყენი აცხადებდნენ ისინი. მიცვალებულის გლოვა ცეკვა-თამაშად გადაგვიქცოესო, სატირალში სამარხვო საქმელის მეტი ჩვენ

⁴⁸ დ. კ ა ე ტ ა ძ ე, საქართველო XIV — XV საუკუნეთა მიწაზე, თბ., 1975, გვ. 209.

არ გვინახავს და არც გაგვიგონიაო, ახლა კი სულგუნნი და ხორცის ჭამა და დიდი სასმისებიც შემოიღეს. ნუთუ ლხინი და მწუხარება კაცმა ერთმანეთისაგან ვერ განასხვავოს?!

როგორც ითქვა, სამგლოვიარო ჰანგ-მელოდიას შეადგენდა მხოლოდ მოთქმა, ზარი და გალობა.

ზარი მიცვალებულის გასვენების დროს ჩვენს დროშიც შეგვხვედრია. მას რაიმე ლექსი არ ახლავს, მხოლოდ მწუხარების მომგვრელ ჰანგ-მელოდიას მოიცავს. ის სრულდება სამი ან ექვსი შემსრულებლის მეშვეობით. რაც შეეხება გალობას, იგი ამჟამად გასულია სამგლოვიარო რეპერტუარიდან.

გლოვისას ძირითადი იყო მოთქმით დატირება, რასაც მხოლოდ ჰირისუფალი ქალები ასრულებდნენ და იყო იმპროვიზაციული ხასიათისა. ეს ჩვეულება ამჟამადაც შემორჩენილა. აქ ტექსტად გამოყენებულია მხოლოდ მიცვალებულის სათავგადასავლო ეპიზოდები, მოთქმით დატირება, რაც საქართველოში გოდებით სრულდებოდა. ივ. ჭავჭავიძე იმოწმებს საბა ორბელიანის შემდეგ სიტყვებს: „გულის სატკივართა სიტყუათა მგოსნობითა და „ხმატკილობით“ წარმოთქმული გოდება ჩვეულებრივ „ზრუნ-შეწყობით“ იცოდენ და ზრუნი სწორედ ასეთი გოდების შებანება იყო“⁴⁹.

სამეგრელოში კი „ზრუნი“ ჩაერთვოდა კვილს. დასაფლავების დღეს მიცვალებულის ახლო ნათესავი, ლოყებდაკაწრული ქალი, გათხოვილი და ან შვილი, თავისი მხლებლებით, როცა მიუახლოვდებოდა სახლს, სადაც მიცვალებული ესვენა, დაიწყებდა კვილს, მისი მხლებელი ქალები, წამოწყებული კვილის შესაბამისად ააწყობდნენ ხმას (კვილითვე), რომელიც შეიცავდა — „მეშხუეს“ — ბანს, საშუალს და „ზრუნს“. ამას ერქვა (ამჟამადაც ასე ეძახიან სამურზაყანო-წალენჯიხის მიდამოებში) „კვილით ზარი“. ასეთი ზარი ფანჩატურის წინ წყდებოდა. მას მამაკაცების ზარი ცვლიდა. ცხედართან დედაკაცები მოთქმას აგრძელებდნენ. მასში ხანგამოშვებით მამაკაცთა ზარი ერთვოდა. ლექსად მოთქმა ძველად მიღებული არ ყოფილა. ჩვენ ამჟამადაც შეგვხვდა მოთქმელები, რომლებმაც „მგლოვიარობასა შინამყოფობისა გამო“ ლექსის თქმაზე უარი გვითხრეს — „მწუხარებაში ვართ და რა გველექსებაო“. ეს ფაქტი მოწმობს, რომ ძველ სამეგრელოში დატირების დროს ლექსი არ ითქმოდა. თუ არსებობს მიცვალებულის სათავგადასავლო ამბებზე ლექსები და ეპიტაფიები, ეს მიცვალებულის დასაფლავების შემდეგაა შექმნილი. ცდება ზოგი მკვლევარ-

⁴⁹ ი. ჭავჭავიძე ი ლ ი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 321.

რი, რომელსაც ცალკეული ლექსი დატირების დროს შექმნილად მი-
აჩნია.

III. ფილოსოფიური ლირიკა

კრებულში შესული ხალხური პოეზიის ნიმუშებიდან გვხვდება მეტად საინტერესო ფილოსოფიური შეხედულებები სიცოცხლის და-
საბამისა და დასასრულის, ცხოვრების მთელს მანძილზე ბუნებრივ
გარემომცველ რთულ პირობებთან ადამიანის დამოკიდებულების შე-
სახებზე. ეს არის ნაფიქრი და ნაზრევი კლასობრივი საზოგადოების
ორომტრიალში ჩაბმული ადამიანებისა, რომლებშიც ცხოვრების სინამ-
დვილემ, საზოგადოებრივმა ყოფიერებამ აღძრა ინტერესი ცხოვრე-
ბის სირთულის შეცნობისა, ადამიანთა განსხვავებული მდგომარეობი-
სა და მათ განწყობილებათა სხვადასხვაობის მიზეზების თაობაზე.

ლექსში — „ქვეყანას რომ დააკვირდე“⁵⁰ — გადმოცემულია სა-
მდურავი ღვთისადმი. შვილის სიკვდილით გამწარებული მელექსე მი-
მართავს ღმერთს, თუ რა სარგებლობას პოულობს იგი დაბადებისა და
გარდაცვალების დაწესებისათვის;

ღორნო, დიხვამ სქან სახელქ,
ქიანაშ დამარსებელი,
ართის ყვილ, მაეიას აბადე,
მუ გერზიებუ სარგებელი?

ღმერთო, დაილოცა შენი სახელი,
ქვეყნის დამარსებლო,
ერთს ჰკლავ, მეორეს ბადებ,
რა გეძლევა სასარგებლო?

ასეთ მწარე განცდებში მყოფი ცდილობს, რომ შეიმეცნოს
სიკვდილ-სიცოცხლის მიზეზი და ამბობს:

ვარა სორე მეურცუნი,
შური ხორცის ენტებუნი?
თე აზრიშა მიშებლემი,
ღლას ვა ვორქე მხიარული,
ვარა მუქ გამახარას,
მა დაჩხური მონტებული?

ანდა სადაა რომ მიღის,
სული ხორცისაგან ლტოლვილი?
ასეთ აზრებში რომ შევალ,
მის ღღეში არ ვარ მხიარული,
ანდა რამ გამახაროს,
მე ცეცხლიოკიდებული?

კრებულში ასახულია ციკლი ლექსებისა, სადაც გამოთქმულია
ბედის არსებობის რწმენა და ეს, თითქოს, დაბადებიდანვე მოჰყვება
ყოველ ადამიანს, — თითქოს, უბედურ ბედზე გაჩენილ ადამიანის მო-
მავლის კეთილად შეცვლა ყოვლად შეუძლებელი იყოს, თითქოს მას
კეთილის ნაცვლად აუგი შეემთხვევა ყოველთვის.

უბედური ბედიშ კოც
ირ სიკეთე აფუ შორც,

უბედური ბედის კაცს
ყველა სიკეთე უღვას შორს,

⁵⁰ ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971.

ღორნთიშე გოჯოგელი
კოცთი ჟოგე, ვა მოწონც,
მუღვა ჭგერც შეხვალასენი,
ვეხუჯებუ იში თოლც.

ღვთისაგან შეძლებული
კაცსაც სძელს, არ მოსწონს,
რაც გინდ რომ კარგს შეხედეს,
არ აწყობს მის თვალს.

ბედის არსებობაზე ანალოგიური ხასიათის შეხედულებებია გად-
მოცემული ლექსში — „უჩა ბედი“ (შავი ბედი)⁵¹. დაბადებიდანვე
შავი ბედი მიკერძოებული ადამიანი ბრძოლის სულისკვეთებითაა აღვ-
სილი მისდამი და მიმართავს მას:

მუ ეამიშა, უჩა ბედი,
შა თაშ გილამ თგრუნქენი,
უკულ რენო მაკეთენქე,
ხეს ქაშგონდლულუქუნი?!

რა დრომდე გსურს, შავო ბელო,
რომ ასე თრევით მატარო,
ხელზე რომ შემოგადნები.
ვითომც მერე გამახარებ?!

„შავი ბედის წილხვედრი ადამიანი“ ცდილობს შეიმეცნოს, რატო-
მია გადაკიდებული მასზე შავი ბედი:

-მუ დაიშენ ვემებხვადი,
მუშგურშენ მონდურუქუნი,
ქკვერშე ხვად პატიება,
მეჩგრთას ცურუქუნი!

რა დაგიშავე, ვერ მივხვდი,
რის გულისთვის მემდური,
ქკვიანს მართებს პატიება,
რომ შეცდეს უმეცარი!...

თუ მართლა ბედი ხარ და სამართალი გაქვს, ერთი რაიმე კარ-
გიც მიწყალობეო, მაგრამ მას ეჭვი ეპარება, რომ კეთილისა და აუგის
მინიჭება ერთსა და იმავე ძალას შეეძლოს, — მას ამ განსხვავებული
ხვედრის მიმნიჭებელი სხვადასხვა ძალად აქვს წარმოდგენილი და
რადგანაც არცერთი მისთვის კარგს არ იმეტებს, ორივეს გმობს:

მუმაჩამალ, შიდმაღალარი,
ეგებ შხვადოშხვა რექე და,
ეგრხოლოქ დომღურით,
ჩქიშო აკა ვარექელა!

მომრთმევი და შამრთმევი,
ეგებ სხვადასხვანი ხართ,
ორივენი მომიკვლით,
ჩემთვის არც ერთიც თუ არ ხართ!⁵²

ლექსში „პარამობა — სიხარბე“ განხილულია ცხოვრების რთულ
პირობებთან ადამიანთა ურთიერთობა და ის აზრია გამოთქმული, რომ
ადამიანები როგორც სახით არა ჰგვანან, ასევე თვისებებითაც გან-
სხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათ სხვადასხვა ინტერესი ამოძრავებთ
და ისინი სხვადასხვა ხერხებით იბრძვიან ერთი მიზნისათვის, — არ
ჩამორჩნენ ცხოვრებას და იყვნენ წინა პლანზე. ავტორმთქმელის მოსახ-
რებით, ადამიანთა ერთი ნაწილი, სიხარბით და ანგარებით განწყობი-

⁵¹ ქართული ხალხური პოეზიის მასალები.

⁵² იქვე, „შავი ბედი“.

ლი, გაუმადრობის სენით არის შეპყრობილი და ხარბი და გაუმადლარია.

ავტორმტკმელი დასძენს:

ცხოვრებას კოც მუთ ქაწვალენცანი,
არაა უაზრო კენთა ქკუა რე,
თოლი(ი) ურძალფელა, გური პარამი,
კვიმაში მონარტე ზღვა ჭგუა რე,
ზომაზე მეტო ქობწუხენთგდა,
სიპარამეში გვმანწყუა რე⁵³.

ცხოვრებაში კაცს რაც აწვალებს,
ყველა უაზრო მოკლე ქკუაა,
თვალი უძღები, გული ხარბი
წვიმის მნატერელი ზღვის მაგვარია,
ზომაზე მეტად თუ ეწუხვართ,
(იგი) სიხარბის მონაგვარია.

ეგოისტური მისწრაფებანი უსასრულობას იწვევს და ავტორმტკმელი უთითებს, რომ სურვილები რეალობიდან უნდა გამომდინარეობდეს და თუ ეს ასე არ არის, ადამიანი სატანჯველში ჩავარდებაო —

მინი ეფერი რე, ბედინერი რე,
მით სურვილიშა მინაქუნი,
მარა თიშ უმოს ბედინერი რე,
მუთ ეყიინი, ვნარტენცანი,

ზოგი ისეთია, ბედნიერია,
სასურველს ვინც მისწვდება,
მაგრამ უფრო ბედნიერია,
ვინც არ ინატრებს, რაც არ იქნება.

ხარბი ადამიანის გული გაუმადლარია, მისი დაკმაყოფილება შეუძლებელია, ასეთ ადამიანებს დასცინის ავტორმტკმელი.

ადამიანმა ცხოვრების კანონები რომ არ შეიმეცნოს და იგი არ გაითვალისწინოს, მას ცხოვრება გარიყავს, მან შრომითა და ბრძოლით უნდა გაატაროს ბოლომდე ცხოვრებაო, — ამბობს იგი.

წუთსოფელიში რინა,
ათენერო არსებენც,
ხე მანგარო ვა გმილიდა,
მუშით მუთუნ ვა დოცენც⁵⁴

წუთსოფლის ყოფნა,
ამნაირად არსებობს,
თუ ხელი მაგრად არ გამოიღე,
თავისით არა რა ჩამოსცივა —

ამავე სიუჟეტზეა აგებული ლექსები: „სიბერე“, „სიბერე მომერია“ და „ვაი სიბერეს“. ამ ლექსებში გამოთქმულია სამღურავი ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობაზე, მღურვა სიბერისადმი. შრომასა და ბრძოლაში დაღლილ ადამიანს სიბერე მოუსწრებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხოვრებისეული ინტერესები არ ცხრება:

გურცუ ირო ცემა ოკო,
ღლას ვამისჯანჯანცნი,
მარა ვავა, გურიში კილა
ღონეში ბორქომც ვანჯანცენი?
ათენარე მოხუცებულც
ვა მოწონც დო ანჯარცნი.

გულს უნდა მუდამ სცემდეს,
რომ არასდროს მოისვენოს,
მაგრამ ვაი, გულის გასაღები,
რომ ვერ აღებს ღონის ბოქლომს?
ესაა რომ მოხუცებულს
აბრაზებს და აღარ მოსწონს

⁵³ იხ. ქვემოთ, გვ. 115.

⁵⁴ ი ქ ვ ე, გვ. 116.

ადამიანთა ცხოვრება რა კი ასეა, ვეცადოთ ჩვენს მემკვიდრეობას დავეუტოვოთ უკეთესი მომავლისათვის შრომისა და ბრძოლის სახელოვანი ტრადიციები:

რადგანც დაწესებული რე,
არაქ თეკი მერთაგნი,
თასის თიშენი თასუნა,
უჭგუში ნერგიქ ერთსაგნი...
ჩქგ ჭვეშეფქ დოუტუათ
ახალგაზღებქ ჩქენი წილი, —
მოთალებქ დო მოთაშ სქუას,
ჭგირი რინა დოკვანწილი,
ჩქეუათ დემართუნა,
კინე სიცოცხლემ ნაწილი⁵⁵.

რა კი დაწესებ ულია,
რომ ყველანი იქ მივიდეს,
თესლსა იმითომ თესავენ,
უკეთესი ნერგი ამოვიდეს...
ჩვენ—ძველებმა დავუტოვოთ
ახალგაზრდებს ჩვენი წილი,
შვილიშვილებს და შვილთაშვილებს,
— კარგი ყოფნა დაწყობილი,
ჩვენ ამით დაგვიბრუნდება
კვლავ სიცოცხლის ნაწილი.

ხალხური ფილოსოფიური ლირიკის შედეგია ლექსი „ბორჯი“ (დრო-ყამი), (ინდ. მთქმელი დანიელ ფიფია). მასში გატარებულია ცნობილი ქართული ანდაზის — „დრონი მეფობენ და არა მეფენი“ — დედააზრი. ლექსი არის ფინალი ხალხური პოემისა — „ორი მჭედელი“, რომელშიც ასახულია ბატონყმური უსამართლობის წინააღმდეგ 1856-57 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყებისათვის საშზაღისი. პოემის შემქმნელს ეს ლექსი საგანგებოდ დაურთავს, ვინაიდან გლეხთა აჯანყება მას კლასობრივი საზოგადოების განვითარების ეტაპზე აუცილებელ მოვლენად მიაჩნია, რომ დროთა სვლას ეს ასე ახასიათებს; საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე ერთნა ფორმაციამ მეორე უნდა შეცვალოს, რომელიც ავტორ-მთქმელის შეხედულებით დროთა მსვლელობას აბარია და მიმართავს.

ბორჯი, ირფელ სი გობარჯ,⁵⁶
ულირი, რენ დო მუმალჯ,
სო რე ბორჯი სი ვაყოფექ,
სო ვეპიოხე სქანი ნალჯ?

დროვ, ყველაფერი შენ გაბარია,
ნამყო, აწყო, მომავალი,
დროვ, შენ სად არ ყოფილხარ,
სად არ აზის შენი ნავალი?

გადმოცემულია, რომ დრო აუჩქარებლად და თანაბრად მისრიალებს.

მირსიოლუქ უმუხარკქო
ირო ართინერო მალჯ,
სი გიჩქ, მი სო ჩგლათე,
მის სო ულუ ნიანლჯ!

მისრიალებ შეუწყვეტლად
მუდამ თანაბრად მავალი,
შენ იცი, ვინ სად შემუცდარა,
ვის სადა აქვს ნამსახური!

⁵⁵ ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), გვ. 55.

⁵⁶ ლექსი „ბორჯი“ (დრო-ყამი) — იხ. ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), თბ. 1971, გვ. 52.

ის ქვეყნიერებაზე ყველაზე დიდი, მიუდგომელი და მოუსყიდველი მართლმსაჯულია.

სი მითინც პატიის ვაეც,
სამართალი გილუ თინგ,
ხვალე ართი, სქანიიწკალა
მითინც ხანდა ვა უღინგ.

შენ არავის პატიეს არ სცემ,
გაქვს სწორი მსაჯულება
მხოლოდ ერთი, შენთან
შრომა არავის არ ეკარგება.

ავტორ-მთქმელის საბოლოო თქმით ადამიანები ქამთა ცვლის მიუდგომელ კანონებს ძნელად ხვდებიან და ინსტიქტურად მიჰყვებიან მის მიერ დაწესებულ რთულ მოვლენებს:

კოჩი მუში მოგჯრეს
ჟა ღო ქუას ოგოთანც,
უბადოში ცქეფა უჩქა,
უჯგუშის ოგორანც.

კაცი თავის მოკეთეს
ესერის ქვას და გუნდას,
ქება იცის აუგისა
უკეთეს მტრობს [მუღამ]

ეს იმიტომ, რომ ზოგი ფიქრობს, თითქოს, სხვაზე უკეთ მოქმედებს და თვითონვე უნდა იყოს თავისი მოქმედების წარმმართველი, მაგრამ ყოველ მოვლენათა მოწმე და განმგებელმა „ბორჯმა“ ყველაფერი იცის — ვინ როდის შემცდარა და ვის რა ამაგი მიუძღვის. ამიტომ დრო ყველას თავისას მიუზღავს:

იკოჩგ ფიქრენც, მუ ორთენი,
შხვა კოჩიში უჯგუშის,
ბორჯის ვაუჩქ მეფერაფა,
იკოც არზენც მუშუშ წილც.

ყველა ფიქრობს, სხვაზე კარგად
თვით მოქმედებს, უკეთესს ქმნის,
დრომ არ იცის მოფერება,
ყველას აძლევს თავთავის წილს.

ასეთია ამ ლექსის ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც სამყაროს დიალექტიკურ გაგებასთან ახლო დგას და შეიძლება ჩაითვალოს ხალხური ფილოსოფიური ლირიკის შესანიშნავ ნიმუშად.

არსებობს ამავე ავტორ-მთქმელის — დანიელ ფიფიას მეორე ლექსი „როკი“⁵⁷, რომელიც მარადიულობის დაუოკებელი მისწრაფებების გამოხატველია. ეს ლექსი, როგორც ფილოსოფიური ხედვის ნიმუში, „ბორჯთან“ ერთად გამოუყავით პოემიდან — „ორი მკედელი“ და თემატურობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით პირველი კრებული (1971 წ.) ფილოსოფიურ ნიმუშთა განყოფილებაში შევიტანეთ. ლექსის შემთხვევლმა პოემაში „როკს“ ადგილი ალბათ იმიტომ დაუთმო, რომ „ურდუმელთა“ თავმოყრა და აჯანყების საერთო მეთაურად უტუ მიქავას არჩევა მომხდარა ამ ბერძენის—როკის ქვეშ. ეს მრავალსაუკუნოვანი დაკორძებული ვეება როკი ცნობილი ყოფი-

⁵⁷ ლექსი „როკი“, იხ. ქართ. ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), გვ. 57.

ლა სამეგრელოში და მდგარა წალენჯიხის მონასტრის მახლობლად, სოფელ ნაკიფუს ტერიტორიაზე. ამ უბანს ამჟამად „ნაჯარუუს“ (ჯარის ნაღვომს) ეძახიან. ლექსში ნათქვამია, რომ ის ხე ცოცხალი (გაუმხმარი) არავის არ ახსოვს:

ართ შვანც თე როკით
სქვაში ჰყონი რღ.

ერთ დროს ეს როკიც
ლამაზი მუხა იყო.

მარა თემ უკული
ბრელ ოშ წანაჰგ
გეგნიგერგელ ჰყონიშ ოქიშის,
ღო ჩქგნ როკიში
ორქომ ფარანიში
მითინც ვა ვორწყეთ
ამღლა მოქიშის.

მაგრამ მის შემდეგ
ბევრი ასი წელი
გადაგორდა მუხის ზურგზე,
და ჩვენი როკის
ოქროს ხანისა
არავის ვხედავთ
ღლეს მომსწრეს.

მიუხედავად იმისა, რომ როკი გამხმარია, მკვრივად დაკორძებულა და გრანიტისაგან გამოკვეთილ ქანდაკებასავით ქცეულა ისე, რომ დროთა სვლა თითქოს ვერაფერს აკლებს:

მიშეს ბორჯეთი, ბორჯეთც გეგუნდეს,
აღშექოსუღლეს სოღვენ წკვარამც,
მარა ჩქგნ როკი იშენ როკი რღ,
ხლო თინა რღ, მუთ შხვა ფარანცგ.

მიდიოდნენ დროები, დროებს მისდევდნენ
(და) ინთქმებოდნენ საღლაც უფსკრულში,
მაგრამ ჩვენი როკი მაინც როკი იყო,
ისევე ის იყო რაც სხვა ხანაში

ბუნების მოვლენებს შერთ, რომ როკი არ დამორჩილებია ეამთა სვლას და წარბშეუხრელი, ამაყად გაჰყურებს არემარეს. ისინი ბერ-მუხას რისხვას უგზავნიან, მაგრამ ვერაფერს აკლებენ. მის მიდამოებში სხვა მცენარეები განადგურებულა, მხოლოდ როკი ინარჩუნებს არსებობას.

ღლეს მეგრულში „როკი“ საზოგადო სახელადაა ქცეული, მას ჯიუტ ადამიანსა და ხანდაზმულსაც უწოდებენ.

ამრიგად, „ბორჯისთან“ ერთად „როკი“ იშვიათი მოვლენაა ხალხური ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშებს შორის. ამ თემაზე შექმნილ გამოუქვეყნებელ მასალათაგან აღსანიშნავია ციკლი ლექსებისა: „ენა“, „ცასა ამკობს მზე და მთვარე“, „სიმდიდრე და სიღარიბე“ და სხვა.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, რომ აქვე დავასახელოთ სხვა სიტყვა-თქმანიც, რომლებიც ამ ლექსების შემთხვევლთა სოფლებშია გავრცელებული.

მაგალითად, ერთი ნაწერის მიხედვით, „ქვეყნიერების გამჩენი, სიმართლის მსურველი რომ ყოფილიყო, მას, მოძრავი, ე. ი. ცოცხალი არსება არ უნდა გაეჩინა; სჯობდა ადამიანის სახით მეტყვე-

ლი და გონიერი არსება ყვავილის სახით გამოესახა. ისინი შორიანლოს მყოფნი ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს თავიანთ აწმყოსა და მომავალზე; ასეთ ვითარებაში ბუნების შვილთა ცალკეულ სახეობათა შორის თავდასხმა-წართმევას, ანგარება-ბოროტებას ადგილი არ ექნებოდა და ქვეყნიერება კირვეულობისაგან დახსნილი იქნებოდა“⁵⁸.

მეორეგან მოვისმინეთ: „რაც იბადება, სიკვდილის კერძია. როცა ადამიანი გარდაიცვლება, შეცხადებაც კი ზედმეტია. სჯობდა, საკმაოდ ხანდაზმული ადამიანი ქარბორბალას ბუშტივით გაეტაცა ზეცისაკენ და სამუდამოდ გაეჭრო“ (ჯოტო ხულორდავა, ზუგდიდი).

მესამეს უთქვამს: „სჯობს, ადამიანი სიკვდილზე არ ფიქრობდეს და მუდამ სიცოცხლის მარადიულობის რწმენით იყოს დაიმედებული, თორემ ამის გარეშე სიცოცხლე ხალისს დეკარავსო“ (ჯათუ ქარდავა, ს. ჯვარი).

— „ქვეყნიერების გამჩენს, — უთქვამს კიდევ სხვას, — სამართლის დაწესება რომ ნდომებოდა ადამიანთ შორის, ვინც კეთილი საქმისათვის იქნებოდა მოწოდებული, მუდმივად უნდა ეცოცხლა, ხოლო ავის ჩამდენი მაშინვე უნდა გაეჭრო. მაშინ ამ ქვეყანაზე იქნებოდა სიამტკბილობა“ (ოთარ სამუშია, სოფ. ჯვარი).

წალენჯიხის რაიონის სოფლებში სუფრის დასასრულს სავალდებულოა მარადიულობის სადღეგრძელო, რომელიც „წინაპართა მოსაგონარის“ შემდეგ წარმოითქმება — „ამაქვეყნიდან ჩვენი წასვლის შემდეგ ვინც ჩვენი სახელი ახსენოს და მოგვიგონოს, იმათ გაუმარჯოსო“.

ვფიქრობთ, ეს და ამის მაგვარი აზრები კვებავდა და ასაზრდოებდა ზემოხსენებული ფილოსოფიური ხასიათის ლექსების შემქმნელთა აზრსა და განწყობილებას.

IV. სატრფიალო ლექს-სიმღერები

სამიჯნურო-სატრფიალო ლექს-სიმღერები ქართულ ხალხურ პოეზიაში მდიდრად არის წარმოდგენილი. ამავე თემაზე შექმნილ ლექსებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეგრულ პოეტურ ფოლკლორშიც. აქ გადმოცემულია წმინდა გრძნობით ანთებული, ერთისადმი ტრფობის წრფელი და მწარე განცდები. ცნობილ სასიმღერო ლექსში „ამ ქვეყნად ერთი დამიდის“ ნათქვამია:

თუ ქიანას ართ მიკათგ,⁵⁹
ართი პუნცუ გოროფილი,

ამ ქვეყნად ერთი დამიდის,
ერთი მყავს შეყვარებული,

⁵⁸ მთქმელი აწ განსვენებული გრამიტონ ქარდავა, სოფ. ლია, წალენჯიხის რაიონი.

⁵⁹ ქართული ხალხური პოეზიის მასალები, გვ. 29 — 46.

ლორთო, თინა ვემდამილა,
სქანდე მათუ ჳყოლოფირი!

ღმერთო, ის არ წამართვა,
შენგან მყავს ნაწყალობევი

აკა ჳინშოჯინუას
სქან თოლი დო წარ უჩას...
მეთ ვა მილუნ, ვამილუ დო
მილუნ, თითი ვა მუჩასუ!

ერთხელ მაინც შემახელა
შენს თვალსა და შავსა წარბსა...
რაც არა მაქვს, არა მაქვს და
რაც მაქვს, (ნეტავ) არც ის მომცა!

სიყვარულის წმინდა გრძნობით გულანთებული მიჯნური ცდილობს, რომ მუდამ ახლოს იყოს თავის ტრფიალთან, ფარვანასავით თავს დასტრიალებდეს მას:

სისმარო მოძირუქუ,
ცხადო გოილუა დუცუ,
ვოხუქენი, აღმოტუუ,
გილუურქენ, გილაპუნქუ.

სიზმარში გნახულობ,
ცხადად შემოგავლებ თავს,
ვზივარ, ალი მეკიდება,
დაედივარ და თან დამყვები.

ან კიდევ:

სახე ბეალარაშა გიგუ,
თოლ დო წარ-ყურიაშა,
გელართხოზგქ ლანდიშორო
ოქმარეშე ონჯუაშა.

სახე შზის ბზინეას მიგივავს,
თვალ-წარბი კი — ყურყუმასა,
გათენებიდან ლანდივით დაგდევ,
სანამ ბინდი შეკრავს ცასა.

კრებულში შესულ ზოგიერთ სატრფიალო ლექსში ეს გრძნობა ესე ძლიერადაა წარმოდგენილი, რომ სატრფოს თავისი მიჯნური სალოცავ ხატად მიაჩნია და ეუბნება: ჩემი ღმერთი შენა ხარ და საყდარში რისთვის ვიარო სალოცავადო:

ჩქიმ ჰონიას ვეაორექ,
მუეამც სი ვაიჯინექენი,
ოხეამეშა მუშა იბდა,
ჩქიმ ლორთთი სი რექენი?

ჩემს გონზე აღარა ვარ,
როდესაც შენ აღარ გიმზერ,
საყდარში რისთვის წავალ,
ჩემი ღმერთი შენა ხარ და?!

ამ ლექსების აზრი და იდეა მიჯნურის გულისათვის წვა და დაგვა⁶⁰;

მარა ჩქიმ გურცუ მუთუნ ვახვარგ,
თიცილი ცოდა ინოხვარხვალგ;
მაქუალ ალი გგმაფართალგ,
შური დო გურქუ ღგმადგვარდგვალგ

მაგარა ჩემს გულს არაფერი შევლის,
(მასში) ისეთი საცოდაობა დაძვეება
და ტრიალებს,
მწველი აღმური მივლის ფარფრით
სული და გული დამეთუთქა წვითა და
დაგვით.

ამას ავბობს მიჯნური და იფიქრებს კაცი, რომ რის გამოც ის წუხს, თითქოს, ავადმყოფური მოვლენა იყოს. მაგრამ არა, ეს შეუბღალავი

⁶⁰ ქართული ხალხური პოეზიის მასალები, გვ. 22 — 23 — 26.

⁶¹ იქვე.

ჯანსაღი სხეულის წრფელი განცდების ლტოლვაა ბედნიერი მომავლი-
საკენ. ამ ლექსების ციკლში დახასიათებულია სატრფოს შინაგანი სუ-
ლიერი სამყარო. მაგალითად, ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ:

ირი სქანი
ართო სქვაში—
პიჯიშე კანი,
ხე დო ტანი
თუმა დო წარი,

სიტყვა წყნარი...
მორაგადე აზრიანი,
ტკბილინინა,
წყნარი ჭინა

მუთუნ ვაგილუ
ნაკლოვანი...

ყოველი შენი
მთლად მშვენიერი —
პირის კანი,
ხელი და ტანი,
თმა და წარბი,

სიტყვა წყნარი,
მოსაუბრე აზრიანი,
ტკბილი ვნა,
წყნარი მზერა

არა რა გაქვს
ნაკლოვანი.

მეგრულ ნიმუშებში გვხვდება როგორც ქალ-ვაჟთა ერთმანეთი-
სადმი ლტოლვის, ასევე უთანასწორო სიყვარულის გამომხატველი
ლექსთა ნიმუშები. უფრო გამბატონებულია პირველი. ფაქტები მეტყ-
ველებენ, რომ საზოგადოებრივი აზრიც შექმნილა უთანასწორო სიყ-
ვარულის ახალგაზრდობის მომავალზე უარყოფითად მომქმედ ზე-
გავლენის შესახებ. მას ადასტურებს ლექსის ერთი ნიმუში, რომელიც
ტრფობის ვნებით გატაცებულთა ჭკუის სწავლებისათვის უნდა იყოს
შექმნილი. ლექსში „მა მუზმასეთი მიფორქენი“... (რა ზომამდეც მე
მიყვარხარ...) ⁶² ნათქვამია:

მა მუზმასეთი მიფორქენი,
სით თეშ ოკო გიფორდე;
გიჩქედას, სახელ ვა რე,
სქან უჭგუშის მიორდე!
ჯა რექე და, მუშო მოკო,
ფოროფილი გოგოდე;
მიფორქე, მიფორქე! დებჩემე დო
ირო ართის ეიფორდე!.

რა ზომამდეც მე მიყვარხარ,
შენც ისე უნდა გიყვარდე;
იცილდე, სასახელო არაა,
შენზე უკეთესს შიადე,
ხე თუ ხარ რალად შინდა,
შეყვარებული შეგარქვა;
გეტრფი, გეტრფი, დავიჩემო და
მუღამ ამ ერთ აზრზე ვიღგე!

ეს სტრიქონები, როგორც ზევით ვთქვით, შექმნილი უნდა იყოს
ახალგაზრდობის ასაკგადაცილებული თაობის მიერ მიჯნურთათვის
ჭკუის სწავლებისათვის. მაგრამ ცხადია, რომ ასეთ დოგმატიკას სიყვა-
რული არ ექვემდებარება. ცნობილ ერთ-ერთ მეგრულ „ქალ-ვაჟიანში“
(ზუგდიდური ვარიანტი) ეს გრძნობა შემდეგნაირადაა გადმოცემული:

⁶² იხ. ქვემოთ, გვ. 125.

ჩქიმ ცოდაში ექყვადილი,
თუ მასქვაბა მუქუ რუუ?
ჩქიმ უდროით მაევილარი
დიდაქ მუშენ დოგიტუუ!
ჩქიმი ლური შხენერი რე,
მეშიჩქ ეგებ ლურა რდას;
ჩქიმი შური აქი ვა რე,
სი მითოიხე მურთაგას...
მიკვე, მუშენ მუმეწონი,
ართ მინოტიში ძირაფას?
სი ქორძირინი უკული,
ირო ფიფრქე დინფას...

ჩემი ცოდვით ამოსაწყვეტო,
ამ სილამაზის რამ შეგქმნა?
ჩემი უდროოდ მკველიო
რად დაგტოვა დედამ?!
ჩემი ძილი სხვანაირია,
მგონი უფრო ჰგავს სიკვდილს;
ჩემი სული აქ არ არის,
მუთაქის ქვეშ შენ გიზის...
მიკვირს, რატომ მომეწონე,
ერთი წამის დანახვით?
შენ რომ გნახე მის შემდეგ,
სულ ვფიქრობ დაკარგვას...

მეგრულ „ქალ-ვაეიანთა“ ვარიანტისათვის დამახასიათებელია ლამაზი გოგოს ერთი ხილვით მოწონება. გოგოსაც არ აკვირვებს ეს, ვინაიდან მისი სილამაზის გამო ბევრს დაჰმართნია ასე. გოგოს პირველად ამაყად უჭირავს თავი, იმაზე ლაპარაკობს, თუ როგორი უნდა იყოს მისი საქმრო, სხვანაირს იწუნებს:

თუნთის სხაპუა ვადაშეენც,
ბიწის გიორთღდასენი,
გვრგნეც ვასქუ კილიაღერსა,
კესერეც გიობუღდასენი...
თეშნერო სი მუშო გოკო,
ჩქიმი დუდი რუენდასენი?
მა ეფერი ბოში მოკო,
ეჩ წანერი პუნდასენი,
იარაყიში დოხართელი
ოკო გემართულდასენი!...

დათეს ცეკვა არ შეშვენის,
თუნდაც ცერულსა უველიდეს,
ვირს არ შვენის კრიალოსანი,
რომ კისერზე ევიდოს...
ამის მსგავსად შენ რად გინდა,
ჩემი თავი რომ გყავდეს?
მე ისეთი ბიჭი მინდა,
რომ ოცი წლისა მყავდეს,
იარაღით დახუნძლული
უნდა დამტრიალებდეს!...

ვაეი პასუხში აგრძნობინებს გოგოს, რომ მისი ასეთი განწყობილება ფუქსავატურია და მას ყაჩაღის (იარაღით დახუნძლული) ცოლობა სდომებია, რაც ცუდია მისი მომავლისათვის:

სქან ქომონჯო თინა ირგუ,
მით მახინჯი, ცრუ ორენი,
ვალიში დორკიბილი რენდო,
მორაგადე შხუ ორენი!

შენ ქმრად ის გამოდგება,
ვინც ცრუა და ქურდია,
ვინც ვალით დატვირთულია
და ვინცა ტრამახობს!

ასეთ გაბაასებაში მქლავნდება წყვილთა დადებითი და უარყოფითი თვისებები. ლექსის მთავარ ღირსებას ის შეადგენს, რომ აქ ვაეი ჩააგონებს გოგოს სიკეთეს და ხელს ააღებინებს არაჯანსაღ განწყობილებაზე, რითაც მას ესოდენ ამაყად ეჭირა თავი პირველ ხანებში. აქ ღირსშესანიშნავი კიდევ ისაა, რომ ერთბაშად არ წყდება მათი მომავლის საკითხი; ამ გაცნობას მოსდევს ამბავთა მთელი რგოლი ერთმანეთის აწონ-დაწონვის თაობაზე და საბოლოო შეთანხმება მერეა გა-

დაწყვეტილი. ეს ფორმა დაცულია მეგრული „ქალ-ვაჟიანის“ ყველა ვარიანტში (სამურზაყანულ-ზუგდიდურ და სენაკურ-ეკურ)⁶³ ვარიანტებში. ამ ვრცლად გალექსილ პასუხ-მიგებაში შიგადაშიგ ჩართულია მრავალი ხალხური ანდაზა და შედარება. მისი ნაწყვეტები, ვარიანტების სახით, სიმღერებშიც არის შესული. მაგ., „მწყემსური“, „სატრფიალო“, „ვარდად რომ მეჩვენები“. მიგვაჩნია რომ „ქალ-ვაჟიანს“ გაშიარების ფორმის ლექსებთან უნდა ჰქონდეს კავშირი და მის მაღალ ფორმას წარმოადგენდეს.

ჩვენს მიერ ჩაწერილ სატრფიალო ლექსებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უიმედო სიყვარულით გამოწვეულ განცდებს. ეს ლექსებია: „უიმედო სიყვარული“, „ვინაა საცოდავი?“, „ცოდვა და მადლი შენ გაბარია“, „ჩემი ნატვრა ხარ“, „მე რაცა მქირს, ვიცი მავრამ...“⁶⁴ და მრავალი სხვ. მათში ის აზრია გატარებული, რომ ტრფობით გატაცებული მიჯნური არაა დაიმედებული თავისი სატრფოს თანაგრძნობაში და საშინელ ტანჯვას განიცდის. ის მრავალგვარ საშუალებას მიმართავს, რათა გულიდან ამოიღოს ეს გრძნობა, მაგრამ ვერაფრით ვერ იშორებს და თვითონ უკვირს, როგორ უძლებს მისი გული ამდენ წვასა და დაგვას:

მუშმას მეტის მიგორდინი,
თიზმა მეტი ლახალა რდი,
მუთ გაურზას ათე გურქუ,
თშმახ ნაჰვი-ნახალაქი?

რამდენადაც მეტად მიყვარდი,
უფრო მეტი სენი გახდი,
რით გაუძლოს ჩემმა გულმა,
ასჯერ დამწვარ-დადაგულმა?

ლექსში — „ცოდვა და მადლი შენ გაბარია“ — უიმედო სიყვარულით შეპყრობილს ბუნების მოვლენებიც სატრფოს განწყობილების მიხედვით ესახება:

გიძიცანქენი, ცა ისარკუთ,
მოწყენღუქენი, დიმუნუაფუ,

გაიცინებ, ცა იწმინდება,
მოიწყენ და მოიღრუბლება...

ლექსში „მაშინ ვიქნები გაჭირვებული“ ასახულია ბუნებისა და საზოგადოებისაგან შესაბრალო აღამიანი. იგი ამბობს: რაც უნდა მქირდეს, ნუ შემიბრალებთ, შემიბრალებთ მხოლოდ მაშინ, როცა —

მა მიგორდას, თის ვა უგორდე,
რინა მათუდას განწარებული,

მე მიყვარდეს და მას არ ვუყვარდე,
ცხოვრება მქონდეს გამწარებული,

თიქმა ირკოჩქ მა მუმეხვარით,
თიქმა იპიიქ გაჭირვებული!

მაშინ ყველანი მე მომეშველეთ,
მაშინ ვიქნები გაჭირვებული!

⁶³ იხ. ეკური „ქალ-ვაჟიანი“. ა. შანიძის ჩანაწ. ორი დანარჩენი ვარიანტიც. იხ. „ქალ-ვაჟიანის“ ვარიანტები კრებულში — „ქართული ხალხური პოეზიის მასალები“, თბ., 1971, გვ. 32 — 41.

⁶⁴ იქვე, გვ. 25, 28 და 45.

ამ თემაზე შექმნილ ლექსებიდან, მთელს ქართულ ხალხურ პოეზიაში, გამოირჩევა — „აბრაგო ულირი ბოშიშა მინაქარა“ (წერილი ყაჩაღად გასული ბიჭისადმი)⁶⁵. ქალ-ვაჟს ჰყვარებიან ერთმანეთი, მაგრამ ვაჟი იძულებული გამხდარა ყაჩაღად გასულიყო. გოგო იმედდაკარგულია მათ მომავალ ბედნიერებაზე და უთვლის ყაჩაღ სატრფოს:

ცუჩა თოჭმა მოფურინუ,
მა სოთინ მიდუურქუნი,
ანწი იმენდი ვა მილუ,
მა სოთინ ქორძირუნქუნი.

სახლში მაშინ მოფრინდები,
მე რომ სადმე წავალ;
აწი იმედი არა მაქვს,
მე სადმე თუ დაგინახავ!

ნოტე გინმორთინუასგ
მა სქან ბლუზათ ვარა ლართო,
ვარა ქვიმორ ბაშლაყუო,
სირმა მუკოყუნდას ფართო

ნეტავე გადამაქცია,
მე შენს ჩოხად, ან ხალათად;
ფართო სირმით გაწყობილ
ან ქვიშისფერ ყაბალახად.

მუ ფთქუა დო მუ გიჭუა...
გაქირებას გეშელენი,
გინატრგქ დო ირო ფთქუა!...

(მეტრ) რა ვთქვა, ან რა გითხრა...
მუდამ ვიტყვი და გინატრი,
გასაქირიდან თავის ხსნას!...

მთქმელი, აწ განსვენებული ჯოტო ქარცხია აღნიშნავდა, რომ ეს ლექსი ეხებოდა მის სოფელში (ხიბულა) მომხდარ წამდვილ ამბავს. მისივე გადმოცემით, ყაჩაღის სატრფო ესოდენ გულკეთილი და საზრიანი ყოფილა, რომ მან ხელი ააღებინა ყაჩაღობაზე მის სატრფოს. სოფ. ნოქალაქევის (ცხაკაიას რ.) მცხოვრებმა 90 წლის სამსონ კარტოზიამ გვიამბო: ბაბუაჩემის სათავგადასავლო ამბებია ამ ლექსში გადმოცემულიო და მსგავსი ეპიზოდი მოგვიყვა. აქ საინტერესო ისაა, რომ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით გადმოცემულია უიმედო სიყვარულის განცდა, რომელიც მიწნურის (გოგოს) ქველმოქმედებით კეთილად დასრულდება.

ორივე სახის სიყვარულის განცდის გადმოცემაში მეგრული სატრფიალო ლექსების ციკლი ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ აქ განცდა უშუალოდაა გადმოცემული და არა შემოვლითი გზით, თუმცა გვხვდება „შიარის“ სახელით ცნობილი ლექსებიც, სადაც გამლექსაის უშუალო განცდა არაა გადმოცემული. აქ ობიექტური გარემოს კარნახითაა შექმნილი სალაღობო ლექსები.

შეიძლება ლექსთა ამ ჯგუფს მივაკუთვნოთ იგავარაკული ფორმის ლექს-სიმღერებიც. მაგ., „მაფშალიას ლექსში“ (ლექსი ბულბულზე) ფრინველებზეა გადატანილი მიწნურთა თვისებანი. აქ ბულბულისა და ყვავის სახით ერთმანეთთან დაპირისპირებულია ორი ვაჟი.

⁶⁵ იხ. ქართული ხალხური პოეზიის მასალები.

ისინი ერთსა და იმავე გოგოზე (ვარღზე) არიან გამიჯნურებულნი. მტკმელების გადმოცემით, ბულბულის პროტოტიპი (ბიჭი) ყოფილა ვაჭრის დახლიდარი. აქ ბულბულის შესახებ ხალხში გავრცელებული ლეგენდების მიხედვით გამასხრებულია ბულბული, ხოლო ყვავის სახით ჭიუტი სატრფია წარმოდგენილი. ასეთი და სხვა პოეტური ხერხე-ბითაა ფორმირებული სატრფიალო „კუპლეტები“, „სახუმარო სატრფიალო შაირები“ და სხვა.

V. სოციალური უსამართლობის ამსახველი ლექს-პოემები გაბონაჟური ურთიერთობა

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი სოციალური უსამართლობის ამსახველი ქართული ხალხური პოეზიის მასალები ძირითადად ბატონყმურ ურთიერთობას შეეხება და მეტ-ნაკლები სიღრმით ასახავს მის სიმწვავე-სისასტიკეს. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ბატონყმობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული ხასიათისა იყო, ზოგან კი სულ არ ყოფილა (მაგ., ქიზიყში, ფშავ-ხევსურეთში, ხევში, ბალსხემო სვანეთში). კახეთსა და იმერეთში იგი უფრო რბილ ხასიათს ატარებდა, ხოლო ცენტრალურ მთიულეთში, ქართლში და შემდეგ სამეგრელოს მხარეში ბატონყმობა ყველაზე სასტიკი ხასიათისა იყო; ამდენად, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის ფოლკლორული მასალებიც მეტ-ნაკლები სიღრმით ასახვენ ბატონყმური უსამართლობის მოვლენებს.

ისტორიულ და მხატვრულ ლიტერატურაში ნუგზარ არაგვის ერისთავი დახასიათებულია, როგორც გულზვიადი, ამაყი და სასტიკი მებატონე, რომელიც ამაოდ ცდილობდა მის მეზობელ თავისუფლებისმოყვარე მთიელ ტომთა დაპყრობას. აგრეთვე იგი თავის ყმების მიმართ ცნობილია, როგორც შურისმაძიებელი და დაშაჭელი, რაც მხედველობიდან არ გამოპარვია თუშ-ფშავ-ხევსურ მტკმელებს. ეს ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი უშუალოდ აისახა ფშავ-ხევსურულ პოეზიაში:

შენ ერისთავო, დიდო მთისაო,
წყალი ჩაგიდის არაგვისაო;
აჲი გეტყოდი, ბატონო ჩემო,

ყიღვა ნუ იცი შენი ყმისაო,
ბევრნი გაყიდე ქალი და რძალი
გარდახატული თვალ-წარბ თმისაო.

გარდა მებატონეთა, რომლებიც უფლებით მოსილნი იყვნენ გაეყიდათ თავიანთი ყმები, ადგილობრივი და მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებიდან შემოსული ავაზაკებიც იტაცებდნენ ადამიანებს და ყილდნენ ცნობილ ბაზრებზე — ახალციხეში, ანაკლიაში, წებელდაში და სხვაგან. გამოსყიდვა ძალიან ძვირი ჯდებოდა...

საქართველოს სხვადასხვა მხარეში ჩაწერილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ღრმა სოციალური უსამართლობის ამსახველია.

ცენტრალური ქართლის შემდეგ ბატონყმობა ყველაზე უფრო მკაცრი იყო სამეგრელოში.

ბატონყმურ სამეგრელოში იშვიათი არ იყო მებატონეთა მიერ ყმაგლეხების ყიდვა-გაყიდვა, ჩუქებისა და გაცვლა-გამოცვლის მაგალითები. ამის შესახებ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია მასალები, რომლებიც ცხადყოფენ ყმა გლეხთა უმწეო მდგომარეობას.

„ბატონყმურ სამეგრელოში ყმაგლეხობა სპეციალური ნიშნებით იყოფოდა: აზატებად, მეზეგრეებად, მოჯალაბეებად და მინდობილებად“⁶⁶.

„საქართველოში XIX საუკუნის 30—40-იან წლებიდან ფულადი მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით გამწვავდა გლეხთა ჩაგვრა. მებატონეები გლეხებს ახლა უფრო მეტ მუშაობას, სურსათ-სანოვანებსა და ფულს სთხოვდნენ. ხშირი გახდა ყმაგლეხების ცემა-ტყევა, ხეზე გაცვრა, ბორკილის გაყრა, სარდაფში ჩაგდება, ურემსა და კევრში შებმა — უღლის ქვეშ სიკვდილი, ყმათა ცოლებისა და ქალიშვილების გაუპატიურება. მებატონეები ხშირად ყმებს ოჯახისაგან მოწყვეტილ ან ჰყიდდნენ და აშორებდნენ მშობლებსა და შვილებს, რომლებსაც ზოგჯერ ცხენებზე, ქორ-მიმინოებსა და მეძებარ-ძაღვებზე დაც კი ცვლიდნენ“⁶⁷.

სამეგრელოს სამთავროში ბატონყმური ჩაგვრა ელინდებოდა მთელი სიმკაცრითა და სისასტიკით. ბატონის ხელში ყმა გლეხი წარმოადგენდა უბრალო ნივთს, რომლის ყიდვა-გაყიდვა, გასაჩუქრება, გაცვლა და გამზითვება ჩვეულებრივ მოვლენებს წარმოადგენდა. ადგილი ჰქონდა ყიდვა-გაყიდვასა და გასაჩუქრებას მთელი ოჯახებით, უძრავ-მძრავი ქონებით. მაგალითად, „ბატონიშვილმა გიორგიმ“, ბატონის დადიანის გრიგოლის ნებითა და ბრძანებით, უბოძა ქაიხოსრო გელოვანს და მის შვილებს ყმები — აჭკაჭიშვილი ხოსიელა და მისი შვილები სვიმინიკა, როსტომა, გაბრიელა და გოგოლა ორი უმცროსი ძმით, მათი ცოლ-შვილით, საქონლით, სახლ-კარით, საძებარუძებრით⁶⁸ (უთარილოა).

⁶⁶ ლ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856 — 57 წ. თბ., 1957, გვ. 8.

⁶⁷ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატეანი, საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი, გვ. 458.

⁶⁸ ზაქმ, საარქივო ფონდები, სიველ-გურჯები, საბუთი № 2.

კიდევ სხვა ფაქტი — „პატრონმან ოდიშ-ლეჩხუმ-სვანთა და აფხაზთა ვიდრე შავ ზღვამდე პყრობელმან ღენერალ-მაიორმა და სხვათა და სხვათა ორდენტა განსხვავებულმან კავალერმა მთავარმა დადიანმა ლეონმან“ უბოძა მის ერთგულ ყმას გელოვანს ბერს და მის ძეს ბესარიონს სოფ. სურამში მცხოვრები მისი შემავალი გლეხები, იოანე ჩიქოვანისა და დათიკია ჩიქოვანისეული ადგილ-მამულით, ტყით, ველით, საძებრითა და უძებრით 1816 წლის 11 აგვისტოს⁶⁹.

სხვა მაგალითების მოყვანაც კიდევ ბევრის შეიძლებოდა, მაგრამ გლეხთა უუფლებო და დაბეჩავებული მდგომარეობის ნათელსაყოფად ესეც საკმარისია.

სამეგრელოში გლეხთა მიმართ იყენებდნენ დასჯის სხვადასხვა სახის ბარბაროსულ საშუალებებს. ყმა გლეხებს აბამდნენ ხაჯალურებით (მძიმე ჭაჭვით), სვამდნენ ხუნდზე, აგდებდნენ დილეგში, ხოლო დადიანის დიდი ხანჯლით (ქალათის ხანჯლით) სჯიდნენ დამნაშავედ ცნობილ ყმა გლეხს და სხვა სასჯელითაც უსპობდნენ მათ სიცოცხლეს.

სამეგრელოში მებატონეთა განუსაზღვრელ უფლებებზე ყმა გლეხობის მიმართ ფრანგი მოგზაური შარდენი (1672—1673) წერდა: „მაღალი წოდება თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების პატრონია, იმას უშვრება, რაც უნდა: წაართმევს ცოლს, შვილებს; შეუძლია გაყიდოს და მოიხმაროს ყველაფრისათვის, რაც მოექვიფება“⁷⁰.

ამის შესახებ „ზსიემ“-ის (ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის) ფონდებში დაცულ მასალებში ვკითხულობთ: „ქ. ესე მტკიცე და შეუცვალებელი ნასყიდობის წიგნი (ი) მოგეცი მე ჭოლიამ ბერუკიამ თქვენ სალაცაიებს დავითს და ბეჟანას ასე და ამმა პირსა ზედან, რომ კაცის სულები მოგყიდე კუქავები ვაწაია და მისი ძმები — ლაზარკია და მამუკია, ფასი ასი მარჩილი გამოგართვი“ (წერილი უთარილოა).

მურის მაზრაში მცხოვრები აზნაური გიორგი პეტრეს ძე კუხალეიშვილის მიერ გაცემულ ნასყიდობის წიგნში აღნიშნული არის, რომ „ჩყმ(1840) წელსა ოქტომბრის იდ(14)-ს რიცხვსა მოგართვით ესე ნასყიდობის წერილი თქვენ მთავრის ლევან დადიანის ძეს გრიგოლ დადიანს ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერმან მურის მაზრასა შინა მცხოვრებმა, აზნაურმან გიორგი პეტრეს ძე კუხალეიშვილმან ესრედ, რომელ თქვენის მშობლისაგან წყალობის წერილითა ჩემს მამას პეტრე კუხალეიშვილს ბოძებული ყავდა გლეხი კინჩხის სოფლისა შინა მცხოვრებნი დათაია და სიმონა და მათი უმცროსი ძმა კუხალეიშვილები;

⁶⁹ ზსიემ საარქივო ფონდები სიველ-გუჯრები, საბუთი № 2.

⁷⁰ შარდენი, მოგზაურობა...

ამჟამად რომელნი ოთხ კომლად არიან, ესენი ჩემი ნებითა მოგვიდეთ და ფასი სრული გულსაჭერი მივიღე თქვენგან⁷¹.

თავადის სახლთუხუცეს ზუხუ ჩიჩუას მიერ გაცემულ წყალობის წიგნში, რომელიც დათარიღებულია 1822 წლის 29 აპრილით, აღნიშნულია, რომ „წყალობითა ასე მტკიცე და შეუცვალეზელი საბოლოო გასათავებელი წერილი გიბოძე ჩვენ — თავადმან სახლთუხუცესმან ჩიჩუა ხუხუმ და ძემან ჩვენმან გიორგი, ნიკო, ბახვა, ბეჟან და ბესარიონ შენ ჩვენს მოყვარეს იესე მეუნარგიას და შენს მეუღლეს — რუსუდან ლოლუას ასულს ასე, რომ მრავალსჯამიდან ჩვენი მოყვარე და სასიამოვნოდ მოსამსახურე იყავით... ამისათვის და მრავლისა მსახურებისა შენისათვის გიბოძეთ ერთი ჩვენი სამკვიდრო კაცის შვილი თაბუა ალანია“ (ე. ი. სახლთუხუცესმა ზუხუ ჩიჩუამ თავის მოყვარეს იესე მეუნარგიას უბოძა ყმა თაბუა ალანია).

ყმა გლეხების შეუბრალებელი ჩაგვრა-წამებისა და დაბეჩავებულის მდგომარეობის შესანიშნავი დახასიათებაა მოცემული სამეგრელოს 1856—57 წლების გლეხთა აჯანყების მეთაურის უტუ მიქავას მკვევრმეტყველურ სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა მან აჯანყების ჩასაქრობად ჩამოსული ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ნ. პ. კოლუბაკინის წინაშე:

— „ამ ერთი წლის წინათ, ბატონო, ჩვენს ქვეყანას ოსმალთა ჯარი შემოესია. მტერმა გაანიორწყალა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შველა არსაიდან გვექონდა; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი მებატონეები იმის მაგიერ, რომ დავეფარნეთ, ბიჭებსა და გოგოებს გვტაცებდნენ და ოსმალებზე ჰყიდდნენ. აუარებელი წაასხეს ოსმალებმა ოსმალეთში. ოსმალები წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, ოსმალებზე უარესად, მოგვდგნენ. ზედმეტია მასზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი შრომის ნაყოფი იმათ რჩებათ... ჩვენ ამას შევეჩვიეთ. ამას კიდევ თქვენი ჰირი წაუღია, საქმე ის გახლავთ, რომ ამბობენ, ვითომ ადამიანის სულიც კი არ გვედგასო. მათის აზრით, რა პირუტყვი გნებავთ ჩვენ არ გვეჭობნიდეს. ვთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა და ერთ კომლ გლეხს აძლევს მეზობელს, ოღონდ კი იმან ეს მიმინო დაუთმოს, მწევრის ან მეძებრისათვის რამდენიმე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები... როცა ბატონს თავისას ვაძლევდით, მხოლოდ იმას ვთხოვდით, ისე მოგვეცეოდნენ, როგორც ჩვენი ძველი, ჩვენთა მამაპაპათა მიერ დადგენილი ჩვეულება მოითხოვდა, მაგრამ წმინდა ჩვეულებას მებატონეებმა დიდი ხანია ფეხი დააბიჯეს, უგულუბელყვეს, ხოლო

⁷¹ ზსიემ საარქივო ფონდები, სიგელ-გუჯრები, საბუთი № 14.

ნაომევეს მათმა სისასტიკემ ყოველგვარ საზღვარს გადააცილა... გვეჩვი-
ვლა? აბა ვისთან გვეჩვილა? დედოფალი აქედან შორს იყო, ხოლო
მის მღაწეანბეგებს მებატონეების მხარე უჭირავს. მათგან ძალდატანე-
ბის მეტი არაფერი გვახსოვს... ბოლოს, ზაფხულში დედოფალი ჩამო-
ვიდა, მაგრამ რა გამოვიდა? არამც თუ მთარველობა არ გაგვიწია,
ყურშიაც არ უნდა შეუშვას ჩვენი გაჭირვება; როგორ გაბედევით, გვი-
ბრძანა დედოფალმა — და ბატონებს ხელი ახელითო!

ჩვენი ხელის ხლებაც ის გახლავს, რომ ჩამოვართვით ხაჯალურე-
ბი და დადიანურები, რომლითაც ისინი მთელის წლობითა გვტან-
ჯავდნენ და მათი სახლებიდან წამოვიყვანეთ ჩვენი დები და
ქალიშვილები, რომლებსაც მოახლეები ერქვათ და ნამდვილად კი
მათი ხასები იყვნენ და ქრისტიანული წესით გავათხოვეთ... ოხრად
კი დარჩეს ისეთი სამშობლო, სადაც თავიკ კი ვერ შეგვიფარებია
სადმე, საცა შენზე ნადირობენ, გარეულ ნადირსავით დაგდევენ!..

მიქაეა გლეხებს მიუბრუნდა და მეგრულად რაღაც უთხრა. ერთ
წუთში რამდენიმე კაცმა მოათრია მთელი გროვა მძიმე ჭაქვებისა და
ძირს დაყარა. — აი რით გვაბამდნენ და გვაწამებდნენ... აბა, რა უნდა
გვექნა, მოძალის წინააღმდეგ ძალა უნდა გვეხმარა...⁷²

მემატონეთა შეუზღუდველ ნებასურვილზე დამოკიდებული ყმა
გლეხების აუტანელ პირობებზე უთითებს აგრეთვე გლეხთა აჯანყე-
ბის ცხარე დღეებში ოლქის მმართველისადმი მემატონე ფალავების
მიერ წარდგენილი მოთხოვნა-განაცხადი, რომელიც მოგვყავს აქვე:
„გლეხები ღმერთმა ფალავებისათვის გააჩინა, ისე როგორც ძროხა,
ცხენი და სხვა ცხოველი ადამიანისათვის. ცხოველი ხანდახან ნებივ-
რობს და ურჩობასაც იჩენს, მაგრამ მას ჯობით სცემენ და დააქკვიანე-
ბენ, ამნაირადვე უნდა მოექცეს კაცი გლეხსო“⁷³.

მემატონე ფალავების ეს განაცხადი ტიპიური იყო. ასეთივე რწმე-
ნით იყვნენ გაყდენთილი სხვა მემატონეებიც. ამიტომ აჯანყდნენ და
დაუპირისპირდნენ ყმა გლეხები თავიანთ მემატონეებს, როგორც ეს
უტუ მიქაევას მიერ კოლუბაკინის წინაშე წარმოთქმულ განცხადება-
შია აღნიშნული.

ბატონყმურ სამეგრელოში იშვიათი არ იყო მემატონეთა და ყურ-
სალთა (ყაჩაღების) მიერ ყმების გატაცებისა და ყიდვა-გაყიდვის მა-
გალითები. ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის
სახელის წარმოქმნასაც ამ მოვლენას უკავშირებენ. მაგ., ანაკლია (შა-

⁷² კ. ბოროზდინი, სამეგრელო, გვ. 114—116.

⁷³ იქვე. გვ. 287—288.

ვი ზღვის ყურე ზუგდიდის რაიონისა) ყმების სავაჭრო პუნქტად ყოფილა აღიარებული და აქედან გაყავდათ თურქებს სამეგრელოში ხარკის სახით მოგროვილი თუ მებატონეთა და ყურსაღთა მიერ უკვალოდ გაყიდული ადამიანები.

ენგურის შესართავთან ანაკლიაში შესყიდულ ტყვეთათვის საგანგებოდ აგებულ ჭიხა—ციხიდან (ახლაც დვას) ხომალდზე გადაყვანისას გრძნობდნენ ეს მამულიშვილები სამშობლოს მიწაზე ფეხის უკანასკნელ დადგმას; სამულდამოდ სამშობლო ქვეყნის დამკარგავთა გლოვა-ქეითინი და ყვირილი ზარავდა ამ კუთხეს. ხალხის გადმოცემით აქედან წარმოიქმნა — ანაკლია: „აღნარკიადან“ რაც ნაკივლარ, ნაკვირალ ადგილს ნიშნავს. ამ ძნელად დასავიწყარ მოვლენებთან ერთად ამ კუთხის ხალხურ შემოქმედების ნიმუშებში მუქი საღებავებითაა დახატული ბატონყმური ურთიერთობა, რაც ჩვენს ისტორიულ წარსულს შავ ლაქად აცხია და ეს დრო დახასიათებულია, როგორც „ხაჯალურების, როზგების“, დილეგების ხანად. ზემოდასახელებული ფაქტობრივი მასალები წარმოადგენენ ბატონყმური წყობილების პირობებში ქვეყნად დამკვიდრებული სოციალური უსამართლობის ქვეშეობით დახასიათებას, რაც ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი უშუალოდ აისახა ამ კუთხის პოეტურ ფოლკლორში. ლექსებში: „ბურღა“, „მოჯალაბე ყმის გოდება“, „შენ არ გახსოვს ბათაია“, „ყმა ძოკოია“, „სესია“, „ჩელა“ და პოემაში „ორი მქედელი“ (უტუ და ბულათია) ზუსტი და ნათელი მხატვრული სახეებითაა გამოკვეთილი ბატონყმური წყობილების სისაძაგლე და ხაჯალურებით მებორკილი ყმაგლეხების გოდება.

ძველიდანვე პოპულარული ხალხური სასიმღერო ლექსი „ბურღა“ ასახავს საბატონო გადასახადის ერთ-ერთ სახეობას. მეგრულ ყმაგლეხს ევალებოდა წელიწადში ერთხელ მიებატიყა თავისი ბატონი და პურ-ღვინით დახვედროდა. ამ გადასახადს „ოჩამური“ („ჭმევა“) ერქვა. ასეთი „წვეულების“ დროს მებატონეს ქალი ან ვაჟი თუ მოეწონებოდა ყმა გლეხის ოჯახში, წითელ ძაფს შეაბამდა ყელზე, ის მის ხელდებულად ითვლებოდა და როცა მოისურვებდა, მაშინ წაიყვანდა ჰასახლეში „მუარხედ“, ე. ი. მოახლედ. ბატონს შეეძლო მისი გაყიდვა, გასაჩუქრება და ა. შ. ამიტომ ყმა გლეხებისათვის თავზარდამცემი იყო ასეთი „წვეულება“.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც გამწვავდა წინააღმდეგობა ბატონსა და ყმას შორის, ზოგიერთი ყმა გლეხი უარს ამბობდა საბატონო გადასახადზე და მით უმეტეს — „ოჩამურზე“. ასეთ გლეხს აითვალისწინებდნენ მებატონენი და გლეხს რომ წინააღმდე-

ზოჯი დოუყვილია ვოდა,
ფუჯი გეუძინი;
ოზეს ქემწოღვარანცია
დიდა ყვილირი გინი.

ხარი დაუქალიო ვოდა,
დაეუმატე ფური;
ეზოში ბღავისო
ღედა დაკლული ხბო.

ამავე სოციალური ფენის (საბეგრო ყმა გლეხების) მდგომარეობას ასახავს ლექსი „ყმა ძოკოია“⁷⁵. აქ ყმა გლეხის სოციალური ყოფა სხვა კუთხითაა ნაჩვენები. ძოკოიას ღრმად აქვს შეგნებული, რომ ეს ქვეყანა ბაღნარია, სადაც ადამიანი სოციალური უსამართლობის გარეშე სიამტკიბილობით იცხოვრებდა. ასეთ ცხოვრებას დანატრებული ძოკოია საქვეყნოდ აცხადებს:

ჰაი, შური საყვარელი,
ჩინა მუში მამარდა რე,
ჩინაშ ნება ქორდასგნი,
ქიანა მუში მაფართა რე!

ჰოი, სულო საყვარელო,
რა მადლია ცხოვრება;
ცხოვრების ნება რომ იყოს,
რა ვრცელია ქვეყანა!

ლექსის ბოლო სტრიქონებში ყმის ჭირ-ვარამის მოზიარე მეღექსე ღრმა გულისტკივილით გადმოგვცემს ძოკოიას უმწეო მდგომარეობას:

ძოკო წინდაში გოშერშილი
მილიონიშა ნახართა რე,
ძოკოში მანუგეშებელი
შუში ზოჯი დო აგაფარე;
ძოკოშ ნაუფ-ნახანდი,
ენა მუში აკა ვარე
პატგქ მუთუნ ქიმეჩღა,
ენა იშო თანაფა რე.

ძოკო ქუჰყით გაგლესილი
მილიონჯერ დანახლართა;
ძოკოს მანუგეშებელი
მისი კავი და ხარია,
ძოკოს ნაშრომ-ნაოფლარა;
არც ერთი მისი არაა,
ბატონმა თუ რამე მისცა,
ეს მისთვის აღდგომაა.

ბატონყმური ბეგარის უღელქვეშ ქანცგამოლეული ხარ-კამეჩის მდგომარეობასთანაა გათანაბრებული ყმა გლეხის ცხოვრება ლექსში „ჩელა“ (ძველი ურმული)⁷⁶.

საბეგრო ყმა გლეხი (მეურმე), რომელიც ვერავის შესჩივლებს სოციალური უკუღმართობით გამოწვეულ თავის ტანჯვას, მხოლოდ მის ბედში მყოფ ხარ-კამეჩს — ჩელასა და ჯაგას უზიარებს თავის გულის წუხილს. თავისთავთან ერთად ის საყვედურობს მათ, რომ შეჩვეული არიან მონობის უღელს, მძიმედ მიათრევენ მებატონის ტვირთს და მიზოზინებს თავის პატრონივით წკებლას შეგუებული და კისერდაშავებული ჩელა, რომელიც მხოლოდ ბატონისათვის შრომა-ტანჯვით სიკვდილის წილხვედრია.

ასეთი უსამართლობის თმენისათვის ის ჩელას უჯიგროს უწოდებს:

⁷⁵ ქართული ხალხური პოეზიის მასალები, გვ. 60.

⁷⁶ ი ქვე, გვ. 61.

ვო, ჩელა, სი ჩერჩელა,
სი მონობას გეგაფილი,
სი უჩხოჩხე, სი სერგელა,
სი კისერი ელაფირი...

პაუ, ჩელა, შე ზოზინა,
შე მონობას დაჩვეულო,
შე ზანტო და შე უჩვიგრო,
შე კისერ დაშავებულო..

ლექსის შემდეგ სტრიქონებში ზუსტადაა წარმოდგენილი ბატონ-
ყმური ვალდებულებით შებორკილი ყმა გლეხის ძარცვის პირობები,
რომ სანადელოდ გაცემული მიწის შემოსავლიდან მებატონისაგან ნა-
ხევარიც თუ ერგება, და ესეც რაში გამოადგება, როცა სხვა სახის
გადასახდელებში უნდა მისცეს. აუტანელი პირობების გამო ასე მწარე
ფიქრებში წასული ყმა გულმწუხარედ დასძახის ჩელასა და ჯაგას:

აშო, ჩელა, იშო ჯაგა.
ჩქენი ნახაჩქა რე ყვანა,
გვერდის იშო მიდამლანა,
ნაუფიის ვაშუჩანა,
მუჩანენი, მუშო გოკო,
კინე იშო მიდამლანა!

აქეთ ჩელა, იქით ჯაგა,
ჩვენი ნათოხნია ყანა,
ნახევარს წაგვართმევენ,
ნაოფლარს არ მოგვეკემენ;
თუნდაც მოგვეკენ, რისთვის გინდა,
ისევ იქით წაიღებენ!

ხალხური ჩელასაგანაა წარმოქმნილი და გავრცელებული მრავა-
ლი ვარიანტი, მაგრამ ზემოდასახელებული სტრიქონები მიგვაჩნია ნამდ-
ვილი ხალხური შემოქმედების ნიმუშად, რომლის გამოყენებით ბოლო-
ხანებში პ. აკობიამ შექმნა პოემა „ჩელა“. იგი ასახავს არა ბატონ-
ყმობის ხანის, არამედ მისი გადავარდნის შემდეგ — ბურჟუაზიულ-
მემამულური წყობილების პირობებში მშრომელთა უმწეო მდგომარე-
ობას.

ზსიემის ფონდებიდან ჩვენ მიერ შერჩეული ისტორიული მასა-
ლებიდან ვიცით, რომ ბატონყმურ სამეგრელოში ყმა გლეხოზა თავი-
ანთი სოციალური მდგომარეობით ოთხ ჯგუფად იყოფოდა: — აზა-
ტებად, მებეგრეებად, მინდობილებად და მოჯალაბეებად. ფრანგი მო-
გზაური ჟან შარდენის ჩანაწერების მიხედვით, მოჯალაბე იყო ყოველ-
მხრივ უფლებას მოკლებული, ყველაზე დამცირებული სოციალური
ფენის წარმომადგენელი. „მებატონეს უფლება აქვს მოჯალაბე გაყი-
დოს, ვისაც უნდა აჩუქოს, რაც უნდა, ის სამუშაო გააკეთებინოს, მო-
ჯალაბე სრული მონაა. მისი ბედი და უბედობა ბატონის ხელშია“⁷⁷.
აღნიშნული სახის ყმა გლეხის უმწეო მდგომარეობის კონკრეტული
დახასიათებაა გადმოცემული ლექსში — „მოჯალაბე ყმის გოდება“,
როგორც სათაური გვიჩვენებს, მოჯალაბე გულშემზარავი ხმით დასტი-
რის თავის უბედურებას.

⁷⁷ რ. ერისთავი, კ. ბოროდინი და მურიე, ბატონყმობა სამეგ-
რელოში, გვ. 41.

ახავაი, ჩქიმ რინა,
ფაცხა ვა მილუ დო ბინა.
ახავაი, ჩქიმ კოჩანა,
თხას ფთხილა დო კკედის ფჩანა.

ვაი, ვაი, ჩემი ყოფნა,
ფაცხა არა მაქვს და ბინა.
ვაი, ვაი ჩემო ვაჟკაცობა,
თხას ვმწყემსავ და მქაღს მაქმევენ.

მაშასადამე, თხის მწყემს მოჯალაბეს მხოლოდ მქადი ეძლეოდა შექამანდის გარეშე და ესეც სხვა დამამცირებელ სამუშაოსთან შედარებით (ძაღლების მოვლა, ღომის ცეხვა და სხვა) უფრო ღირსეულ სამუშაოდ მიიჩნია. დავალებულ სამუშაოზე უარის თქმისათვის მებატონე უარეს სამუშაოს შესარულებინებდა:

ვა ფქიბინე, მუ შარა რე,
უფრაშის მემრჩქინანა,
კაკუტის ქომუჩანა,
ლუმუს მოჩხვარაფუნა,
თეშ ვარიაშ მორაგადეს,
ჭოლორც მოთხილაფუნა,
ხუნჯის ქიგმოხუნუნა,
ვარა სოთინ გეგმობჩანა,
და სხვა მრავალი...

არ გაეკეთო, გზა არაა (შეულა არაა),
უარესს მომიჩენენ,
ხელკაეს მომცემენ,
ღომს მაეცხვინებენ,
ამაზე უარის მოქმელს,
ძალს მამწყემსვინებენ,
ან ხუნდზე დამსვამენ,
ან სადმე გამყიდიან,

სასჯელი მოელოდა ბატონის ნებასურვილზე დამოკიდებულ მოჯალაბე ყმას, ბატონის მითითებულ სამუშაოს სიტყვაშეუბრუნებლად თუ არ შესარულებდა.

ბატონისაგან დასჯილი გლეხი თავის ფაცხაში ბრუნდებოდა, მაგრამ აქაც შეიძლებოდა ყურსალები დასხმოდა თავს, იგი შეეკოჭათ და გაეყიდათ წებელდაში. ამის შესახებ ჩვენში დღესაცაა შემორჩენილი მიმართვა ერთმანეთისადმი — „წებელც ქედგოფოთასია“ — „წებელდაში დაგადოსო“, საიდანაც ძნელად თუ ვინმე დაბრუნებულა. ლექსი „სი ქოული, მა დომტალენქო“ (შენ კი მიდიხარ, მე აქ მტოვებ?!) და მასთან დაკავშირებული ეპიზოდები მოთქმაა (გლოვატირილი) ყურსალების მიერ მიტაცებული ყმა გლეხისა, კერძოდ კი ყურსალების მიერ თუთაშხია ანთიასა და კუზაია შელიას გატაცების ეპიზოდთან დაკავშირებით. ისინი შეუპყრიათ მდინარე ენგურის სანაპიროზე სოფ. ლიაში; ამ სოფელში დღესაც უთითებენ ადგილს და ეჭახიან — „კუზაიას გინადინეფუ“ („კუზაიას დაკარგვის ადგილი“), ე. ი. ადგილი, სადაც შეიპყრეს კუზაია შელია და საიდანაც გაქრა მისი ყვალი.

თუთაშხია კი შეუპყრიათ მაშინ, როდესაც ის გაწყებლილი ბრუნდებოდა ლევან დადიანის სასახლიდან. დაებარებინა მთავარ ლევან დადიანს და მისთვის დავალება მიეცა — ძაღლების მომვლელად დამდგარიყო სასახლეში. სამუშაოზე უარის თქმისათვის გაწყებულა მი-

უსჯიათ მისთვის ერთი პირობით: თუ განსაზღვრულ წყებალთა დარტყმას უსიტყვოდ აიტანდა, თავისუფალი იქნებოდა ვალდებულებისაგან. თუთაშხიას დარტყმისას ზმა არ ამოულთა. როცა ზურგგასივებულს ლიამდე მიულწვეია, ყურსალეებს შეუპყრიათ, კუზხიასთან ერთად წაუყვანიათ აფხაზეთის მხარეში და ბორკილი დაუდვიათ. ზამთარი ყოფილა და იმ საღამოს დიდი თოვლი მოსულა. მეორე დღეს ტყვეთათვის ბორკილი აუხსნიათ და შეშა უზიდვინებიათ მახლობელ ტყიდან. უფიქრიათ: დიდ თოვლში ტყვეები ვერსად გაიქცევიანო, მაგრამ თუთაშხიას ეკალნარისაგან თხილამური გაუქეთებია და გაპარვა მოუსწრია; მას შორიდან ესმოდა, თურმე, კუზხიას მოთქმა-ტირილი, რომელიც მისტიროდა ტყვეობიდან გაპარულ თუთაშხიას. თუთაშხია სახლში დაბრუნებულა. კუზხია კი საბოლოოდ დაკარგულა. ვინ იცის, სად და რომელ მხარეში გაპყიდეს იგი და გადაკარგეს ყურსალეებმა.

წალენჯიხის მხარის ყველაზე მკაცრი მებატონის, ტარიელ დადიანის ქვრივის „გურიელზეს“ — გურიელის ასულის და მის მემკვიდრის ფარნაოზის მხრივ ყმა გლეხების ჩაგვრის მძიმე ეპიზოდებია გადმოცემული ავტორმთქმელის დ. ფიფიას პოემაში — „ორი მკედელი“ (უტუ და ბულათია), რომელიც შექმნილია გასული საუკუნის 90-იან წლებში და ეხება 1856—1857 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყების თემას.

თავის დროზე ხალხურ ზეპირსიტყვიერებას ყურადღებიდან არ გამორჩენია უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ გმირთა საქმიანობა. უტუ მიქავას შესახებ ცნობილია ხალხური სიმღერები „უტუს ლაშქრული“, „პაბა ჭიმა, რია! („აბა, ძმებო, ავჯანყდეთ“), მაგრამ ზეპირსიტყვიერება მართო ამით არ შემოფარგლულა. ამაზე მეტყველებს ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში ჩვენ მიერ შეგროვილი მასალებიც. მათ შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა ზემოხსენებული პოემა „ორი მკედელი“ (უტუ და ბულათია)⁷⁸, რომელიც მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს აღნიშნული სახალხო აჯანყების შესახებ; წარმოდგენას გვაძლევს ამ აჯანყების თაობაზე დღემდე ზოგიერთ დაუზუსტებელ საკითხზე, როგორიცაა მაგალითად, ა) ყმა გლეხის ექსპლოატაცია და წამება, ბ) აჯანყების ორგანიზებისათვის წლების განმავლობაში მზადებისა და გლეხთა აჯანყებისადმი დამოკიდებულება, მასზე ორი საპირისპირო შეხედულება, გ) აჯანყების მეთაურთა შეხედულებები რუსეთთან ურთიერთობის საკითხზე, დ) ცნობები უტუ მიქავას პიროვნებაზე და სხვა.

⁷⁸ ქართული ხალხური პოეზიის მასალები, გვ. 61 — 78.

პოემის პირველ თავებში ვეცნობით ყმა გლეხების მიმართ განუსაზღვრელი ნება-სურვილით აღწევებულ მებატონეთა თარეშს საყმო სოფლებში, აქა-იქ ჩართულია კოლხეთის მთაგორაკიანი ადგილების ლამაზი პეიზაჟები და მის მიდამოებში ყმა გლეხებსა და მებატონეებს შორის გამართული მძაფრი ბრძოლის ამსახველი ეპიზოდები.

ისტორიულ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა აზრი სამეგრელოს გლეხთა აჯანყებაზე. ზოგი ამტკიცებს, რომ აჯანყება დაიწყო სტიქიურად, მეორენი კი — მის წინასწარ მომზადებაზე უთითებენ.

ხალხური პოეზიის ნიმუშები უფრო უსვამენ ხაზს აჯანყების წინასწარ მომზადებას:

დავითიში ღურაში აშო
ჩქიმო ვა გოფერე, სვანჯი,

სუმ წანა რე ვოცადქვ
ასე ვარე ენანწყუა.

დავითის სიკვდილის აქეთ
ჩემთვის არ ყოფილა დასვენება,

სამი წელია ვცდილობ,
ახლა არ არის წამოწყებული.

აგრე ეუბნება უტუ თავის მეგობარს ბულათია ფიფიას.

როგორც ვხედავთ, ლექსი პირდაპირ მიგვითითებს იმაზე, რომ უტუ უკვე სამი წელია, რაც ამზადებს აჯანყებას. მეორეს მხრივ, ამაზე მიგვითითებს დავით დადიანის გარდაცვალების თარიღიც (გარდაიცვალა 1853 წელს, ე. ი. გლეხთა აჯანყების დაწყების სამი წლით ადრე).

აჯანყების წინასწარ მომზადებაზე და ამ საქმეში უტუ მიქაეას თავდადებულ საქმიანობაზე მოგვითხრობს იმავე ლექსის შემდეგი სტროფები:

ვე ხან ქორე, მუღგარენი
უტუქ გვალო გაგმითგრე;
საქვარუას გოურკე ღო
ეხლეო ოშა-გოშა ძირე.
ვილუურტუ მარობით,
მოურტუ, მოეუნე უჩინებუ,
კვერ-უროში საგამათუ
ხეს მართახი უჩინებუ...
ამღლა ორწყექ ქალადიდც,
ქუმე ძირ მუხურტუ,
მინ ქვარე იჭურუანა,
მინ ბანძა ღო კურზუსუ.

კარგა ხანია, რატომღაც
უტუ მთლად გამოიცივალა;
მუშაობას მოუკლო და
სახლში ხანდახან ნახე.
დაიარება კვირაობით,
უცხო ახლავს დაბრუნებულს,
კვერ-უროსი სანაცვალოდ...
ხელში მათრახი უჭირავს...
ღღეს ხედავთ ქალადიდში,
ხვალ ნახავთ მუხურში,
ხან ქვარში შეინიშნება,
ხან ბანძასა და კურზუსში.

ლექსი ამასთან ერთად აგვიწერს უტუს გარეგნობას, მის ხასიათსა და მისწრაფებებს, ხელობას.

ოში სიტყვა ბეჭედი რდგ,
ქკუაში ღმზაგურაფალი,

მისი სიტყვა ბეჭედი იყო,
ქკუის მასწავლებელი,

ოქროშა მის ვაესხუნედუ
იმ ოშმეშიში კაკალი?
კოჩი რადე შხვანერ ევაში,
მესაჩინე შხვანერ გვალო;
ხონარ ულედ მუთ გურაგინი,
თოლეფ გოთომედუ ვალო.

ოქროზე ვის არ ერჩია
ვის ულვაშის თითო ღერი?
კაცი იყო სხვა შუბლის,
შესახელი სულ სხვა გვარი;
ხმა ჰქონდა ვითა ქუხილი,
თელეები — ელვის მინამგვანი.

ზემოთაც ითქვა და სხვა მასალებიდანაც ცნობილია, რომ უტუ მიქაევა მებატონეთა მოძულე და მის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი ადამიანი იყო. აი რას ამბობს თვით გმირი ბულათიასთან გულ-ლია საუბარში:

ჩქიმი დუდქუ ქაშმოქყორდგ,
შხვა საქვარი ვაემანჯი,
ჯარგვალეფი ვაიმენდი,
პატენც დოუზადი პანჯი;

ჩემი თავი დამავიწყდა,
სხვა საქმე ვამართე,
ჯარგვალები ვაიმედე,
ბატონს შხამი შეუმზადე;

ნარიკო ვეცუაფუ
პატენობა ვამოზლასე.

და ზღაპრადაც არ მოხდება,
ბატონყმობა რომ არ მოვშალო.

ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ უტუ მიქაევა თავდადებით იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ და, როგორც ლექსის შემდგომ სტროფშია გადმოცემული, კარგად ითვალისწინებდა ადგილობრივი თავადაზნაურობის კავშირს მეფის რუსეთის მოხელეებთან და სამხედრო ძალაზე დაყრდნობით გლეხთა წინააღმდეგ გამოლაშქრებას. უტუ, როგორც ჩანს, ჩინებულად ერკვეოდა რუსეთის თვითმპყრობელობისა და ადგილობრივი თავადაზნაურობის კლასობრივ არსში.

საგულისხმოა ლექსის ერთი ადგილიც:

რუს ხენწგუესუთ ქაშქურუ
ყაზახეფიში რიაშა.

არუს ხელმწიფესაც ეშინია
გლეხთა აჯანყებისა...

ამ სტრიქონებიდან აშკარად ჩანს, რომ აჯანყების მეთაური არ იყო შეზღუდული მხოლოდ სამეგრელოს ამბებით, რომ მისთვის ცნობილი ყოფილა რუსეთში ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ რევოლუციური მოძრაობანი, რომელმაც აიძულა მეფე, ეფიქრა საგლეხო რეფორმაზე. ის, რუსეთთან კეთილი მეგობრობის გამტკიცებით, ნათლად ხედავდა მუსლიმანურ ქვეყნების მხრიდან თავდასხმის უსაფრთხოების მტკიცე ძალას. ამაზე მეტყველებს პოემის შემდეგი ადგილი:

დადიას ჩქენი ნინა
მეფეცალო არჩქილე.
ნგერ დო მუში ფერი ტურა
ფიფრქე, არძო ართი რე.
მარა რგისი ოკო ბწანდან
თურქიმ ხეშე მათხილი!...

დადიანს ჩენი ენა
მეფისნაირად გაეგება.
მგელი და მისი ფერი ტურა,
ეფიქრობ, ყველა ერთია...
მაგრამ რუსი უნდა გვწამდეს
თურქის ხელისაგან დამცველი!...

ამ სტრიქონებში ნათლად არის გამოკვეთილი უტუს მრწამსი, რომ მეფე-მთავრები ყველგან გლეხების მჩაგვრელები არიან, ორივენი მგელი და მისი ფერი ტურაა. მიუხედავად ამისა, რუსეთთან კავშირის დამყარება მას პროგრესულ მოვლენად მიაჩნია. მას ესმოდა შორეული ხმები რუსეთში ბატონყმობის გადავარდნის აუცილებლობაზე, რასაც წინ უძღვოდა გლეხთა აჯანყებები, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ე. პუგაჩოვი, სტ. რაზინი და სხვები.

რუსეთთან ურთიერთობით უტუ იმედს ამყარებდა არა მეფის მოხელეებზე, არამედ საერთოდ რუს ხალხზე, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა ბატონყმობის მოსასპობად, თავისუფლებისათვის.

პოემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უტუ მიქავასა და მისი სიყრმის მეგობრის — მკედელ ბულათია ფიფიას დიალოგს რუსეთთან ურთიერთობისა და აჯანყების მოწყობის საკითხის გარკვევის შესახებ. მებატონე ფარნაოზ დადიანთან და მის ამაღასთან ხელჩართული ბრძოლის შემდეგ (აქ ბულათიამ მებატონე თავგახეტქილი დააგდო და მისი ამალიდან რამდენიმე კაცი დაჭრა ხანჯლით) მდევარს გამოქცეული ბულათია რჩევის საკითხავად მივა უტუ მიქავასთან. ეს უკანასკნელი ბულათიას გაანდობს აჯანყებისათვის ყმა გლეხთა საიდუმლოებას და მოუწოდებს, მხარში ამოუდგეს მას ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბულათიამ საზოგადოების დამოუპველად ჩათვალა სააჯანყებო საქმე და უტუს წინაშე შემართულმა უკმეხად მიამახა:

დამიჯერი, ჩგრთჳკ უტუ,
ტუ ურათ ებობძორებუთუ,
ზესხგრჳკ ქგლოწიასგნი
იმბრთათგ დუღი მუთუ?!

დამიჯერე, ცდები, უტუ,
ტუ ულიად ავიწწებით,
სისხლი რომ დაიღვაროს,
თავი რით გავიმართლოთ?!

არც რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ეთანხმება ბულათია უტუს პროგრესულ მოსაზრებებს და როცა გაიგებს უტუს გადაწყვეტილებას, შეცბუნდება და გაკვირვებული ეტყვის:

შხვა ხენწუფე მუშო გოკო,
მუ ულუ ის ოხილო,
სქანი სიტყვა ის ვარჩქილე,
ჩქენდა ჳგგრი მუ ალოლე?!

სხვა ხელმწიფე რად გინდა,
რა აქეს იმას სასიხარულო,
შენი სიტყვა მას არ ესმის,
ჩვენ კარგს იგი რას გვიზამს?

პოემის ეს ადგილები გვაცნობს აჯანყების მომხრეთა უმრავლესობისა და მის მეთაურთა შეხედულებებს, რომელიც პოემაში უტუ მიქავას სახითაა წარმოდგენილი, ხოლო გლეხთა ერთი ჯგუფი (ბულათია ფიფიას სახით) მას არ ეთანხმებოდა. ე. ი. ბულათიას ჯგუფს აჯანყების მეთაურებთან ამ საკითხზე მსჯელობის დროს გარკვეული საწინააღმდეგო შეხედულება ჰქონია. ისტორიაში ეს ფაქტი დღემდე უცნობი იყო. ასევე პოემის ეს ადგილები დამაზუსტებელ ცნობებს

იმდევს რუსეთთან ურთიერთობის საკითხისადმი აჯანყებულების და-
მოკიდებულების შესახებ.

პოემაში მიმზიდველი ფერებითაა დახატული როკის ქვეშ „ურ-
დუმელთა“ თავმოყრისა და აჯანყების საერთო მეთაურად უტუ მიქა-
ვას არჩევის ეპიზოდი; „ურდუმელთა“ გასაქირთან ერთად გადმოცე-
მულია ამ გამხმარი და დაკორძებული ბერმუხის (როკის) გასაქირიც⁷⁹.

იმო ვაყოფე დღასუ გოთანა,
იმო ართნერო მიშ იშ დღალეფი,
იმო ჟი ცა რღე დო თუდო დიხა
ქგოზლოდუჲ ჭიმა-დალეფი.

მისთვის არ ყოფილა მის ღღეში გათენება,
მუდამ ერთნაირად მიდიოდა მისი ღღეები,
მისთვის ზევიჲ ცა იყო და ქვევით (მიწა),
შემოხოცვია ძმა-ღები.

მიშეს ბორჯეფი, ბორჯებუ გეყუნდეს,
აღმექოსუდეს სოდგენ წყვარამც,
მარა ჩქენ როკი იშენ როკი რღე,
ხოლო თინარდ მუთ შხვა ფარანც...

მილიონენ ღროები, ღროებს მისდევდენ
და ინთქებოდენ საღლაჲ უფსკრულში;
მაგრამ ჩენი როკი მანც როკი იყო,
ისეჲ ეს იყო, რაც სხვა ღროშიც.

ღროთა სვლისაგან ტოტებდატეხილი და ქერქშემოფხრეწილი
როკი თითქოს სინარულით აღივსო, როცა მის ძირში ურდუმელებმა
თავი მოიყარეს უსამართლობის დასამხობად. მას თითქოს აღდგომამ
უწია, თითქოს ჩვენს ნაცნობ როკს ღღესასწაული მოევლინა, ეს იმი-
ტომ რომ —

თოლოშ ოქირინაფუს
ირიართო ვეშე-ვეშა
ნტია ვარე მუჟი-მუჟი,
ორე ართო კოჩიშ ეფშა...

თვალის მისაწიერამდე
განუწყვეტლად მინდორ-მინდორ
ირგვლივ ტევა აღარაა,
არის მთლად ხალხით სავსე...

ყაზაყეფი არიებე
უტუ მიქა ღუნა ნჯღვერო,
მესიაკონი მართალია —
თიში აღმაყვენჯო ქვეერო,

გლეხები ამბოხებულან,
უტუ მიქავა ჰყავთ წინამძლოლად,
გულთმისანი მართალია⁸⁰ —
მისი ქვეიან მრჩეველად...

ამდლა თაქი გუშეგორუჲ
უნჩაშეფი თარი-თარი,⁸¹
ბერაყის ექოფუნცუ
ცამანცარი უტუში ჭარი.

ღღეს აქ აირჩევა,
უფროსები „თარი-თარი“,
ბაიარას აიღებს
საოცარი უტუს ჭარი.

ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის ეს ისტორიული მოვლენ-
ა სინარულით შეაყრეოლებს როკს; თითქოს კვლავ ფოთლებით იმო-
სება, რკოს ისხამს და ამაყად გაჰყურებს მიდამოს.

⁷⁹ როგორც ზემოთ ითქვა, ხალხურა გადმოცემით, ეს როკი მდგარა წალენჯიხის
საყდრის ახლოს და მის ქვეშ შეკრებილა უტუს ლაშქარი.

⁸⁰ მართალია — მართალა თაღუა, უტუ მიქავას თანამოაზრე და აჯანყების მეთა-
ური, გარდაიცვალა გადასახლებაში (არხანგელსკში).

⁸¹ თარი — რჩეული.

პოემაში არაფერია ნათქვამი აჯანყების მსვლელობაზე და მის ხასიათზე. ეს ჩვენ მხოლოდ ისტორიიდან ვიცით, რომ აჯანყებამ მწვეავე ხასიათი მიიღო, მას ღირსეულად გაუძღვნენ უტუ მიქავა და მისი თანამოაზრენი.

რაც შეეხება ბულათია ფიფიას, რომელიც ინდივიდუალურად იბრძოდა მებატონეთა წინააღმდეგ და არ იცოდა აჯანყების პროგრესული მნიშვნელობა (როგორც ეს პოემაში უტუსთან დიალოგშია ნაჩვენები), აჯანყების მსვლელობის დროსაც მან, თავისიანებთან ერთად, აჯანყებას მხარი არ დაუჭირა, რის გამოც აჯანყებულებმა დასაჯეს.

ამგვარად, პოემაში განხილულია რიგი საკითხები, რომელიც ავსებს და ამდიდრებს ახალი მასალებით 1856—57 წლების საქმეგრელოს გლეხთა აჯანყების ისტორიას.

ამ უკანასკნელად კიდევ ერთი, მეტად საინტერესო ნიმუში ჩაეწერეთ აღნიშნული აჯანყების შესახებ აღრეულ პერიოდში ცნობილი მომღერლის — ბეგლარ აკობიას რეპერტუარიდან. გამოჩნდა სიმღერის შემსრულებელიც; ბ. აკობიას მომღერალთა გუნდის თანამონაწილე კარლო მესხია. როგორც ჩანს, ეს სასიმღერო ლექსი „რია“ („ჯანყი“)⁶² აღდგენილია პაველე აკობიას მიერ. სიმღერის ეს რეპერტუარი ამჟამად განაახლეს ზუგდიდის მომღერალთა გუნდებმა. ეს ლექსი დიდად განსხვავდება ამ თემაზე შექმნილი სხვა ლექსებისაგან. ლექსიდან აშკარად იგრძნობა აჯანყებულთა მიზანი და ამ მიზნის განხორციელებისათვის შეუპოვარი ბრძოლისაყენ მოწოდების ხმა:

აბა, ჯიმა რია,
ლეკურიში რქიჲ;
დობგორათ სამართალი,
უფლება დო თია!
აბა, ჯიმა რია,
ნიშანიშა ტყვია,
პატუნებუ ვემებჩათ
ჩქგნი მუნაწია!...
აბა, ჯიმა რია,
ფუჩის გოუტერხია,
სამართალი მოურკუ დო
ირკოჩქ აღგნია!

აბა, ძმებო, აჯანყება,
აღმართოთ ხმალი;
მოქმენოთ ჩვენი წილი,
უფლება და სამართალი!
აბა, ძმებო, აჯანყება,
ტყვია ნიშანზე (მივაწვდინოთ),
მებატონებს არ მიეცეთ,
ჩვენი ნაშრომ-ნაოფლარი!...
აბა, ძმებო, აჯანყება,
ფიცს ვეგულწრფელოთ,
სამართალი მოდის და
ყველამ ვემსახუროთ!

ლექსში გულდამაჯერებლადაა გადმოცემული აჯანყებულთა მეთაურების — უტუ მიქავასა და მართალი თოდუას მიერ წამოყენებულ საქმის განხორციელებისათვის თავგანწირვის იდეა:

⁶² იხ. ქვემოთ, გვ. 149.

აბა, ჭიმა, რია,
მითინქ ვაკნიხია!
ჯარც მეჯღუნცუ ჩქგნი უტუ;
იარგენ ფერი სქია;

აბა, ჭიმა, რია,
მარტილ-ანარკია,
მართალიშ ჭიმაჩაფილო
იარკოჩქ გინირთია!...

აბა, ძმაო, აჯანყება,
არავინ არ დაიხოს!...
ჯარს მიუძღვის ჩვენი უტუ,
ნაცადი შვილი (სასახელო)!

აბა, ძმაო, აჯანყება,
მარტილ-ანაკლია,
მართალის მმადნაფიციად
ყველა გადიქეციო!...

ლექსის ბოლო სტრიქონებშიც ბატონყმური უსამართლობის დამ-
ნობისათვის აზვირთებული ხალხის ომანიანი შეძახილის ექო სკექს.

სოციალურ-კლასობრივი უსამართლობის წინააღმდეგ
მებრძოლ გმირთა სახეები

1856—57 წლების სამეგრელოს ყმა გლეხთა სახალხო აჯანყების
ტრიბუნისა და ორგანიზატორის — უტუ მიქავასა და მისი თანამებრ-
ძოლების დაპირისპირება ბატონყმური უსამართლობის წინააღმდეგ
საყოველთაო-სახალხო ხასიათისა იყო. ასეთი ხასიათის რიგმა აჯან-
ყებებმა დააჩქარა ბატონყმობის გაუქმება რუსეთსა და მის განაპირა
ქვეყნებში. ანტიფეოდალური მოძრაობის ისტორიაში აგრეთვე მნიშ-
ვნელოვანი გამოძახილი ჰპოვა ბატონყმური უსამართლობის წინააღმ-
დეგ ინდივიდუალური ხასიათის ბრძოლებმაც; ბატონყმობისა და მის
შემდეგ ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების პერიოდში უსამარ-
თლობის წინააღმდეგ ყაჩაღად გაჭრილმა მებრძოლებმა სახალხო გმი-
რის აღიარება ჰპოვა. არსენა ოძელაშვილი, სისონა დარჩია, სიმონა
დოლიძე, დათიკო შევარდნაძე მარად დაუფიწყარი სახეებია სოცია-
ლური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში. მათი სახე-
ები მკვეთრად გამოიკვეთა ხალხის გენიათა შემოქმედებაში, რაც
თაობიდან თაობას გადაეცემა.

წინაპართა თაობებიდან გადმოცემულმა მეგრულმა ხალხურმა
შემოქმედებამ და ხალხურმა ტრადიციულმა გადმოცემამ დღემდე
შემოგვინახა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი
გმირების — მაცი ფიფიას, ასლან ყურუასა და დომენტი ჭანტურიას
სახეები.

მათ შორის ყველაზე აღრინდელ პერიოდს განეკუთვნება მაცი
ფიფია. როგორც ლექსის სიუჟეტური ფონი მიგვიითთებს, გმირის
მოქმედება წარმოებს გვიან ფეოდალურ სოციალურ გარემოში, რო-
დესაც ბატონყმური ურთიერთობა თავისი არსებობის უკანასკნელ
დღეებს ითვისდა. პირადად ჩვენც მოვსწრებივართ 110—115 წელს

მიღწეულ ადამიანებს, რომლებსაც ხალხი მაცი ფიფიას სათავგადასავლო ამბების თანამონაწილედ თვლიდა. ზოგი მათგანის გადმოცემით, მაცი ხვითის საყაჩაღო ამბები მთლიანად უგულებელყოფილია და გავიშარტავენ, რომ „მაცი ხვითია ყაჩაღი სამეგრელოში არავის გაუგონიაო. ისე ხვითები კი იყვნენ ცნობილი ასეთი საქმეებით, მაგრამ მათგან საყოველთაოდ გამოჩენილი ყაჩაღი იყო მხოლოდ ჯარმა ხვითიაო. მაციის სახელით ყაჩაღი იყო მხოლოდ მაცი ფიფია და არა ვინმე ხვითია მაცი“. ხალხის ტრადიციულ გადმოცემას მხარს უჭერს ისიც, რომ დღემდე სამეგრელოში შემონარჩუნებული ზეპირსიტყვიერ მასალებში ყველგან ვხვდებით სხვადასხვა ვარიანტებად გავრცელებულ ლექსებს მხოლოდ მაცი ფიფიას სათავგადასავლო ამბების შესახებ.

როგორც ხალხი და აგრეთვე მისი ახლო ნათესავეები გავიშარტავენ, მაცი ფიფია ყოფილა სოფ. მუჟავადან (წალენჯიხის რ-ნი), რომელიც იმ დროს სოფ. ჯვარის თემში შედიოდა. ეს სოფელი დადიანთა საყმოდ იყო (არა მთავრის, არამედ მებატონე დადიანთა, რომლებიც იწოდებოდნენ „პატენსქუად“ — ბატონიშვილად). ლექსში პირდაპირ გადმოცემულია მაცი ფიფიას მუჟარა მებატონე კოწია ბატონიშვილის (პატენსქუას) მიმართ:

კოწია, პატენსქუა რეჟო,
დუღმორცვილი მარაგავი?

კოწია, ბატონიშვილი ხარ,
მოპლაკუნებ თავტიტველი?

ეს სტრიქონები უთითებენ, რომ ყაჩაღი მაცი ფიფია მებატონეებთან ყოფილა დაპირისპირებული და მათ წინააღმდეგ მებრძოლი გმირი იყო. დამახასიათებელია აგრეთვე მაციის შესახებ გავრცელებული ცალკეული „კუპლეტები“, რომელიც ასევე უთითებენ მის დაპირისპირებას მებატონე ჩიქოვანებთან, რომლებსაც მიუვარდა თურმე მაცი და მიუთითა: მის ირგვლივ გარს შემოვლით (ვითომც მაციის სანაცვლოდ) თითულს სამ-სამჯერ ეთქვა:

ჩიქვანეფიში შური,
მაციში სადაბადო შხური.

ჩიქოვანების სული,
მაციის დაბადების შესაწირავი ცხვარი.

მაციის შესახებ არსებობს სხვა ვარიანტებიც — ვითომც სვიმონ ჩიქოვანმა თქვა: „რა გახდა ეს თქვენი მაცი, ხელზე შემოვიტყუნი საცოდავსო“. ეს გაეგო მაციის და საგანგებოდ შეხვედრია დღესასწაულ „გიორგობაზე“ დასასწრებად მიწავალ სვიმონს; ცალი წვერი ჩამოუპარსავს და მითითება მიუცია — უკან მოუხედავად წასულიყო „გიორგობაზე“ ჯვარში. ამის შესახებ ხალხს ლექსი შეუთხზავს:

მაცი ფიფია გარუელცუ,
სეიმოქ მუქოდ გალუენი,
ლო ცალი ოშმეში მიოხოკილქ
ხალხიშა მუშანძგვალუენი?!

მაცი ფიფის, გადარუელს,
სეიმონ როგორ შემოევლო,
და ცალ უღვამ ჩამოპარული
ხალხში ბზეკით შემოეთრია?!

ქვეყნად დაკანონებულ უსამართლობას (ბატონყმობას) დაპირისპირებული მაცი ოდიშის სამთავროდან გახიზნულა და თავი შეუფარებია სამურზაყანოს ტერიტორიაზე, რომელიც იმ დროსაც აფხაზეთის სამთავროში შედიოდა (სოფ. ნობაკევი). როგორც ჩანს, მისი დევნა აქაც დაუწყიათ და ამის შემდეგ გასულა ყაჩაღად. „მაცი ხეტიანში“ გადმოცემულია ერთი ეპიზოდი მღვდელ ოდიშარიას ფაცხაში მაცი ხეტიას და მისი თანამოსაქმეების კოჭოიასა და ძგვიბიას სათავევადსავლო ამბების შესახებ. ხალხში გავრცელებული გადმოცემები ამ ეპიზოდს მაცი ფიფისა და მის ამხანაგებს მიაწერენ და პირდაპირ ასახელებენ კოჭოიას და ძგვიბიას პროტოტიპებს (გვარისა და სახელის მოხსენიებით).

ასევე ტრადიციული გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მაცის ჰყოლია მეტად ალალი და საყაჩაღო საქმისაგან გადამდგარი კულტის მსახური ძმა — დათა ფიფია. პოლიცია და მაცის მდევარი რაზმი მას არ ერჩოდა, ვინაიდან მათ ექვი არ ეპარებოდათ მაცის საყაჩაღო საქმეებში დათას მხრიდან ხელის შეწყობაზე. ისე კი დათა თურმე მაცის თანაუგრძნობდა იმ სამართლიანი საქმეებისათვის⁸³, რასაც ჩადიოდა ის უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. თურმე მას ლოცვა უთქვამს ჯვარის წმინდა გიორგის ხატის წინაშე, ძალა და შეწევნა მიეცა მაცისათვის და იქვე აღუთქვამს — მაცის მოკვლის გავონების თანავე თავი მოეკლა. ეს აღთქმა მას სისრულეში მოუყვანია, როცა მაცის მოკვლის ამბავი გაუგია, დამბაჩით თავი მოუკლავს. სოფ. მუქავაში დღესაც ცნობილია დათა ფიფიას საფლავი.

ლექსში⁸⁴ მითითებულია, რომ მაცი ფიფია წარმოსადეგი, ბრვე და მარჯვე ვაეკაცი ყოფილა:

მა გოხოლგქ,
მაც ფიფია, გარაგანი,
დემიში სახე ქომილუდა,
ვამშაბქენო ვარაძვალი?!

მე გახლავარ,
მაცი ფიფია, გრიგალქარი,
დევის სახე თუ მაქეს,
არ მიძევს განა მისი ძვალი?!

⁸³ გადმოგვცემენ მთქმელები: ვასილ შამუგია, ალექსი ფიფია (115 წ.), იზდო ფიფია (95 წ.), პლატონ სამუშია (წალენჯიხის რ.), სოფ. ლია, მუქავა და ახალსოფლის (ზუგდიდის რ.) მცხოვრები ალექსანდრე კოსტას ძე ფონია.

⁸⁴ „მაცი ფიფიაში ლერსი“ — „ლექსი მაცი ფიფიაზე“. იხ. დასახელებული კრებული, გვ. 88 — 89.

ყაჩადად გაჭრილ მაცის მხოლოდ ცხენი ქვიშორია ჰყავს თანამებრძოლი. მათ არ იციან ერთმანეთის ღალატი; მათ პირდაპირი ბრძოლის გარდა შტერზე ზურგის შექცევა და გაქცევა არა სჩვევიათ;

მეტ მაყალე მა ვაპუნცუ
ვართ ჰგფე დო ვართი ბანი,
ჩქგ პირდაპირ ჩხუპიში მეტე,
ვაშიჩქგნა ნტება-განი.

ამხანაგი მეტი არ მყავს
არც წვირილი და არცა ბანი,
ჩვენ პირდაპირ ბრძოლის მეტი,
არ ვიცით გაქცევა-განი,

ამბობს მაცი თავის ქვიშორიაზე. ტრადიციულ გადმოცემითაც ცნობილია და ლექსშიაც ნათქვამია, რომ მაცის ცხენი — ქვიშორია თავის პატრონის მოწინააღმდეგეს არ დაინდობდა. როცა მაცი ცხენდაცხენ ხმლით თუ სატევრით მოწინააღმდეგეს ეკვეთებოდა, მაცის ცხენი ან ფლოქვებით დაახიანებდა მტერს, ან კბილებით მოაგლეჯდა რამეს (ასეთი ლეგენდის მაგვარი გადმოცემაც არსებობს „ქვიშორიაზე“). ამის შესახებ მელექსე მაცის პირით გადმოგვცემს:

მა დო ჩქიში მაყალექ
თიცალ მანგარი ქიბლგმით,
მა ხუთ კოჩი ყამათ პილი,
იქ ამშე(ი) კოჩი ბირგულით,
რგსიში ნაყოთეში ტყვია
ამარ მემილე ფიშულით.

მე და ჩემმა ამხანაგმა
ისე ძალიერად ვიომეთ,
მე ხუთი კაცი ხანჯლით მოვკალი,
მან ექსი კაცი მუხლით,
რუსისგან ნასროლი ტყვია,
აგერ მიმაქვს წვერებით.

ქვიშორიას შესახებ სხვა გადმოცემაც არსებობს; დასასრულს მაცის დამბლა მიუღია და ცალი ფეხი გაფუჭებია. იწვა თურმე სოფ. დარჩელში (ზუგდიდის რ.), ნათესავის ოჯახში, როცა ის ლოგინად ჩავარდნილა, მისი ძმა დათა პატრონობდა ცხენსაო. ერთ მათთვის უბედურ დღეს, მაცის სანახავად რომ მიდიოდა და სახლის ჭიშკარი გადმოიარა, აცნობეს მაცის მუხანათურად მოკვლის ამბავი. დათამ ჯერ ცხენს დაახალა ტყვია და მოჰკლა (რომ მაცის ცხენი სხვას არ ჩავარდნოდა ხელში), შემდეგ კი, ღვთის წინაშე დათქმის მიხედვით, იქვე თავიც მოიკლაო — გადმოგვცემს სოფ. ჯვარის (წალენჯიხის რ.) მცხოვრები ბარუქი ფიფია.

ლექსში ამბავთა თანმიმდევრობით არაა დაწვრილებით გაშუქებული მაცის სათავგადასავლო ამბები, მელექსე კონკრეტულად ეხება მხოლოდ მის საგმირო ეპიზოდებს: უშუალოდ გადმოგვცემს მაცის საგმირო მოქმედების ფაქტებს, — სოფელ საჩინოში მომამწყვდიესო, მაგრამ ის სოფელი მოვკაკევეო. ყაზახ-რუსები ისე შეეზარეო, რომ არავინ დარჩენილა მათი მიმშველებელი (გადმოგვცემს მელექსე მაცის პირით). ლექსის ამ ადგილიდან იგრძნობა, რომ საჩინოში მას უღალატეს და საფარზე სტრაჟნიკები მიუხიეს. მაციმ მთელ სოფელთან

ერთად „სტრაჟებს“ თავზარი დასცა, „ლაყორიაში“ ენგურის გაღმი-
დან გადმოეშვა და გამოღმა გადმოხტა, თავზე ტყვია კონივით დააყა-
რეს, მაგრამ გადარჩა:

ინგურც მეღე დიშკირი დო
მოღე ქეკვოსხაბი ძკას,
ქიგმორღვეს დუცუ ტყვია,
ქუას შეუღღღე ჩხარკი,
მუჟამც მა თქვ ვაბღურინი,
ნობტგბუე ჭინჯი ხატი.

ენგურის გაღმიდან გადმოჟეჟვი,
გადმოღმა გადმოჟესკუღი კიღღე,
დამაყარეს თავზე ტყვია,
ქვას გაქონღა ჩხაკუნი,
როცა მე იქ არ მოჟეკღი,
მჟყაღობღა ძირა ხატი.

როგორც ლექსის ამ ადგილიდან იგრძნობა, ყველაზე მძიმე და სა-
ხიფათო მომენტი აქ შექმნილია მაღის და აქ რომ გადარჩა, მაღლობას
სწირავს ღმერთს და გაკვირვებული ამბობს: „მე რომ იქ არ მოჟეკღო,
წყაღობა მქონია ძირა ხატისაო!“ აქ აღნიშნული სამეკღრო-სასიცოტხ-
ლო ბრძოღის ვითარებაში, მაღიმ უძღევეღი გმირის სახელი დამიკ-
ვიღრა და ამის შემღეგ მღევერები ერიღებოღნენ თურმე მაღისთან
შეხვეღრას. ამის შესახებ ლექსის ბოლო ნაწიღში ვკითხუღობთ:

ღღაშით გვღას გოხოღგქ,
სერით გობრჩქინღგქ ზღვას,
ნაბაკიშია ქიშუღღღე,
გორჩქინღ გურგინი დო ტყვიაი,
სტრაჟიკეჟქ გეკვირუუ,
ენა ყოფენია მაიცი,
საღავათი დიფუჩესგ,
ღღას ვა ღორხვღღთ აწი.

ღღისით მთაში ვახღვარ,
ღღათ გეგნღღე ზღვაში,
ნაბაკეში როცა მივღღ,
გაგნღღეა ქუხიღი და ქეჟა,
სტრაჟიკეჟმა გეკვირეს,
ეს მაიცი ყოფიღაო,
საღავათი დიფიღეს, —
არასღროს დგხვეღებით აწი.

ლექსის უკანასკნელ ტაეპში მეღეჟსე მაღის სიტყვებითევე აქეზს
მის სიათას, თეორტარიან ხმაღს, სროღაში ნაწრობ ზტუეღრის
თოფს. ტყვიის სიზღუსტით სროღაში მაღის სახელი ჰქონია გეგარღნი-
ღი იმღენად, რომ ამის შესახებ მაღიზე ლეგენდაც შექმნიღა — თით-
ქოს ტყის მეფე ქაღმა (ტყაშიმღამ) გაღმოსძახა მაღის — „გეგერ
მგელს შვღის ნუკრი დღუქერიღა და კბიღებზე დაკიღებული მიჰყავს,
თუ ვეჟაკი ხარ, იმ მგელს ცოცხაღს ნუ გაუშვებო! — მაღის უსერიღა
ტყვია და მგელი მოუკღავს. ტყის მეფე ქაღს დღუღოღია მაღის თო-
ფი — „ნიშანში არასღროს აგცღენოღღსო!“ ხაღხი, თურმე, ამ თქმუ-
ღებას მიაწერიღა მაღის მხრივ იარაღგამართუღობას, რომ მისი ნას-
როღი ტყვია ზუსტად ნიშანს ხვეღებოღა. (გადმოგეცემს სოფ. დარ-
ჩელიის მცხოვრები ამირან ნყოფიღა). ამ სოფელში მაღის სათეგეღა-
სავღო ამბები მრავაღ ვარიანტაღა გავრცეღებული, ვინაიღან მას
უკანასკნელი წუთები აქ დღუსრუღებია — აქ მოუკღავთ „სტრაჟებს“
მაიცი.

ჩვენ მიერ ჩაწერილი „მაცი ფიფიაში ლერსი“ („მაცი ფიფიას ლექსი“), როგორც თვით მთქმელები გადმოგვცემენ — სრულყოფილი არაა, მას ნაწილები აკლია, ვფიქრობთ, აკლდეს ბოლო ნაწილი, ვინაიდან აქ არაფერია ნათქვამი მაცის მუხანათურად მოკვლავზე. ლექსის დანარჩენი ნაწილები კვლავ მომავალი კვლევის საგნად დარჩება.

რემოლუციური მოძრაობის ამსახველი ლექს-სიმღერები

სოციალისტური რევოლუციის ხანა უახლოესი პერიოდია ჩვენი თანამედროვეთათვის. დღესაც ვხვდებით ამ დიადი ისტორიული მოვლენების მონაწილეებს, რევოლუციის ვეტერანებს, რომლებიც იბრძოდნენ ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დასამხობად. მეფის რუსეთს ვ. ი. ლენინმა ხალხთა საპყრობილე უწოდა. მისი დამხობისათვის სამი რევოლუცია მოხდა.

ისე როგორც საერთოდ ხელოვნების ყველა დარგში, ამ პერიოდის ხალხურ შემოქმედების ნიმუშებშიც აისახა რევოლუციური თემატიკა და ბრძოლის ფაქტები. სათანადო მასალები მეგრულ ზეპირსიტყვიერებაშიც გვხვდება. ხალხური ლექსი გვაუწყებს:

ხაზოვადო არიებე
ართო ვილებუნტებუნა,
მითინე მუთაქ ალოლუუ,
ართი პიჯი უკებუნა;
თავადეფი გოულახუნა,
პაპეფშათი უხებუნა;
ართიანე ოფუქუნა,
ნირზუნა დო იღებუნა

ხალხი აჯანყებულა,
ერთად დაბუნტაობენ,
ვერაფერი მოუხერხეს,
ერთი პირი აქეთ შექმნილი;
თავადეფი გაულახავთ,
მღვდლებისთვისაც ხელი უხლიათ,
ერთმანეთსა აფიცებენ,
კამათობენ და დაობენ.

ამხანაგეფ გობკურცხათ,
ართიან გეოფურაუთ,
თე ჩქინ მაქკუმალ ნგერაფი
თუდო ქეთიპუნუათ!...

— ამხანაგებო, გამოფხიზლდეთ,
ერთმანეთი შევახუროთ,
ეს ჩვენი მკამელი მგლები
ქვეშ მოვიყოლიოთ.

ასეთი ცეცხლოვანი სიტყვებითაა გადმოცემული ზუგდიდის მაზრაში 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეების დასაწყისი ლექსში „1905 წანაში რია“ — „1905 წლის აჯანყება“⁸⁵.

ცნობილია, მასიურ შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ზუგდიდის მაზრის სოფლებში: კახათში, რიყეში, ჭაქვიჩში, ობუჯში, მუხურში. აჯანყებულთა ლოზუნგებს შეადგენდა: ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ისინი გაიძახოდნენ: „ძირს მეფე! მიწას ჩვენ ვამუშავებთ, მაშასადამე, ის ჩვენია“.

⁸⁵ ლექსი „1905 წ. აჯანყება“, იხ. დასახელებული კრებული, გვ. 78 — 79.

რევოლუციური იდეები ჩვენში ცხრაასიან წლებში „ერთობის“ სახელით შემოვიდა. მასებში რევოლუციის იდეების დამნერგავი და ორგანიზატორი იყო ლენინური „ისკრა“. იგი ავითარებდა მშრომელ მასებს და აიარალებდა რევოლუციური იდეებით. ეს აშკარად ჩანს იმ პერიოდში შექმნილ ხალხური ლექსებიდან. მათში, საბრძოლო მოწოდებასთან ერთად, ასახულია იმ დროისათვის დამახასიათებელი სოციალ-კლასობრივი უთანასწორობანი და ამ ნიადაგზე შექმნილი ანტაგონიზმი ექსპლოატირებულ და ექსპლოატატორ კლასებს შორის. ლექსში „ქარწყეთო ჭიმაღეფი, ქიანა მუჭო ირთუენი?“ — „ხედაეთ ძმებო, როგორ ბრუნავს ქვეყანა (ცხოვრება)“⁸⁶ ვკითხულობთ:

ქარწყეთო ჭიმაღეფი,
ქიანა მუჭო ირთუენი,
მუშა კათაში ნახანდიოთ
ლალა კათა ირძლუენი?
დიდკათაში სამსჯავროს
სამართალი იჭუენი
დო საცოდალ მუშა კოჩი
თორსა ლეტას ინწყუენი.

ხედაეთ ძმებო,
ქვეყანა როგორ ტრიალებს,
მუშა კაცთა ნაოფლარით
უქნარები ძლებიან?
დიდკაცების სამსჯავროში
რომ იწვევა სამართალი,
და საცოდავი მუშა კაცი
საფლობ ტალახში ინთქება.

რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს რევოლუციური კომიტეტი დიდ მუშაობას ეწეოდა სოფლად. ისინი ეხმარებოდნენ გლეხებს ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნათა შემუშავებასა და წამოყენებაში. ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ზუგდიდის მაზრის გლეხები პოლიტიკური მოთხოვნებით გამოდიოდნენ.

კერძოდ, ისინი მოითხოვდნენ საკანონმდებლო ძალაუფლების გადაცემას სახალხო დეპუტატებისაგან შემდგარი საკანონმდებლო კრების, ანუ პარლამენტისათვის; სახალხო მოსამართლეების არჩევას, მეფისა და მისი ნათესაეებისათვის, თავადაზნაურებისა და მსხვილი მიწათმფლობელებისათვის მიწების ჩამორთმევას, წოდებათა გაუქმებას და მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის დაწესებას, 8 საათიან სამუშაო დღეს, პროგრესული გადასახადების შემოღებას, პროფესიული კავშირების შექმნას, შრომის დაცვას ყველა სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებაში, თანამდებობის პირთა არჩევას ხალხის მიერ, სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფას, პოლიტიკური პატიმრების სრულ ამნისტიას, საქმის წარმოებას მშობლიურ ენაზე; კრების, პრესის, კავშირების, გაფიცვების თავისუფლებას, 16 წლამდე საყოველთაო-სავალდებულო უფასო სწავლებას მშობლიურ ენაზე⁸⁷...

⁸⁶ იხ. ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971.

⁸⁷ 40—41—43. იხ. საქ. სსრ ცსია, ფონდი თვდ. № 126, ფ. 29 და № 126, ფ. 1—29.

პოლიტიკური მოთხოვნების კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს რევოლუციის პერიოდში ხალხში სასიმღეროდ გასული ლექსი — „1905 წანაში რია“ (1905 წლის აჯანყება)⁸⁸. სოციალური უსამართლობისა და წოდებათა შორის ზღვარის მოსპობის შესახებ აჯანყებულები გაპყვიროდნენ:

ჯიშალეფი, ირ ლირსება
ჩქინოთი რე დინაფილი,
ჩიებაში ნება ეა რე,
ენა ოკო გებგათენი!

ოქვალარი ჩხოლეფი
ჩქი ვორეთი ყაზაყეფი,
ჩქინ ზისხირიში მაშუმალი —
ენოსქუა, თეადეფი,
ქირსუმ რწმენაშ მოლაღატე
მეტ ნაწილი ჩქენ პაპეფი,
ჩქინი მალორებულეფი,
მარჩული აბრაგეფი...
ჩქინ ზესხირიში მაშული
არძა დიდი ვაქარეფი,
პოლიცია, თხობელი დო
მეფეში ჭარი კაზაკეფი...
მუშენი რე თენა თაში,
შხვანერ მიღუნანო კანი,
კაშე გუნანულეფი რენო
მდიდარი, თეადეფიში გვარიქ!
ვაი, ყაზაყეფიში ცოდა, —
ვაი, ლარიბი საცოდალი,
ათე დრო რე ჩქინ მონობაში
დუღმიზეზი ქიკითხანი.
მუშენი რე განსხვავება
კოჩიქალა ათეცალი?
მუშენი რე ოში მონა
ძათ პატგნი, მაზოქალიქ!

ძმებო, ყოველი ღირსება
ჩვენთვისაა დაკარგული,
სიტყვის უფლება არ არის,
უნდა გვქონდეს შეგნებული!

მოსაწველი ძროხები,
ჩვენ ვართ, გლეხები,
ჩვენი სისხლის მსმელებია —
აზნაური, თეადები,
ქირსტეს რწმენის მოლაღატე
მეტი წილი ჩვენი მღვდლები,
ჩვენი მომტყუებულები,
მძარცველი ავაზაკები...
ჩვენი სისხლის მწოველი —
ყველა დიდი ვაქარები,
პოლიცია, ჭაშუში და
მეფის ჭარი კაზაკები...
რატომ არის ეს ასე,
სხვანაირი გვაქვს კანი,
ციდან ჩამოვარდნილია
მდიდარ, თეადების გვარიქ!
ვაი, გლეხების ცოდა, —
ვაი, ლარიბი, საცოდავი,
აი ეს დროა ჩვენი მონობის,
თავმიზეზი, რომ იკითხონ.
რატომაა განსხვავება
აღამიანებში ამნაირი?
რატომაა ასი მონა,
ერთი ბატონი, მბრძანებელიქ!

ისეთ ლექსში ჩართულია აჯანყებულთა გამამხნეველელი მოწოდებები. მელექსე აჯანყებულებს ადარებს ზღვაში შეჭრილ ხომალდს, რომელსაც მიზნად დაუსახავს, გადალახოს ზღვის ზვირთები და გავიდეს გაღმა ნაპირზე, სადაც მას მოელის ნათელი, ბედნიერი მომავალი; მაგრამ მტერი გვაჩერებსო, — დასძენს გამლექსავი. მართლაც ასედაც იყო. მეფის მთავრობა ყველგან სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციონერებს. ალიხანოვ-ავარსკის რაზმები საქართველოს მაზრებში

⁸⁸ იხ. ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971.

სისხლის მორევში ახრჩობდა გლახთა მოძრაობას. ამ რაზმებმა ზუგდიდის მაზრაში გადასწვა რამდენიმე სოფელი (ჭაქვინჯი, ობუჯი, მუხური და სხვა). სოფლებში ჩაყენებულა დამსჯელი რაზმები ძარცვავდნენ, აპატიმრებდნენ, ხერტდნენ რევოლუციონერებს. სოფ. ჰკადუაშში საჯაროდ დახვრიტეს ვასილიკო ალიყბაია; სოფ. ჯახაშკარში — დიმიტრი გეთია; ქ. ზუგდიდში, ჰკადრების ხეივანში ხეზე მიაბეს და ისე აწამეს ბარონ შამუგია და სხვა.

ამ თემაზე შექმნილ ლექსებს შორის არსებობს სატირული ხასიათის ლექსიც ალიხანოვ-ავარსკიზე⁸⁹, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ შეხვდა აჯანყებულებისაგან შეშინებული ადგილობრივი მეფის მოხელეები და მათ მიერ ძალით მოგროვილი ხალხი ალიხანოვისა და მისი ჯარის გამოჩენას ხობში. აჯანყებულების დასასჯელად გამოგზავნილ გენერალს ხობელი ვაჰკრების წარმომადგენელი პავლე ცქირია მიაგებეს პურ-მარილით ხელში.

ვაჰარეფი დოკათენა,
ოში კოჩი ართი ცალო,
პავლე ცქირია გეგმუნწყუნა,
წმინდა გიორგიში ხატი ცალო,
ღვინ დო ჰობალი ჰიმუღჩამდეს,
ჰიმუზადეს ვანძი ცალო,
თისუ ეკოთხობუდესუ
ჰანდეფი დო ბაზი ცალო...

ვაჰრები შეჰარულან,
ასი კაცი ერთსაეთით,
პავლე ცქირია გამოუწყვიათ,
წმინდა გიორგის ხატივით,
პურ-ღვინო მიუციათ,
მიაგებეს ვანძივით,
მას უკან მისდევდნენ
ხარაბუზა და ბუზივით...

ლექსის ბოლო სტროფებში გადმოცემულია მთავრობის ადგილობრივ მოხელეებთან ერთად ალიხანოვისა და მისი* ჯარის პურის ჰკამა ჰკადრების ხეივანში (ხობში).

ღვინ დო ჰობალი, სასმელეფი
თი წუთის მიაართევს,
ჰანდარც ჰეთიბარგესუ დო
შუმა-ჰკუმუას შეუღირთეს...
სწორეთ თე დროს ართ კვარიაჰ
ჰანდარც ჰემწოლოხოლ წვანც,
„ყვაუ-ყვაუს“ უძახუდუ
ალიხანოვ დო მუში ჯარც.

პური, ღვინო, სასმელეფი
იმ წუთშივე მიაართევს,
ჰადრის ჰვეშ დაბანაკდნენ,
და სმა-ჰამას შეუღდნენ.
სწორედ ამ დროს ერთი ყვაეი
თავს მოევლო ამ ჰადარს.
ყვაო-ყვაოს უძახოდა
ალიხანოვს და მის ჯარს.

კოც გური მიგაჰუდუ,
კვარია თინებც ინგარღვნი,
ვარა, კვარიას მუთ უჩქუდუ,
გუბერნატორ თინა რღუნი?

წინა თავებში განხილული ხალხური პოეზიის ნიმუშების ქანრობ-რიგ-თემატიკური ანალიზი სრულყოფილს თუ არა, ზოგად წარმოდგენას მაინც გვაძლევს მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში უხსოვარ დროიდან მომდინარე პოეტური ტრადიციის მრავალფეროვნებაზე. მასთან ერთად საჭიროდ ჩავთვალეთ, ხაზი გაგვესვა ისეთ ლექსებზე, რომლებიც გაბაასებისა და მილმქსების ფორმით შექმნილან და რომელთაც ყველაზე დიდი დაფასება ჰქონიათ კოლხეთში. ამ მხრივაც ხალხური პოეტური ტრადიციის შესახებ დღეს მრავალი ფაქტობრივი მასალა არსებობს. ხანდაზმულმა (115, 120 წლის) მელმქსებმა მოაღწიეს ჩვენს დრომდე და მათი გადმოცემით ჩავწერეთ უმეტესობა პირველ კრებულში¹¹⁴ შესული ლექსებისა. ახლაც ცხოვრობს 80 წელს მიღწეული დავით ჩუხუა და მისთვის ჩვეული მაღალი პოეტური გემოვნებით შეთხზული ლექსებით უმღერს საბჭოთა სინამდვილეს¹¹⁵.

ეთნოგრაფი ნ. რეხვიაშვილი თავის სტატიაში — „ჩარობა სამეგრელოში“ — აღნიშნავს: „განსაკუთრებით უყვარდათ ბურთაობა და მარულა („კურალუა“), ჯირითი, თარჩია, კიდაობა, „ნირზება“ (შეჭიბრი) ლექსობაში და სხვ. ეს უკანასკნელი სახე სახალხო გართობისა დიდი მოწონებით სარგებლობდა. იგი არსებითად წარმოდგენდა შესხმა-გაკილვის პოეტურ შეჭიბრს ორ ჯგუფს ან გვარს შორის. ამ დღისათვის თითოეულს გამოჰყავდა ჯარობაზე საგანგებოდ გაწვრთნილი მთქმელი, რომელსაც უნდა დაეძლია მოპირდაპირე მხარის წარმომადგენელი მოსწრებული და აზრმახვილი მიმართვა-პასუხით. ამ სახის პოეტური კამათი (მეგრ. „ნირზი“) იცოდნენ ღამის თევის დროს და თავშეყრის სხვა შემთხვევაშიც...

მოკამათენი გვარის სახელით გამოდიოდნენ. მათი მხარდამჭერი და ქომაგი იყო მთელი გვარი..... თუმცა არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მოკამათის პირად ნიქსა და მის „გამჭრელ-გამოკაფულ“ სიტყ-

¹¹⁴ ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971.

¹¹⁵ ქვემოთ, გვ. 108—109.

ვას... ამ სახით აკობა და დაჯაბნა ბურღლუ კვარაცხელიამ — ჩიქოვანების ფალავანმა შეღიებოს ფალავანი — იაკო გულუა¹¹⁶.

აღნიშნულ სტატიამი ავტორი ჯარობის მხოლოდ ეთნოგრაფიულ აღწერას გვთავაზობს და გართობის სხვა სახეობათა გვერდით ერთ-გვარ წარმოდგენას გვაძლევს გაბაასებისა და მილექსების შესახებ ძველს სამეგრელოში.

ამ უკანასკნელ პერიოდში ჩვენ მიერ ჩაწერილი „მელექსე ფალავანების“ მიერ გამოთქმული ნიმუშები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ზემოთ დასახელებულ სტატიამი აღნიშნული „გამოკაფული“ და „გამპრელი“ ლექსების საერთო ხასიათზე. მთქმელთა გადმოცემით ხსენებული იაკობ გულუა ცხოვრობდა გასული საუკუნის 70-იან წლებში და მილექსების (ექსპრომტად წარმოთქმის) დიდოსტატის სახელი ჰქონია მოხვეჭილი, ყოფილა სოფ ხაბუმედან. მას მიეწერება ერთ-ერთ ქორწილში მახარობლად მოსულ (მელექსე) საბაიასთან შერკინება და მიგება.

ს ა ბ ა ი ა — დუღ(ი) მაყარე გოხოლგთ
საბაია ბარღეფული,
ხვალე მობრთინ ვაიჩქედანი,
ართო ვორეთ არყებული | მაყარიონის თავაკი გახლავართ,
საბაია ბარღეფელი,
მარტოდ მოსული არ გეგონოთ,
ყველანი ერთად ვართ დაძრული |

ო ა კ ო ბ ი — ვითი ხოჭი დოიფვილით,
ხოლო ვარე ბაღებული,
ირკოჩი ართო მუს მიშით,
დუღ(ი) რყოფუნა არღებული | ათი ხარი დაგიკალით,
კიდევ არაა საკმარისი,
ყველანი ერთად რად მოდიოდით,
ყოფილხართ თავადღებული |

სხვა მასალა და ცნობები იაკობ გულუას შესახებ ჯერჯერობით არაა ცნობილი. ასევე ითქმის თვით საბაიას ვინაობაზე.

მელექსეთა ასეთი სახის საჯარო შერკინებას ადგილი ჰქონია სოფელ დარჩელში (ზუგდიდის რაიონი) „მარიამობაზე“ გასული საუკუნის 80-იან წლებში. აქ მილექსეაში ურთიერთს გაჯიბრებია სამურ-ზაყანოელი (ს. ოტობაია) სვიმო გაბელია და ოდიშელი (ს. ორსანტია) უზა ქვარაია. პირველად „შეტევაზე“ გადასულა უზა და მიუმართავს:

უ ზ ა — სვიმო ხვარა, სვიმო ქულა,¹¹⁷
სვიმო, მუჟამიშა ფუბლა,
ჯარალუას მუ გოკოდუ!
დუღ(ი) მორწონცო ჩქიმწაულა!
თუზმა გოლანძლუაში(ი) უკული
ეუხა უჯგუ სქანი ულა | სვიმო ქაჩალო, სვიმო კოქლო,
სვიმო სანამდე დავმლო,
ჯარობაზე რა გინდოდა!
თავი მოგწონს, ჩემი სიყვდილი
ამდენი ვალანძლვის შემდეგ
სახლში ცობია შენი წასვლა
მეგრელის მეგრული
გაგიჩენს ანთებას,

¹¹⁶ თედო სახოკია (საიუბილეო კრებული), თბ., 1969, გვ. 119 — 120.

¹¹⁷ სვიმო გაბელია ყოფილა კოქლი და ქაჩალო.

რაგადის ქგდიჰყანცენი,
დღას ვლგდა გათებასი
ლერსის მირაგადჰქენი,
უზა რეჰო ქვარაია? |
დღუდი გემოქერეჰელი,
განთხი ოზარკალაია,
გალე ღართი მუგჰოქენცუ,
დინახალე, დარაია,
თეშ მერ(ი) მუთა გაპალუ,
ვეგეიდგ კარაია.¹¹⁸

ლაპარაკს რომ დიწყებს,
მისდღეში არ ელოდე დამთავრებას,
ლექსს რომ მუღუნებში,
უზა ხარ ქვარაია? |
თავგამოფხეკილო,
თეძობანცალავ,
გარეთ ჩოხა გაცვია,
შიგნით კი დარაია,
ამის მეტი არა ვაბადია რა,
არ გიდგას კარავიცა.

ღარჩელში მარიამობის დღეობაზე ბევრ ასეთ მაგალითზე უთითებენ, მაგრამ სადღეისოდ დანარჩენი ნიმუშები მიკვლეული არაა. სამაგიეროდ საკმაოდ საყურადღებო მასალები შეეკრიბეთ ენგურის გაღმა-ვაშლიან სანაპიროზე მდებარე სოფლებში ოდიშ-სამურზაყანოელ სხვა მეღექსეთა შესახებ.

როგორც პირველი კრებულის შესავალში გვქონდა აღნიშნული, ამ კუთხის მეღექსეთა (უ. ქვარაიას, პ. მეუნარგიას, ჯ. შედარიას, პ. ქარდავას) შესახებ მაშინ ძალიან ცოტა მასალები მოგვეპოვებოდა. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ნათლად წარმოგვიდგება მიღექსებაში შეჩიბრების ის ხასიათი, რომელსაც ადგილი ჰქონია ამ კუთხის შიდა სოფლებსა, საგვარეულოთა, ზემო (მთა-გორაკიანი) და ქვემოთ (ზღვისპირა) ადგილებში მცხოვრებ მეგრელებს შორის. როგორც რელიეფურად, ისევე ყოფითაც ისინი ნაწილობრივ განსხვავებულ პირობებში ცხოვრობდნენ. მთა-გორაკებზე (ლაკადაზე) მცხოვრებთ ნაკლები სახნავ-სათესი ადგილები ჰქონდათ. სამაგიეროდ ჰქონდათ მდიდარი საძოვარი, მშრალი და ფხვიერი სავენახე ადგილები, კეთილშობილი ზე-ტყე (ალა-ჯა), სანადირო და საავარაკო ადგილები. ზღვისპირა სოფლებს — სახნავ-სათესის ვრცელი ფართობი (ნოყიერი ნიადაგით), მაგრამ მცირემოსავლიანი სავარგულებით, ვინაიდან ადგილი ჰქონდათ იყო და ჰავა ნოტიო. ზაფხულობით ზღვისპირელები საავარაკოდ აღიოდნენ „ლაკადაზე“, ხოლო ზამთარში „ლაკადელებს“ ზღვის სანაპირო ადგილებზე მიჰყავდათ ჯოგი. მათ წრიდან გამოსულ მეღექსეთა შეხვედრა, ყველა შემთხვევაში, სადაც უნდა ყოფილიყო, საინტერესო ყოფილა.

სავარაკოდ „ოხაჩქუეში“¹¹⁹ მიმავალი რეფელ (ზღვისპირელ) ჩანთას ეუბნება ოქუემელი მეღექსე ტაგუ:

¹¹⁸ გადმოცემა და ლექსი ჩამაწერინა 85 წლის ცირუ (მინუშა) ჩანგელა-სარსხინამ (გამოთხოვილია ორსანტიიდან ქ. ზუგდიდში).

¹¹⁹ სავარაკო ადგილია ოდიშ-სამურზაყანოს მთიან მხარეში.

ტ ა გ უ — გამარჯობა, რეფალეფი
მოლართითო ჰაეშა,
ორინჯ(ი)¹²⁰ ქიმშორიანნო
თქვან(ი) უბარგე ყვანაშა?!

ჩ ა ნ თ ა — არაქე ჩქინ(ი) ცვანეფი
ღუეობარაფეთ ფარაშა,
სით, ბარგილი ვაფუ, მარა
იშენ(ი) ვამგონქ ქვარაშა!
თეში იმენდით ქორეჭგდა,
მუ შეილანც წანაშა!¹²¹

ტ ა გ უ — ალბათ გურქუ ვეგვადვინეს
წყარიში ათნაბაყაშა
დაცვინთელუქ კათას
ღუდ(ი) შეილანც ჰაეშა.¹²²

ჩ ა ნ თ ა — სი თაქ ქემკორექ მარა
მუთა გიგე ქარავაშა.¹²³

— გამარჯობათ, რეფელეობ,
წამოხედით საჰეროდ (ჰაერზე).
საქონელი გიღვათ (შეუშვით)
თქვენს გაუმარგველ ყანებში?
ყველამ ჩვენი ყანები

გავამარგვლინეთ ფულად,
შენც გამარგვლილი გაქვს, მაგრამ
მანც არ გწვდება მუცლამდე!
ამის იმედით თუ ხარ,
რით მიალწვევ გაისამდე!

ალბათ გული ავიტრუვდით
წყალშემდგარ ყანებზე,
დაყვითლებული ადამიანები
ძლივს მიიერთევი ჰაერზე.
შენ აქ კი ღვეხარ, მაგრამ
არაფერი გიგავს ქარვასა.

ოქუმელმა იაკობ ქვაჩახიამ მილექსების კიდევ სხვა საინტერესო მცგალითიც ჩაგვაწერინა. ერთ ლუმურიშელ (გალის რაიონი) კაცს ცხენი გადაჩენია ხრამში, პატრონს მკედარი ეგონა თურმე და არ მიუხედავს. იქვე მახლობლად მცხოვრებს, ისილორე მარლიას მოუნხავს ის ცხენი და მოურჩენია. ამასობაში ცხენის პატრონს სხვა ცხენი უყიდა (ალთა რქმევია). ამის შემდეგ ისინი ცხენდაცხენ შეხვედრიან ერთმანეთს; ცხენის პირვანდელმა პატრონმა, თურმე, ლექსით მიმართა მარლიას:

გამარჯობას მოგოშინა
ჩქიმი ისილორე მარლიას,
თეზნა ხანდა ქოძირინი
ქოუმარდუქო საღარიას?
მიკულა-მუკულა შენი
ხომ ვაირავადუ ვარიას?
მ ი ს ი ლ ო რ ე — „მა ღო ჩქიმი საღარია
ქოუმარდუთ ართიანც,
სი რობუს ქინიტე, მარა
მა ვაღუანებო კვარაის.

გამარჯობას მოვახსენებ
ჩემს ისილორე მარლიას,
ეგზომ შრომა რომ ნახე,
კი უმაღლი საღარიას?
გაულა-გამოვლისათვის
ხომ არ გეუბნება უარს?
მე და ჩემი საღარია
კი ვუმაღლით ერთმანეთს,
შენ ხრამში დატოვე, მაგრამ
მე არ დავანებუ ყვავს (საქმელად).

¹²⁰ ორინჯი პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს არსებობას (ყოფნის) საფუძველს, რაც აღამიანთა ცხოვრების დასაბამიდან დამსახურა მსხვილფეხა პირუტყვმა, როგორც აღამიანის საარსებო საშუალებამ (იხ. ზუგდიდის მუზეუმის XI სამეცნიერო სესიის თეზისები გვ. 27, მამანტ კვირტიას მოხსენებებიდან).

¹²¹ რა მიეიტანს მომავალ წლამდე.

¹²² თავს მიიბრუნებთ ავარაკზე.

¹²³ ჩაგვაწერინა ს. ოქუმის მცხ. იაკობ ქვაჩახიამ (85 წლისა).

ეჩი ფუთი მუეობუნენი,
ვამწინც ვარიას,
სუმოშ(ი) მანათით ქოუჭგუ
სქან(ი) ოცქვაფური ალიას

ოცი ფუთი რომ ავილო,
არ მეტყუის უარს,
სამასი მანეთით სჯობს
შენს სანაქებო ალიას.¹²⁴

1962 წელს მთიან სამეგრელოში (ჯვარი-მუყავა) ხანდაზმულმა მთქმელებმა (აწ განსვენებულმა) გახუ გეთიამ (120 წლის) და ალექსი ფიფიამ (115 წლის) ორი სახელმობხვეჭილი მელექსე დაგვისახელეს — გვადა არქანია და პეპუია ქარდავა. უქანასკნელს გასაბჭოების პირველ ათეულ წლებამდე მოუღწევია. პეპუ ყოფილა სოფელ ლიიდან (ლე-ბოხის უბანი), გვადა — მუყავადან (ხუმათიას უბანი). ოხაკალეში (ჯვარი) მედუქნეს ფანჩატური ჰქონია დუქნის წინ, სადაც მგზავრები შეისვენებდნენ და საჭირო რამესაც იყიდდნენ. ერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ეს ორი მელექსე აქ შეხვედრია ერთმანეთს. დუქანში პუპუია შესულა სწორედ იმ დროს, როდესაც გვადა სხვებთან ერთად ფანჩატურში მჯდარა და საუბრობდა. ნავაქრის ალების შემდეგ პეპუს ხურდა ფული რგებია ვაქრისაგან. ვაქარმაც დაუბრუნა ხურდა, მაგრამ შაურის დაკლებით. ვაქარს ოთა (ოთარი) რქმევია და პეპუს მიუმარ-თავს მისთვის:

ყო ოთა, ხუტაში ბოში დო
ქვაცაში მოთა,
ფარა სი ბრელ გილუ დო
მა ჩქიმ შაური ვემემყოთა

ჰაი, ოთარი, ხუტას ბიქო და
ქვაცას შვილიშვილო,
ფული შენ ბევი გაქეს და
ვე ჩქიმ შაური არ დამიკარვო!

ოთარს შაურთან ერთად ერთ „ჩერვონეცად“ ღირებული ყაბა-ლახი მიურთმევია თურმე პეპუსათვის და ეს ამბავი იქვე მყოფ ხალხსაც გაუგია, პეპუ ფანჩატურში ზიიხმეს და აქ მომხდარა პეპუსა და გვადას შეხვედრა. მათი გალექსების თემა პირველად სათავგადასავლო და პირადულს არ სცილდებოდა თურმე. მაგრამ ბოლოს საგვარეუ-ლოს ამბებს შეხებიან. მათი გალექსებიდან მთქმელმა (გახუ გეთიამ) გვადას ბოლოს ნათქვამი სტროფები ჩამაწერიან (სხვა არ ახსოვდა), რაც პეპუს ახლო მოგვარეებს (ქარდავებს) ეხებოდა:

თქვანიხურე, ლექარდეს,
ართო დომაყარდეს,
ართიან(ი) ცხენც ქეშადვეს,
თეცალ(ი) მონკა თიშენ რდეს,
კოპეშიათ ეფშადეს.¹²⁵

თქვენსკენ, საქარდოში,
ერთად შეყრილიყვენენ,
ერთმანეთი ცხენზე შედვეს,
ასეთი მძიმე იმიტომ იყვენენ,
კოგრით საცე იყვენენ.

¹²⁴ საღარია და ალია ცხენების სახელებია.

¹²⁵ ჰამა-სშაში ქარდავები განთქმული ყოფილან, ერთ ქარდავას თურმე თორმეტი გოგრა მიურთმევია, ამიტომ შემდეგში დასაცინოდნენ ქარდავებს — თორმეტი გოგრის მკამელებო. სწორედ ეს მოიხსენია ლექსში გვადამ პეპუს გასამასხარავებლად.

თეში დოშულადღეს,
ეშა-ვიმა ქეშანდეს.

ისე დაღლიღან, რომ
ქშენით სულს ძლივს ითქვამდნენ.

1905 წლის ამბებთან დაკავშირებით, არსებული სოციალური უსამართლობის თაობაზე გვადას ლექსები შეუქმნია, ამის გამო გადაუსახლებიათ და იქ დაღუპულა. ყაჩაღი მაცი ფიფიას ლექსს და ლექსს — „გასაქირი ზღვაზე“ გ. არქანიას მიაწერენ მთქმელები.

როგორც ირკვევა, ენგურის ორივე სანაპიროზე მდებარე სოფლებში აღრიდანვე შექმნილა ძლიერი ტრადიცია მელექსეობისა, რომელიც ეხებოდა როგორც პიროვნულს, ისე საზოგადოებრივ-სოციალურ თემატიკას, რომლის ყურადღების გარეშე არ რჩებოდა ქებისა თუ გაკილვის არც ერთი ობიექტი, ვინც ასეთის ღირსი იყო. ამიტომ მათ მელექსეობას საზოგადოებაზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა, ყველა ერიდებოდა, რომ მათი გაკილვის საგანი არ გამხდარიყო და მელექსეებს სააშკარაოზე არ გაეტანათ.

მილექსეების, მკრელი სიტყვებით პასუხ-მიგების ტრადიცია იმყარებოდა ვითარების აღქმისა და შეფასების სწრაფ უნარს, მის შესაბამისად — საპასუხო ლექსის გამოთქმის პრინციპს, რაც მაღალ პოეტურ უნარზე მეტყველებს. ამ ტრადიციის მიხედვით, უფრო გვიან, როგორც სამურზაყანოში, ასევე ოდიშში, ყოფილან ხალხური მელექსეები, რომელთა სახელებთან დაკავშირებული ლექსები, კანტიკუნტად, დღესაც ახსოვთ ხანდაზმულ მთქმელებს. ოდიშ-სამურზაყანოს სოფლების გალექსვას მიაწერენ ჯურჯუ შედანიას — იგი ყოფილა სოფ. კასათის (ზუგდიდი რაიონი) მცხოვრები. გარდაცვლილა 1915 წ. მის ლექსში მოცემულია ცალკეული სოფლის ყოფისათვის დამახასიათებელი კონკრეტული მონახაზები. ასე მაგალითად:

ხეთა, ირკოც ქოგიჩქუნა,
დიშქა ექი ძვირი ვარე,
სიმინდისი ბოლაზი რე,¹²⁶
მუთუნი გასაქირი ვარე,
არშიყოფათ ქოუჩქუნა,
ენა დიდი კილი ვარე.

ხეთა, ყველამ იციო,
შეშა იქ ძვირი არაა,
სიმინდის ბარაქაა,
არაფერი გასაქირი არაა,
არშიყოფათ კი იციან.
(მაგრამ) ეს დიდი ნაკლი არაა.

თეურეშე მოლურქუნი,
ჯვეში სოფელი რე ცეში,
მონაწიი ვეცუაფუ,
ახალც ეამოქიშე ჯვეში,
ქინუ-ვარე, დიშქა-ვარე —
მის ღარინე, ჩიმა, ეში

იქიდან რომ წამოხვალ,
ძველი სოფელი ცეში (ცაიში),
მოსავალი არ მოდის,
ახალ მოსავლამდე ვერ აღწევს ძველი,
წკნელი არაა, შეშა არაა —
ეიხა ედგომება, ძმაო, ასე!

¹²⁶ ბოლაზი ნავსადგურს ნიშნავს, მაგრამ აქ ბარაქიანობის მნიშვნელობითაა ნახმარი.

დარჩელი — ჩქინი ჩინებაშე
ოკო რდას პატიოსანი,
ქოთი მუგეწონებუნა,
ბორუა ულუ არძას სქეამი,
ძღაბი ჭვირი, ბოში — ჭვირი,
ხოლო უჭგუში მადლოსანი...

დარჩელი ჩენი შეცნობით
უნდა იყოს პატიოსანი,
კიდეეა მუგეწონებათ,
ეზო-კარი აქვს ყველას ლამაზი,
გოგო — კარგი, ბიჭი — კარგი,
კიდეე უკეთესი მანდილოსანი.

ოტობაია დო ფიჩორ¹²⁷
ფერი გეძენა ბაიაცალი,
ვა ხაჩქენა, ვა ბარგნა.
ლაიტი ჩიუნა ხაია ცალი.

ოტობაიასა და ფიჩორში
ფერი ადევთ ბაიას მსგავსი,
არ თოხნიან, არ მარგვლიან,
სიშინდი უთესიათ ხაიას მსგავსი.

ოტობაია ევანათ მილუ,
გორდეფ პუნ(უ) მალათარე,
თიზმა აშინებდანი,
მუზმა თეურე მოლამთირე?

ოტობაია საყანედ მაქვს,
ბაყაყეზი მყავს მოზიარედ,
ისე აშენდენ,
რამდენი (ხეავიც) იქიდან წამოვიდო?

როგორც ვხედავთ, აქ ოდიშის ზოგიერთ სოფელთან ერთად, სამურზაყანოს სოფლები — ოტობაია და ფიჩორი, კლიმატური პირობების და მცხოვრებთა უქნარობის გამო (ეხახქენა, ვაბარგუნა — არ თოხნიან, არ მარგვლიან), უარყოფითადაა დახასიათებული. ამას მოკყოლია სამურზაყანოელ მელექსეთა გამქილავი ლექსები პირადად ჭურუ შედანიასა და მთლიანად ოდიშელთა მიმართ. საპასუხო ლექსს მიაწერენ მანჩა შარვაშიძეს — ბარდეფელს. ლექსი იწყება ჭურუს გაკიცხვით:

მოკითხას მუგომინა,
ჩქიმი შედანია ჭურუ,
ათეგვარი პოეტიქ
ოდიშის მის აგურუ?!
დიო ახალ(ი) ბოში რექ,
ახალ(ი) ზესხვრითუ ფურუ,
ქოთ თეშენ(ი) რე ჩგრთინი,
სქანი დუდქუ ვადომღურუ!

მოკითხვას მოგახსენებ,
ჩემო შედანია ჭურუ,
ამის მაგვარი პოეტი
ოდიშში ვის მიემგვანა?!
ჭერ ახალგაზრდა ბიჭი ხარ,
ახალი სისხლით სდუღხარ,
კიდეეა აპიტომაა, რომ შეცდი,
შენი თავი არ მომიკედეს!

ოტობარეფი ბლანძლითგნი,
მათი ნინას გეგომტყურუ,
ფიქრენდი, გიგოსქედღღღდა,
ქოგოფექგ ძალამ(ი) ეურუ!...

ოტობაიელები რომ გავკლანძლე,
მეც ენას დამსტყუებ,
თუ ფიქრობდი, შევრჩებოდა,
ყოფილხარ ძალზე ბრიყვი!...

¹²⁷ ნაწილი ამ ლექსებისა ჩანაწერების სახით გადმოშვა მარკოზ თორდიას მომღერალთა გუნდის წევრმა, აწ განსვენებულმა დამიანე თორდიამ, 1965 წ. (სკორცხელს, ზუგდიდი რაიონი), სოფლების გალექსიანი კი მასწავლებელმა ვახტანგ დარასელიამ (ქ. ზუგდიდი).

შემდეგ ოტობაიელი (თუ ბარლეველი) მელექსენი საყვედურობდნენ ოდიშელებს (რომლებსაც მეგრელების სახელით მოიხსენიებდნენ), ჩვენი ადგილებით სარგებლობთ, ჩვენს გარეშე ვერ იარსებებთ და რატომ გაგვლანძღვით;

ეს მუშენი ვეკოხანთ,
ჩქენი(ი) უმშეთ ვერგთენი,
არჰო თაქი გილფაფეთ
ურემი დო ბერგითენი,
თქვა ვარდუო მუშენდითენი,
მეპატუნეს ენტიოთენი!

ამას რატომ არ კითხულობთ,
უჩვენოთ თქვენ რომ არ ვარგოხართ,
ყველანი აქ დაწანწალობთ
ურმითა და თოხითურთ,
თქვენ არ იყავით, რომ მოგვენდეთ,
მეპატონეს რომ გაეჭეცით?!

ამავე თაობაზე ჯურუსაც აქვს ნათქვამი თავის ლექსში „ოტობაიაში ყანა მაქვს, ბაყაყები მყავს მოზიარეო“. ისიც მართალია, რომ გვიან ფეოდალურ ხანაში კიდევ უფრო გახშირდა ოდიშელი მეპატონეებისაგან შევიწროებული ყმა გლეხების გადასვლა სამურზაყანოს ტერიტორიაზე.

ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის წიადაგზე შექმნილი წესის დარღვევისათვის მელექსე კიცხავს ოდიშელებს იმ მხრივაც, რომ ისინი ურცხვად ეწვეიან ვაჭრობას, მათ ბაზარზე გააქვთ ყველა სახის ნივთი, მათ შორის ბოსტნეული და სხვა ხორაგიც;

ათეჭგუა რაგადი რე,
მელერსეს ანჯარენც,
ანწი თენა ქოფთქუათ,
მუ ოხვარ მარგალებუ?...

ასეთი ლაპარაკია,
მელექსეს რომ აბრაზებს,
აწი კი ეს ვთქვათ,
რა ეშველება მეგრელებს?...

ვეტენა აბეუას
კალოშქი, ბურდლა, ძაგვარებც.
ინეფიში ნახაჩქათ,
თურქი ხარგანც სანდალებც.

არ სტოვებენ აბეუაში,
კალოში, ბურტყუსა (და) ჯაგრებს,
მათი ნათოხნით (სიმინდით)
თურქი ტვირთავს ნავებს.

სინანდულეს დებრწუმათენი,
ქეგიბჯინათ ბაზარებც —
პურასქია, ხულიში ჭინჯი,
ქოთომი დო ყვარლი,
გვალო ძიეაში ოღურალი,
თულეფიშ(ი) ქე ხარლი,
ირფელც ართო გემიხანცო,
დუდ(ი) დო ბოლონგარლი?!

სინამდვილეში რომ დავრწმუნდეთ,
გაიხედოთ ბაზრებში, —
პრასა და მხლის ძირი,
ქათამი და ყვერული
მთლად სიცილის გადასაყოლია,
გოქთა ნაწლაიე გამოშიგნული,
სულ ყველაფერს ერთად ჰყიდის
თავ-ბოლო დასატირებში?!

სამურზაყანოელ-აბეუელი მელექსე-სატირიკოსები იმაშიც მართალი არიან, რომ სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით, ოდიშელებმა მათზე ადრე დაიწყეს ვაჭრობა და ჩარჩობა, რაც მაშინ სათაკილოდ ითვლებოდა.

ამ ლექსის ვარიანტები გავრცელებულია მთელ ოდიშ-აფხაზეთში, მას სხვადასხვა მელექსეებს მიაწერენ, ალბათ იმიტომ, რომ ის ნაწყვეტების სახით ადრეც არსებობდა და შემდეგ აქ (ქვემოთ) დასახელებულმა ავტორთქმელებმა სტროფები გადააბეს ერთმანეთს, თვითონაც დაუმატეს და ვრცელი ლექსი შექმნეს. ჩვენი ჩანაწერი 11 გვერდს მოიცავს და ორმოც სტროფს შეადგენს. საგულისხმოა სხვა ვარიანტებიც, რომელსაც ოდიშელ და აბჯუელ მელექსეებს მიაწერენ. მათ შორის ასახელებენ გასული საუკუნის 70-იან წლებში აბჯუადან ბარლებში გადმოსულ მანჩა შარაშიას (შარვაშიძეს) და ოტობაიელ დათა მარღანისას, ხოლო საპასუხო ლექსს კი — ოდიშელ (ცაიშის კახათში მცხოვრებ) პეტრე (პეტრუშქა) მეუნარგიას, რომელიც მელექსეობით განთქმული ყოფილა ოდიშ-აფხაზეთში. მისი საპასუხო ლექსი სამურზაყანო-აბჯუელებისადმი ღვარძლიანსა და გამკილავ ტონს შეიცავს. ეს ლექსი სულ რვა სტროფისაგან შედგება, მაგრამ ისე კონკრეტულადაა მოხაზული მეფისდროინდელი სამურზაყანო-აბჯუელების შევიწროებულ ყოფა, რომ ასეთი უშუალოდ მოვლენის თუ ფაქტის გადმოცემა მხოლოდ ვირტუოზებს თუ შეუძლიათ. აქ დაგმობილია არქაული წეს-ჩვეულებანი. მართალია, ეს ლექსი სოციალური ჩაგვრის გამომწვევი საფუძვლების განმარტებას არ მოიცავს, მაგრამ ლექსის შინაარსიდან ნათლად ჩანს მეფის რუსეთის ადგილობრივი მოხელეების მიერ დაჩაგრული საზოგადოების დაბეჩავებული ყოფისათვის დამახასიათებელი ცუდი პირობები. ეს, უეჭველია, ადამიანთა ზნეობაზეც ახდენდა უარყოფით ზეგავლენას. ამ საპასუხო ლექსში სამურზაყანო-აბჯუელთა მიმართ ნათქვამია:

მორთითგ დო მარჩილით!
ენებც ხირუა ვემატებე
მუთუნ ქესა-მარჩილით,
სოდგა-სოდგა გილუფთუნა
ღართი-კაბა ხარცქილით,
თითო ცხენეფც გეჩვაგუნა
მინაზგიმა ადგილით.
ინეფიში ჩინა, მუ ჩინა რე,
ხვარცა ოზლოდუანცენი!
ლუბაშა ხე მილუუჩანენა,
გჩქ მუთუნც ჩუანცენი,
ბირცხა ეკოლაფირი აფუ,
ტანშა იგორგუანცენი
დოზოჟია უწუვენი,
ციტუცალო გამწაღენა,
დღას ვადოდოხოღენა,
ყებურც ეკიჩანგაღენა,

მოდით და მისმინეთ!
ესენი ქურდობას ვერ მიატოვებენ.
არავეითარ ქისა-მარჩილით,
სადღაც-სადღაც დაეხეტებიან.
დახეული ჩოხა-კაბით,
თითო ცხენით დაეთრევიან
მონაზომ ადგილებში.
იმათი ყოფნა რა ყოფნაა,
მუნი რომ მუსსის ავლებს!
უბეში ხელი აქეთ ჩაჩრილი,
ფიქრობ რამეს ინახავს,
ფრჩხილები წამძერალი აქვს,
ტანს, რომ (იმით) იქეჟავს!
დაბრძანდიო, რომ უთხრა,
ლიფსიტყვით წამოკვივდებთან,
კერასთან დაბანცალობენ,
არასდროს არ დაქდებიან,

სარკო საძიკო ქორე,
თინფი ეკიდებულან,
ართიანც თოლც გელუელანა,
წკერი ქოუეებულანი.

საარაკო (და) სასაცილო კი არის,
ისინი რომ კამათობენ,
ერთმანეთს თვალებს დასთხრიან,
ხელზე ჩხირი რომ ჰკონდეთ.

გადმოცემითაც და საილუსტრაციოდ ქვემომოტანილი ლექსების შინაარსიდან დასტურდება, რომ თუ მემამულე პეტრე მეუნარგიას მიიწვევდა სალექსოდ, მისგან ცოტა რამე გასამრჩელოს არ დასჯერდებოდა. ერთ-ერთ გაბაასებაში გამარჯვებულ პეტრე მეუნარგიასთვის მემამულე დავით ხეციას (მხეიძეს) კარგი ცხენი უჩუქებია. პეტრე თურმე არ დასჯერდა საჩუქარს, — უკეთესი ცხენი მინდოდა და ეს ხეციასათვის ლექსად უთქვამს:

კუდაჩია კუდაცურსი²⁸
ულა უჩქუ უკმაკური.
გებლობოდე, მუშოთ მოკო,
ფეტას ვაიშომეუნანცენი?
კუდაჩიას თინა ოკო,
კუნთხუს კინიზიასენი,
სიშინდი გეწობტყურასენი
ენა მუთუნშა ვაღირ, —
თქვანი(ი) დუღქუ ვადომლურასენი

კუდაჩია კუდაცურმა
სიარული იცის უკულმართი.
რომ შეეჯდე, რად მინდა,
ტალახში რომ ვერ გამიყვანს?
კუდაჩიას ის უნდა,
კუთხეში რომ დადგეს(და)
სიშინდი დამსტყუოს!
ასეთი არაფრად არ მიღირს,
თქვენი თავი არ მომიკვდეს!

ასეთია დღემდე მოღწეული პ. მეუნარგიას ლექსების სატირულიუმორისტული ხასიათი. ასევე დღემდე ცოტა რაოდენობითაა შემორჩენილი კიბა ფაჩავას ლექსებიც, რაც ჩვენს პირველ კრებულშია დაბეჭდილი და მხოლოდ რამდენიმე სტროფს შეადგენს²⁹. ერთი ნაწილი ამ სტროფებისა წარმოადგენს გაბაასებას დგებუაძეთა ყმის — საბაიასადმი. დანარჩენი კი მთავარ ლევან დადიანის დავალებით კიპაიას მიერ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ვითარებასთან დაკავშირებით წარმოთქმული ლექსებია. აქვე გვხვდება დიდაქტიკური ხასიათის ორსტრიქონიანი ლექსიც, რომელიც გაბაასების მომენტში უნდა იყოს ნათქვამი, მაგრამ საპასუხო ლექსი ჭერჯერობით ვერ გამოვალინეთ. ისიც უნდა აღინიშნოს აქ, რომ ეს სახალხოდ აღიარებული ყველაზე უფრო საინტერესო გართობის სახე — გალექსება დიდად მოწონებული ყოფილა ქართველ მეფე-მთავრების სასახლეებში და ასევე — სადადიანოშიც. არსებობს ცნობები, რომ აქაც მთქმელები და მელექსეები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრების ლევან V და დავით დადიანების სახლის კარზე ყოფილან მელექსეები, რომლებიც ამაღაშიც ჰყავდათ. მაგალითად,

²⁸ ცხენის სახელია (კუდა-კუდა, უკულოს ჰქვია).

²⁹ ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971, გვ. 100 — 101.

კიბა ფაქავა მთავრებს ამაღლაში ჰყოლიათ. იგი ცხოვრობდა, თურმე, იქ, სადაც ამჟამად კიბა ფაქავას შთამომავალნი ცხოვრობენ (ქ. ზუგდიდში, ამას ვაჟიას უბანს ეძახიან).

სატირიკოსი მელექსენი — კიბაია და საბაია კიცხვენ ერთმანეთს და ამ სალექსო სტრიქონებიდან ირკვევა მათი სათავგადასავლო ამბებიც. გადმოცემით, გაბაასება გზაზე მომხდარა: —

ს ა ბ ა ი ა —	„კიბა რექო, მურქინი,	კიბა ხარ, რომ მოდიხარ,
	სი ჩიჩიე გვაწინდამი —	შე გლახა, შუბლწირტიანო,
	დაღიაში დოღმახორე,	დაღიანის შინაჟმა,
	ჩიჩუაში საწინდარი?	ჩიჩუას საწინდარო?

აქედანაც ირკვევა, რომ კიბა მთავრის შინაჟმა (დოღმახორე) ყოფილა. გადმოცემით იგი, როგორც ნიჭიერი მოლექსე, მთავარს სი-რმაშემოვლებული ჩოხით დაჰყვებოდა. შეიძლება, ეს ჩოხა მას მოსწრებული სიტყვისათვის უბოძეს. ის რომ მოლექსე არ ყოფილიყო, დაღიანი ძაღლების მომვლელად ან ღომის მცეხევაად გაიხდიდა. საბაია კი, ყმების კატეგორიათა მიხედვით, კიბაზე უფრო მაღლა მდგარა. მას კიბაზე მაღლა უჭირავს თავი და ამიტომაც დააყვედრა „დოღმახორე“. კიბა მელექსეობით მოპოვებული უპირატესობით ამაყობს და მიმართავს საბაიას, რომ ის დგებუაძის საბეგრო ყმა გლახია და მას ორმოცი კეცი მჟალი უნდა მიერთმია ბატონისათვის ახალწელიწადს —

...დგებიაშ(ი) ბეგარა გერძ —
ჟარნეჩი ცხრაკვილი,
თიწი ზალადო კჟალასე,
ხელეფ გაფუ ხერაკვილი

დგებუაძის ბეგარა გმართებს —
ორმოცი მჟალი გამომცხვარი,
მის მოზელვა და ცხოვაში
ხელები გაქვს დახრუჯული

ვარა სო ქიი თეზმა,
ვარა მუთუ ღარღულე,
ვარა მუთუ ცკრი თინა,
ვარა მუთუ ტატურე?!

ან სად დაფქვი ამღენი,
ან რით დაღერღე,
ანდა რით გასცერი ის,
ანდა რით მოზიღე?!

დო ვაგორგე, კალანდას
დგებიაშ(ი) ეუჩა ვანთგრე,
იში ვალიშა ვათგართე,
ანთას წანას ვალურე!

და არ გარგებს, კალანდას
დგებუაძისას არ წაათრიო,
იშის ვალს თავს ვერ დაღწევე,
ათას წელსაც რომ არ მოკვდე!

ეს ლექსი იმასაც ადასტურებს, რომ კიბა პროფესიონალი მელექსე ყოფილა, რომ მან მოულოდნელი „თავდასხმის“ ვითარებაში ძლიერი პამფლეტით დაჯაბნა საბაია. არსებობს გადმოცემა, კიბას თვით ლევან V დაღიანიც გაუყვირებია ექსპრომტი; ლევანს განუზრახავს

გამოეცადა კიბა და უთქვამს: — კიბა, სახელდახელოდ თუ შეთხზავ ჩემზე რაიმე ლექსსო! — კიბას უპასუხნია: — თქვენ როგორ გეკადრებათ, ბატონო, გალექსვაო! მთავარს უთქვამს: დროს აყოვნებ მოფიქრებისათვის და ამიტომ შემომიბრუნე სიტყვაო. კიბამ აღარ დააყოვნა და მთავარს მიმართა:

დადა, ლერსის ქოფთქუა,
მუთუნე ქვორჯღდასგნი,
მეჭინელო ჭიირი რექ,
კიბირი ვაგორკვდასგნი!

დადიანო, ლექსს კი გბტყვი,
თუ კი რამეს გარგებს,
შეხედულებით კარგი ხარ,
კბილი რომ არ გაკლდეს!

ასევე ცნობილია დავით დადიანის მთავრად გამოცხადების დროს (1840 წ.) კ. ფაქავას მიერ წარმოთქმული სტროფი, რომელშიც ძველ ნაზადს სთხოვს მთავარს:

ახალ დალიაქ დებადგნი,
რღგ თოფეფიში რაბადლო.
თენა რე ჩქიმ(ი) რაგადია,
გეგნიწყი სქან(ი) ნაბადია!

ახალი დადიანი რომ დიბადა,
იყო თოფეფის გრიალი.
ესაა ჩემი ლაპარაკი, —
გაიხადე შენი ძველი ნაბადი!

კიბა ფაქავასთან ერთად დადიანის შინაყმად და ამალაში ნამყოფად ნაურუზ გრიგოლიას ასახელებენ. მისი ლექსები კი არ გავაჩნია. ნაურუზის ნათესავის გ. გრიგოლიას (ს. აჩიგვარის მცხოვრები) გადმოცემით, იგი ყოფილა შესანიშნავი მეჩონგურე, უფრო სხვათა ლექსებს მღეროდაო. ჩონგურზე დამღერება კიპასაც სცოდნია. საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე აღვნიშნოთ, რომ პ. მეუნარგია სამთავროს გაუქმების შემდეგ პერიოდს ეკუთვნის და ის დაახლოებული ყოფილა მთავრის შემკვიდრებთან და მის ახლო ნათესავებთან.

მოხუც დ. ჩუხუას გადმოცემით, გალექსებაში მონაწილენი ყოფილან ხეთელი ტაგუ ბუკია, ნიკო ნაჭყებია, აბასთუმნიდან — ივლო გაბისონია და ხორგელი გვატია გაბილაია. დ. ჩუხუას გადმოცემითვე ჩაეწერეთ შემდეგი ფრაგმენტები:

ტაგუ — ზოსია რექო მიქარკული¹³⁰
ეშე მუშენი ვეძინა,
დიხაშა მუნდი გიწაწენი?!

ზოსია — დიახ, ბუკია, დოგორე,
ეჩი ფუთი ქინგანტარე,
დუდი გამწორკვთან დო
მაკიაცურე დოგონე;
საზგადოთ გობლანძინი,
მანგიორ(ი) ოკო ქორლოლე!

ზოსია ხარ ტანმორჩილი,
რატომ არ მაღლდები,
საქდომი მიწაზე რომ გიწვდება?!

დიახ, ბუკია აყლაყუდავ,
ოც ფუთს ჩაიტე,
თავი რომ წაგკრან და
მეორე მხარეზე დაამენო;
სახალხოდ რომ გამლანძლე,
მაგიერი უნდა გიყო!

¹³⁰ კანკურით პატარა.

გვატია — ენა ორე სინამდვილე,
ამბე ვარე ახალი,
ენა შურო მუშენი რე
გურიშიმაცუ ნაფალი.

ზ ო ს ი ა — სი დო სქანი ბზახალი,
კისერ მუკატახალი,
სი-გვატია, ქვარა დიჯა,
მაკე რეკე, მახალი?

ტ ა გ უ — ზოსია მუ რე კიმიინი,
გვატია მუშენი(ი) ორტინე?
ქომიჩქედა, ხოლო მა,
ლერსი სქანი ორკინე!

ზ ო ს ი ა — გვატიაქ ქემერკინ, მარა,
ირღიხამე დობკილე,
ანწი ხოლო გაბედჯდა,
გვლო ოკო დოპილე!

ტ ა გ უ — ზოსია, ათეზემა ლერსი
სო გაფუ, თესი ნაკობა,
დლას ვადგელიებუნო,
არშინებდას მახობა!

ზ ო ს ი ა — ჩქიმი ლერსის ვეზებუ,
ვართ გოლოფა, ვართ კოროფა,
გლახას მეტის ვაიწინქ,
ქეს ქომილე სქან გოროფა!

ზოსია მუ კოჩ(ი) რენი,
ანწი ვარა ქიჩინით,
ჯირ დო ფურკუ ვეჩინენთენი
თაშ(ი) მუშენი დირჩენით?

ესარ არის სინამდვილე,
ამბავი არაა ახალი,
ეს სრულებთოაც არაა
გულის მოსაყვანი.
შენ და შენი მზახალი,
კისერი, მოსატეხი,
შენ გვატია, მუცელგაბერილო,
მაკე ხარ, ორსული!

ზოსია, რაა რომ ჩაიღინე,
გვატია რომ გააქციე?
თუ კი ვიცი, ისეე მე,
ლექსი შენი შესარკენად!
გვატია შემერკინა, მაგრამ
ყოველ მხრიდან ჩაეკეტე,
აწი კიდე თუ გაბედა,
მთლად უნდა მოვეკლა!
ზოსია ამდენი ლექსი
სად გაქვს შენ შენაკრები,
მისდღეში რომ არ დაგვლევა,
გავმრავლებოდეს ოჯახი!
ჩემს ლექსს არ ვნებს
არც გვალვა და არც სინესტე,
ცუდს მეტს არც გეტყვი,
ცოტათი კი მაქვს შენი ხათრი!

ზოსია თუ რა კაცია,
აწი მაინც იცანით,
კარგს და ცუდს რომ ვერ არჩევთ,
ეგრე რატომ დაბერილით?

გვიან პერიოდში (XIX-XX საუკ. მიჯნა) ორსანტია-ოტობაიას ოთხი სახელმომხვევილი ადგილობრივი მეღვინე მოვლინებია: — გუსარ ალფენიძე, ტარასი ჯაბუა, ლადი კვაშილავა და ლიპარ წითლიძე. მათი გაღვინების თემა ისეთივეა, როგორც წინაპართა იყო: განსხვავება იმაშია, რომ ზოგიერთი მათგანის ლექსებისათვის (ტ. ჯაბუა) დამახასიათებელია რევოლუციური თემატიკაც¹³¹. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გუსარ ალფენიძისა და ლადი კვაშილავას ლექსები დღემდე არაა გამოვლენილი, მაგრამ მათ საერთო ხასიათზე მაინც შეიძლება მსჯელობა გადაარჩენილი პასუხების მიხედვით. ლიპარ წითლიძე ლექსში ეხება ოტობაია-ფიჩორისა და საერთოდ შავი ზღვისპირა დაბლობებზე არსებულ ცუდ კლიმატურ პირობებს, ამ ადგილების ბუნებრივ პირობებს, სადაც არსებობდა გაუვალი ჭაობები, იყო მალარია და კოლო-

¹³¹ იხ. ტ. ჯაბუას ლექსი აქვე დართულ ტექსტში გვ. 159. ნაწევრი ახვე ლექსისა მ. ხუბუასაც აქვს ჩაწერილი „მეგრულ ტექსტებში“.

ქვეწარმავალთა საბუდარი. აქ ადამიანები ძველად — ბატონყმობისათუ მის მომდევნო სოციალური უსამართლობის პირობებში, — იძულებით ცხოვრობდნენ¹³². ლიპარ წითლიძე არ ახსენებს ადამიანების იქ ყოფნის მიზეზებს, მაგრამ სატირული ლექსით კიცხავს იმ მიდამოებს, მელექსე აქვე უთითებს, რომ აღნიშნულ ადგილებში იცხოვრება მხოლოდ გვალვიან წელს. მაშინ აქვთ მცხოვრებთ სიმინდის უხვი მოსავალი, მაგრამ გვალვიანი ამინდები იშვიათია ამ ადგილებში და ცხოვრებაც ძნელიაო.

ლექსში ვკითხულობთ:

ლაიტიში ცქეფა დიდ უღუღუ
ოკენორე დო ბორცვიშის,¹³³
ქოთი შხირას ვორწყედით
ჩაფლას შვეგრო-ბოქსისის;
ქოროფა წანას ქიმქიდანა
ბურღლამ ჩაფლა ხოჯიშის.
ვარჩხილ-ოქროთ გოქკადილებც
ბიჯიში სახე ვაფუჩქედეს,
ოღიშარეფიში სალამი
მუთუნიშა ვაუღირდეს.

სიმინდის (ბარაქის) დიდი ქება ჰქონდათ
ოკენორესა და ბორცვიშელებს,
კიდეე ხშირად ვხედავდით
ფეხსაცმელს შვეგრო-ბოქსისას;
ნოტიო წელიწადს დასჭერდებიან
ბალნიან ქალამანს ხარისას.
ოქრო-ვერცხლით გასალტულებს
სახე აღარ უჩანდათ,
ოღიშარევის სალამი¹³⁴
არაფრად არ უღირდათ.

მაგრამ ცუდი ამინდის პირობებში (ავღრიან წელიწადს, რაც იშვიათი არაა კოლხეთში) სიმინდის სამათხოვროდ დადიხართ ზემო მხარეში და ოღიშშიო. ამიტომ გასაბჭოების შემდეგ (საბჭოთა მთავრობის მიერ კოლხეთის ჰაობიანი ადგილების დაშრობის დაწყებამდე) მელექსე მოუწოდებს მათ, დატოვონ ჰაობიანი ადგილები, როგორც ადამიანის საცხოვრებლად გამოუსადეგარი და ისევე დაუბრუნდნენ კოლხეთის მშრალ ნიადაგებს, საიდანაც მათი წინაპრები ადრეულ პერიოდში გადახვეწილან:

ეურე ჰავაში სოფელი რე,
ვარე ინა ოხორუუ,
ეკი კამბეშიში ოღიარე რე,
დო კოლონაში ოგორუუ.
გირჩენტ, ბაბა, ადგილიშა,
ბინა გაფნა ოგორუუ!

იქით ქესატი სოფელია,
სამოსახლოდ უვარგისია,
იქ მხოლოდ კამჩის საძოვარია,
და კოლოს საბუდარი.
გირჩევთ, მამასავით ადგილი მონახოთ,
ბინა გაქვთ მოსაძებნი!

ეს ლექსი სულ 21 სტროფისაგან შედგება. დასაწყისი და დასასრული სტროფები (ორ-ორი სტროფი) დამრიგებლობითი ხასიათისაა. დასაწყის სტროფებში ავტორ-მთქმელი გამოხატავს კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ადამიანისადმი და რჩევას აძლევს ბუნებრივი გარემოს შერჩევის აუცილებლობის შესახებ.

¹³² სწორედ აქ, ჭურიაში (ანაკლის მიდამოებში) სახლობდნენ მეფის თვითმპყრობელური მთავრობის მიერ ვადმოსახლებული „სტაროვერცებიც“.

¹³³ უბნებია ოტობაიას მხარეში (გალის რ.).

¹³⁴ იხ. ქვემოთ, გვ. 144.

ჩქინ რინაში ჭვირ დო ფური,
ბუნებაში განგება რე,
სინთულე დო ჯამთელობა,
შრომა რე დო ცადება რე,
ჭვირი საქმეში დოზუკოლი
ქჷუა რე დო ვაგება რე,
უბადოში ქადაგება,
ართ-მაჟიაში ხანგება რე.

ჩვენი ყოფის ავ-კარგი,
ბუნების განგებისგანა,
სიმრთულე და ჯანმრთელობა,
შრომისა და ცდისაგანა...
კარგი საქმის რჩევა
ქჷუაა და ვაგება,
აუჯის ქადაგება, —
ერთურთის ვაგიყება.

ამ სტროფებიდან ნათლად ირკვევა, თუ ავტორს რა მოსაზრებით შეუქმნია ეს ლექსი. მას მიზნად არა აქვს ტყუილად გააციცხოს ვინმე, არამედ მისმა „გამჭრელმა“ სიტყვამ ისეთი ნაყოფი უნდა გამოიღოს, როგორც ბოლო სტროფშია მოცემული დასკვნის სახით:

მორთით დო მარჩქილით,
ანწი თენა ქიფჩუათ —
გოლოფა წანაში ქონებათ
დუდი ვაციკინუათ!
მელენი-მოლენი ართ ვორეთ,
ართინც ვეგუაძიკუათ;
ლორონთქ თინა შემარგან,
მუთ ხანდათ იფშუათ;
ოშუაფე მიოტეთ დო
სქერშა ქიმწიბიბჯუათ!

მოდით და ყური მიგდეთ,
აწი კი ეს ვთქვათ —
გელვიანი წლის ქონებით
გაბლიძულები ნუ ხართ!
გაღმა-გამოდმელები ერთხმ ვართ,
ერთმანეთს არ დაეცინოთ;
ღმერთმა ის შეგვარგოს,
რაც შრომით ეიშოვოთ,
სველი აღძღვები მიატოვეთ და
მშრალზე ვადმოვაბიჯოთ!

ამდენად, ჩვენი მხარის ზეპირსიტყვიერებაში დღემდე ნაკლებად ცნობილი ლიპარ წითლიძე თავისი დამრიგებლობითი ხასიათის ლექსებით ბევრად მალლა შეიძლება დავაყენოთ მის თანამედროვე მელექსებზე.

აქ განხილული ლექსებით არ ამოიწურება მილექსება-გაბასების ტრადიცია სამეგრელოში. ეს შხოლოდ მისი შეკრება-განხილვის პირველი ცდაა. მაგრამ ეს ლექსებიც, სხვა მასალებთან ერთად, როგორც ლენინი აღნიშნავდა „საერთოდ ხალხურ ზეპირსიტყვიერების მასალების შესახებ, საუკეთესო საშუალებაა ჩვენი წარსული ცხოვრების შესასწავლად. კერძოდ კი იმის შესასწავლად, თუ როგორ ცხოვრობდნენ წარსულში სოციალურად დაბეჩავებული მშრომელი მასები და საბჭოთა წყობილების პირობებში მომხდარი ძვრების შემდეგ როგორ გარდაიქმნა ჩვენი ქვეყანა მძლავრ ინდუსტრიულ-აგარარულ ქვეყნად.

ტ ე ქ ს ტ ე ბ ი

I. სამშობლო

1. სისა, ტურა — მებრული ნანა

აკვანში ბავშვი ტირის, დედა ნანას უმღერის. მიუხედავად ამისა ბავშვი მაინც ჰირვეულობს. დედა „ნანაში“ ჩაურთავს ხოლმე ბავშვის დასაშინებლად — ტირილი შესწყვიტე და დაიძინე, თორემ ტურა მოვა და შეგკამსო! ამიტომ იტყვის — სისა ტურაო! „სისა ტურა“ სააკვნო სიმღერის — „ნანაია, ნანასქუას“ — ვარიანტია, იგივე „ნანა“.

- | | |
|--|---|
| — სისა, ტურა მუურცია,
ამარ ტურა მუურცია!... | სისა, ტურა მოდისო,
აგერ ტურა მოდისო!... |
| — ბონდო ბოში მუშ ნანას
უხარენც გურცია... | — ბონდო ბიჭი თვის დედას
უხარებს გულსაო... |
| 5 — მიცორქენი თიშენი რე,
სქან სიკეთეს ფთქუანქენი,
ძუძუს გარზე, გოლუაფირო,
არკვანც ქიკვანწუნანქენი... | 5 — რომ მიყვარხარ ამიტომაა,
შენს სიკეთეს რომ ვამბობ,
ძუძუს გაძღევ, შემოგველე,
თან აკვანსაც რომ გირწევ... |
| ჩქიმ რინაში ფასი რექ,
10 მთელ ქიანაშ ნარტი რექ,
ქვმაჭიშე სამშობლოს
მათხილე დო მაბირეთ!... | ჩემი სიცოცხლის ფასი ხარ,
10 მთელი ქვეყნის ნატვრა ხარ,
მოესწარი სამშობლოს
დამცველად და მომღერლად!... |
| სისა, ტურა მუურცია,
ამარ(ი) ტურა მუურცია,
15 ბონდო ბოში ძიცებულო
ახუტოლუჟ ლურციაა..
ბღრუია, ნანა!... | სისა, ტურა მოდისო,
აგერ ტურა მოდისო.
15 ბონდო ბიჭი (პირ) მცინარი
ჩაეხუტება ძილსო..
ბღრუია, ნანა!... |

2 უარსიში ჩხუპი—უარსის ბრძოლა

საზოგადოთ ირკოც გიჩქ
ყარსის მუქ მოხვადგნი,

სახალხოდ ყველამ იცით,
ყარსში თუ რა მოხდა,

ურჯულოქ მოლართგ დო
ქირსიანექ დოხვადგნი...
5 ღურადლაშა ქეგმაშინე,
თექ ჩხუბი დო ლგმა რდგნი,
ყვილირ თურქით ეიოფშეს,
სოდეთ ინორობა რდგნი...
თურქის თინა უფირქებუ,
10 რუსის ვაფუნცია ჭარი,
ნოფირქუე, ქიგიაშქუკო
საქორთუოს დიდი ზარი;
მალგმარო მოლოურთგმუ,
ვარკვდ ფიარი დო ბარი...
15 ყარსიშა ამბექ ქეგმორთ —
„თურქეფქ ქიგმანთხესია;
ოში ვერსი მოლართეს,
სოფელ გეკოფესია,
ირინერი უწესობა
20 თინეფქ ქედოჰყესია...“
გაგონება დო თი წუთის
დობკანძით არძაქ ცხენი,
თოლიშ მერქას¹ გინიბლით
სუკი, ლაკადა დო რზენი...
25 ექიანი სოფელარეფი
შარას ქიმიფაფუდეს,
ოსურ, ბადანა დო ხუნკი
დროგშა ქიგურღვაფუდეს,
დუცუ მუთა გიორთუდეს,
30 ვართი კუჩხის მაძღდეს,
ხუდე არძა გოკვლერც
კოჩი ვამლეპალუდეს.
კოც ნინათ ვარაგადე,
მუსუთ თურქეფ ორთგდეს,
35 დუდი წგმოქკერილ კათა
სოდგა წგმოსორგდეს...
საცოდებას ვორწყედიოთგნი,
ჩქითი ვე შიბცოდილეთ;
მუჭოთ ნონტყელი ომანეს

ურჯულო წამოვიდა და
ქირსტიანი რომ დაუხვდა...
5 სიკვდილამდე მეხსომება,
იქ რომ ბრძოლა და ომი იყო,
მოკლული თურქებით ამოავსეს,
სადმე ხეე-ხუვი თუ იყო...
თურქს ის უფიქრია,
10 რუსს არ ჰყავსო ჭარი,
ლამობდა, დაერთყა
საქართველოსთვის დიდი ზარი;
საომრად წამოსულა,
არ აკლდა ნიჩაბი და ბარი...
15 ყარსში ამბავი მოვიდა —
„თურქნი დაგვეხნენო,
ასი ვერსი გადმოვიდნენ,
სოფლები აიღესო,
ყოველგვარი უწესობა
20 იმათ დაიწყესო...“
გაგონება და იმ წამსვე
შევეკანმეთ ყველამ ცხენი,
ერთ წამს გადავიარეთ
ვაკე, გორაკი და სერი...
25 იქაური სოფლელები
გზაზე დაწანწალობდნენ,
ბავშვი, ქალი და ხეიბარი
ფორანზე დაუყრათ,
თავზე არ ეხურათ,
30 არც ფეხზე ეცვათ რა,
გამოკეტილ სახლებში
კაცის ჰაქანება არ იყო.
კაცი ენით ვერ იტყვის,
რასაც თურქები შერებოდნენ,
35 თავწაპირილი კაცები
ყველგან ეყარნენ...
საშინელებას რომ ვხედავდით,
ჩვენც არ შევიბრალებთ;
როგორც მხეცი ბუნავში

¹ თოდღოში მერქას — თვალის დახამხამების უმაღ.

40 ართ დიხას დობხვილით,
ნტებულეფც ვათხოზით,
მინ ბკოფით, მინ პილით,
ინეფც დღას ვა გაქყორდ,

მუთ მანგიორი ფქიმინით;
45. სამშობლოში მცველ ვორდით,
ვალი არძაქ გინიბგით...
თურქიშ ჭარიში უნჩაშალა
ომერ-ფაშას ნოვალუეჯ
კავკასიაშ ეჭოფუას

50 შურ დო გურით ნოცადუე,

თეცალ მოქმენდალაშენი
ანგელია ნომარდუე;
მუზმა დახმარება მეჩენი,
იშ ანგარიშ მის ათქუე?!

55 ომერ-ფაშას მუში ჭარქ
საბოლოათ მეუდინგ;
უმენტაშიქ ლემას გოქყორდ,
მძქვთ დანთხზნ, ვეიადგინგ...
ანგელიაქ მოუჩინ —

60 სი ღურელი ომერ ფაშა,

მუ საონჯღოროქ ვალოლ,
მუშენ მორთი ათე დღაშა!...
ბერეგის იბექელი,
ღუდი მიკოძმდღ ცაშა,

65 მალამუსენდი—გეჭოფუნდი,
უჩა ზღვას ძგაშე-ძგაშა...
ზუგიც ორნაქ გგტალგნი,

ყულეს ვეგიაცადინ ძგაშა,
ჭარიში გოჩიჩინაფილი —

70 მაცქვაფელა ომერ-ფაშა;
თურქ აბრაგის პალური დო
რკს დო ჭორთუს ვაშა, ვაშა!

40 ერთგან მოვიმწყვდიეთ,
გაქცეულთ გამოვეკიდეთ,
ზოგი დავიჭირეთ, ზოგი ვხოეთ,
მათ არასდროს არ

დაავიწყდებათ,
რაც სამაგიერო ვქენით;
45 სამშობლოს მცველი ვიყავით,
ვალი ყველამ მოვიხადეთ...
თურქის ჭარის უფროსობა
ომერ-ფაშას ევალეზოდა,
კავკასიის დაპყრობას

50 სულით და გულით
ცდილობდა,

ასეთი მოქმედებისათვის
ინგლისი უმადლოდა;
რამდენი დახმარებაც მისცა,
მის ანგარიშს ვინ იტყვის?!

55 ომერ-ფაშას მისი ჭარი
საბოლოოდ დაეკარგა;
უმეტესობა ომში გაწყდა,
ვინც დაეცა, ველარ ადგა...
ინგლისმა შემოუთვალა —

60 შე მკვდარ (სულ) ომერ-
ფაშა,

ეს დღე რატომ გაგიტენდა,
რა სამარცხვინო დაგემართა!..
ხმელეთზე ბაქიობდი,
თავით ებჯინებოდი ცასა,

65 მარწმუნებდი, — აიღებდი,
კიდით-კიდემდე შავ ზღვას...
ზუგდიდს ზათქი რომ

ჩაუევარდა,

ყულევს ნაპირზე ვერ დარჩა,
ჯაერისგან გაშეშებული —

70 თავბეჭა ომერ-ფაშა;
თურქ ავაზაკს პანღური და
რუსს და ქართველს ვაშა,
ვაშა!

II. წუთისოფელი

3. ნინა

ენა

- ნინა ირი სემანიშე!
ნაკლები რე კოჩიში ტანც,
ირფელიში უნძალაში
თინა უმონც არძა შხვას;
5 უძვალე რე დო ლექენი,
ჯგირ დო ფურც ორცხუნანც,
ვერჩქინდენ ფერც აბადენც,
ზღვა დო გვალას ორცხუნანც,
მუთა ოხვარ სქვლადას,
10 მიშ გურცუთი გიაშქევანც;
ტყვიაში გეშა ნაჰყოლას
წამალი ოსქელიდუანც,
მარა ნინაში ნაჰყოლას
მუთუნი წამალი ვემუღვართ,
15 იში ნაყათემი ტყვია
გურც მუთუნით ვეიოჩვართ,
თეცალ ჟღამიან ნანჰყოლა
მუთუნიშე ვე შეღვართ!...

- ენა ყოველ სახსარს შორის
პატარაა კაცის ტანში,
ყველაზე უძლიერესი
ის მეტია ყველა სხვაზე;
5 უძვალაო და მოქნილი,
ცუდს და კარგს აფუძნებს,
გაუჩინელს აბადებს,
ზღვა და მთას ჩააფუფქავს,
არაფერი შევლის მორჩენას,
10 უის გულსაც კი დაარტყამს;
ტყვისისაგან დაჭრილს
წამალი განკურნავს,
მაგრამ ენისგან დაკოდილს
(არც ერთი) წამალი არ
მიუღვება,
15 მისგან გასროლილი ტყვია
გულს არაფრით არ აცდება,
ამგვარი შხამიანი კრილობა
სხვა რამისგან არ იქნება
(არ შეიქმნება)!...

4. კარამობა

სიხარბე

- ცხოვრებას კოც მუთ
ქაწვალენცენი,
არძა უარზო, კუნტა ჰჰუა რე,
თოლ ურძღაფელა, გური
ჰარამი,
ქვიშაშ მონარტე ზღვა
ჯგუარე...
5 ზომაშე მეტო ქობწუხენთვლა,
სიჰარამეში გემნანწყუა რე:

- ცხოვრებაში კაცს რაც
აწვალეზს,
ყველა უაზრო მოკლე
ჰჰუა,
თვალე უძღები, გული
ხარბი,
წვიმის მნატრელი ზღვის
მაგვარია...
5 ზომაზე მეტად თუ
ვწუხვართ,
სიხარბის მონაგვარია;

1 სემანი — სახსარი (იგულისხმება ადამიანის სხეულის ნაწილები).

მიზეზ თენა რე ჩქინი
ტანჯვაში,
სიპარამე რე მუსუთ
მორთენა,
მუსუთ ფშრომენტ დო
იფშინთენი,
10 ენა ცხოვრებას ვა გგმონჰენა.

უბედურ დო ბედნიერც
ართო ნოღვედესგ შარა,
მითინც ვასქედ, თე ქიანა,
დუცუ იბლორენტე ვარა.

5. ცას ასკვამანც ბჟა დო თუთა
ცას ასქვამანც ბჟა დო თუთა,

მურიცხეფი ხანტურელი,
თუდო დიხას, ზღვა-გვალეფი,
პეულეფი შხვაშხვანერი.

5 ირფელ თაქი ეფალგნც,
სასარგებლო ხეხილეფი,
ქირსიანეში ზიარობა,
ქირსეში ნარგი ბინეხეფი,
ვითოჟირი თუთაში ჭინჯო
10 არსებენც ართი წანა,
ოთხი დრო ულუ მოკავშირე,
შხვაშხვა ჰაერც მომიღანა...

ცა დო დიხა, ზღვა დო გვალა,
ბჟა დო თუთა, დლა დო სერი,

15 ირფელ სქვამი, დიდებული
ართიანიში უჩურცხელი;
ცხოველი დო ტყა-მინდორი
თის უკებუ ირიფელი.
ჩქეთი ოკო იფხანდათ,
20 თეშე ქობძირათენ ხერი.
წუთისოფელიში რინა

მიზეზი ესაა ჩვენი ტანჯვისა,
სიხარბეა რასაც გვიშვრება,
რასაც ვშრომობთ და
ვშოულობთ,

10 ეს ცხოვრებაში ვერ
გაგვწვდება.
უბედურს და ბედნიერს
ერთად ჰქონიათ შარა (გზა),
თავს ვიტყუილებთ თორემ
არვის შერჩება ეს ქვეყანა.

ცას ალაშაზებს მჟე და მთვარი
ცას ალაშაზებს მჟე და
მთვარე,
ვარსკვლავები მოხატული,
ქვევით მიწა, ზღვა და
მთები,

ყვავილები მრავალფერი.
5 ყველაფერი აქ ამოქორჩლავს
სასარგებლო ხეხილები,
ქრისტიანის ზიარება;
ქრისტეს დარგული ვაზები.
თორმეტი თვის ძირად
10 არსებობს ერთი წელი,
ოთხი დრო აქვს მოკავშირე,
სხვადასხვა დარის
მომგვრელი...

ცა და მიწა, ზღვა და მთები,
მჟე და მთვარე, დღე და ღამე,
15 ყველა კობტა, დიდებული
ურთიერთს დაუშორებელი;
ცხოველი და ტყე-მინდორი
მას უჭირავს ყველაფერი.
ჩვენც უნდა ვიშრომოთ,
20 რომ მისგან ვნახოთ ხერი.
წუთისოფლის ყოფნა

ათენერო არსებენც,
ხე მანგარო ვა გმილიდა,
მუშით მუთუნ ვა დოცენც,
25 არღინაში დგმახვენც

კართეს მუთუნი ვაწუცენც;
ჯგირ მშრომელო ქორძირგდა,
ხეს გინწყონც ირ ბუნება,

თის მოყუნც უკულნეშე
30 არძანერი საშუალეა.
სიზარმაცეჲ ორქოფულა,
უჩქე აზრისი წაყუნება...
გავათეთ რაგადი დო
ქიმემიჩით გავგონება!

6. თუთარჩელა

დუცუ გიმოკარკაცანც
ფორონჯი ცა მერეკელა,
ონჯუაშე ხურკეჲში დო,

გოთანაშა თუთარჩელა,
გოთანას — გგმათანე, დო

ირო—ჩქიმი ხურხიჩელა.

7. ზღვას ბაჰირება

სოთინ ულა ვეფირქა
გლახა თუთაშ მორთას,
თაშით ქეშერხეადასგ და
ლორონთქ ვემგოფოთას;
5 ეფერ ბორჯიქ ქეშეფხვად,
ვა ველგდი დორთას...
სოხუმც ინიბლი ხეამარდიშა
გაგგრაში მალუო,
დახე დორთათ ქემიმდომი,

ამნაირად არსებობც,
ხელი მაგრა თუ არ გამოიღე,
თავისით არა რა ჩამოსცივია,
25 ერთ ადგილზე (უქმად)

მქლომს

კალთაში არაფერი ჩაუცივია;
კარგ გამრჯედ თუ დაგინახა,
ხელს გიწყობს ყოველი
ბუნება,

მას მოჰყვება შემდგომად
30 ყველა სახის საშუალეა.
სიზარმაცემ თუ შეგიპყრო,
იცის აზრის გაფუჰება...
გავათავეთ ლაპარაკი და
მიმიქციეთ ყურადღება!

მთვარიანი

თავზე დამკისკისებს
ფოროჯი ცა „მერეკელა“¹;
დაბინდებიდან ვარსკვლავთ

გუნდი და

გათენებამდე „თუთარჩელა“,
გათენებისას ცისკრის

ვარსკვლავი,

მუდამ კი—ჩემი თეთრიყელა.

ბასაჰირი ზღვაზე

არსად წასვლა არ იფიქრო
მთვარის ცუდი მოქცევისას,
ასედაც რომ შეგემთხვეს,
ღმერთმა არ დაგვარგოს;
5 ისეთი დრო შემექმნა,
არ ველოდი დაბრუნებას...
სოხუმს ჩავედი ხომალდში,
გაგრაში წასასვლელად,
კინალამ დაბრუნებაც

მოვინდომე,

¹ მერეკელა — კრალა და გამკვირვალე ცა.

10 მარა დემეცალუო?
 'ხეამარდიქ ეყარზნი,
 ! უკულ შურქ მაქალუო;
 ჩქიმი ნებით იბდი ვარა;
 მითინქ დამინძალუო?...
 15 სუმი ვერსი მიდაფრთით დო
 ზღვაქ ქვდიჰუ დიდი ლემა,
 კაპიტანეფი ქოლვარანა,
 ისმე მატროსეფიში ხუმა,
 ზღვა ედვრთ გვალაქალო,
 20 წყარ ღუც მებწენა
 გურგუმა.
 გიბჯინინი, ჩქინ ხეამარდი
 იშა-აშო ქირთანც,
 მითი თაქი ქიგეხენი,
 არაა ფერც ქირთანც,
 25 მინ თაურე, მინ თეურეჲ
 არაა მარდის ქიგანც..
 ჩქიმ დუდიშა გიბჯინინი,
 ვორწყექ, მიდაფრთემუ
 გური,
 დუდიშ რსიოლქ გემიოლჯ
 30 დო თოლეფით ქოგიბწყური;
 უკულიან მუთუნ ვა ფშგ,
 ლურელ კოც მუჰო ვაგური.
 თურმე მუთუნი ვაგნოცვე
 ათე კაპიტანეფწყალა,
 35 ლურელ კოჩი გინილანი,
 კანონც ვაყოფე თინეფ
 წკალა;
 ხე ქგმოუთხემუნა დო
 დომიჰყეს გინოღალა....
 მუჰო ქაწომსერგელეს დო,

10 მაგრამ დამცალდა (განა)?
 ხომალდი რომ დაიძრა,
 მერე ჩავიკმინდე ხმა;
 ჩემს ნებით წავედი, თორემ
 განა ვინმემ დამაძალა?...
 15 სამი ვერსი გავიარეთ და
 ზღვამ დაიწყო დიდი ღელვა,
 კაპიტნები ყვირიან,
 ისმის მატროსების ხმა,
 ზღვა აღგება მთასავით,
 20 წყლის თქეში თავს
 გვეღვრება.
 რომ გავიხედე, ჩვენი
 ხომალდი
 აქეთ-იქით ტრიალებს,
 ვინც კი აქ ზის,
 ყველას ფერი ეცვლება,
 25 ზოგი აქეთ, ზოგი იქით,
 ყველა თავს ქინდრავს
 (თითქოს სალამს იძლევიან)...
 ჩემს თავს რომ დავაკვირდი,
 ვხედავ, წამსვლია გული,
 თავბრუსხვევა ამივარდა
 30 და შემეკრა თვალის ლული;
 შემდგეგიდან არაფერი
 მახსოვს;
 მკედარ კაცს როგორ
 დავემსგავსე.
 ამ კაპიტნებთან
 თურმე არაფერი გავა,
 35 მათში კანონად არ ყოფილა
 მკედარი კაცის გადატანა
 (გადაყვანა);
 ხელი ჩაუვლიათ და
 დამიწყეს გადატანა
 (გადაგდება)...
 როგორც კი დამითრიეს,

- 40 მათი ქავოკურცხი კინე,
ხვამარდიქეთი გაჩენდგ დო
იაკრი ქაქოთესგ გიმე,
გინვოსქვდინ, ქიმეფხვადი,
- დუდო ლორონთ მიფშინე...
45 სანდალც ქიგმობუნეს დო
გეკომცუნეს ბერეგცშა
შიდგარენეფც ხე მოუთხ
მელე-მოლე კილეფიშა,
ჯიმა, თინეფ ქომისხუნუ
50 ირი ჩქიმი ერებიშა!...
შიკიბჯინინ, დუც ქეგმორე
ართი მოქკერუა ბოში,
რუსულო დომრაგადუ —
ტი ატყუდა იდიოშგ?
55 დემაპეჯ თე ბოშიქ,
ქიმემცუნუ ოჯახიშა,
მარა ცუდე აშნოდგედგ,
სამოთხეში შქა ბალიშა;
მუჟამც ჭყანაქ
ქაშნოდგერთენ,
60 მიდამცუნუ მარანიშა,
თიმ ოჯახის ფქეიფუნდი
მაჟიადლა შქაჟამიშა;
უკულნეშე მოლმაზარ დო
გენოშცუნუ ხვამარდიშა...
65 იმ სერც მუთირდენი,
ქმვოჭირნე გაგვრამა,
ანწი დლას ინვოთინაქო,
ხვამარდ ჩქიმ ინნალურაშა,
არქა, ჯიმა, დუცუ იბლა
70 თი ჩქიმ გილნაპალურაშა.
- 40 მეც ისეე გამომეღვიძა,
ხომალიც გაჩერდა და
ქვევით ჩაუშვეს ღუჯა.
მიხვდი, რომ ვადაურჩი
(განსაცდელს)
თავად ღმერთი მოვიხსენიე...
45 სანდალზე დამსვენს და
გამიყვანეს ხმელეთზე,
ვილაყეებს ხელი უკიდიათ
იქით-აქით გვლავებზე,
ძმავ, ისინი მირჩვენია
50 ყველა ჩემს მოკეთებზე...
რომ გავიხედე, თავზე მადგას
ერთი ტანმორჩილი ბიჭი,
რუსულად დამელაპარაკა —
შენ საიდან მოდიხარ?
55 დემაპტიყა ამ ბეჭმა,
მიმიყვანა ოჯახში,
მაგრამ სახლი ედგა თურმე
სამოთხის შუა ბაღში;
როდესაც ძალა შემიდგა
60 ვადამიყვანა მარანში,
მის ოჯახში ვქეიფობდი,
მეორე დღე შუა დრომდე;
შემდეგ გამომაცილა და
! ჩამიყვანა ხომალდში...
65 იმ ღამეს, როგორც იყო,
მივალწიე გაგვრამდე,
აწი მისდღეში ჩაებედავ
ჩემ ჩანაცვლომ ხომალდში?
არჩქა, ძმავ, თავს წავიღებ
70 იმ ჩემს ნაპანლურალზე,

15 ირფელ წყარმა ქენოიციენტ,
მუს ნარტე დო სხუნუნქენი.
უდროვეთ გეთხიებუთ,
გიჩინანთგ — შვილებით,
ქორშულათ ქეხანც ვარა,

15 ყველაფერი წყალში
ჩაგიცივივდება,
რასაც ნატრობ და ირჩევ.
უდროოდ გეთხოვებით,
გიბარებთ — მშვიდობით,
გახსოვდეთ ცოტა ხნით
მაინც,

20 რადგანც დღაშა გიგორდით.

20 რადგანაც დღემდე
გიყვარდით,

10. ჭიანა

ცა დო დიხა, ბჟა დო თუთა,
გურგინი, ჰავა დო ვალი,
ზღვა, გვალეფი, ქუა, კირდე
დო არძანერი წყარი.

5 ზოთონჯ, ზარხულ, დღა
დო სერიჯ
ნანდულ გორჩქინელე სქვამი,

ქიანაშ ორთაში ჰყოლოფუა
ბუნებაშე მუნახანტე.

ჩქვ ვორწყეთ ჯგირებცენი,
10 არძა კოჩიში ნაქიმიწა,
ასქვამანც თე ქიანას
არზი, ხელობა დო რჩქინა.

სამხარო

ცა და მიწა, მზე და მთვარე,
ქუხილი, ჰაერი და ელვა,
ზღვა, მთები, ქვა და კლდე
და ყველა სახის წყლები.

5 ზამთარი, ზაფხული დღე და
ღამე.
ნამდვილად ლამაზად
შექმნილა.

ქვეყნის ორთისა! წყალობა
ბუნებისაგან მოხატული.
რასაც რომ კარგებს
შევყურებთ

10 ყველა კაცისგან შექმნილა,
ამკობს ქვეყნიერებას
აზრი, ხელობა და ცოდნა.

III. სატრფიალო

11. ბოში დო ცირაში ცოროფა ძალ-ვაჟის სიყვარული

ბოში — სახე ბელარაშა
გიგუ,
თოლ დო წარი — ყურიაშა,
გილართხოზუქ ლანდიშორო

ოკმარეშე — ონჯუაშა;

სახე მზის ბზინვას მიგიგავს,
თვალ-წარბი —
ყურყუმასა,
დილიდან დაგდექ
ლანდივით,
სანამ ბინდი შეკრავს ცასა;

¹ ორთა — ყველა სახის ცოცხალ არსებათა ღვთაება (წარმართობის დროსა)...

უჩას თქუანც,
უჩა თოლუფც
20 უფაფუანც.

შავსა ამბობა,
შავსა თვალეზს
20 ახამხამეზს.

13. ბოზ დო ცირაში ცოროზა

ბო.ში — სი სოულუ სქევამი
ცირა,
სი მაზაკვალი თოლ-გვირა,

ქოსვისვინა, ოწვიწვინა,
ვამ, სქან წაულა სქევამი ცირა!

5 ცირა — სი მუს გორუ, ჭგირ
ბოში
მადშალიას მეუჩამ წინა,

ნანაწკუმა მობწყინდი დო
შხვადო მოკო აწწი რინა..
ბო.ში — ჭახანც მიცადი
სქევამ ცირა,

10 თოფურ-შანქარც სქან წინა,
ხვალახეთ მულუორეკ დო
ართო გეპკეთათ ბინა.

ცირა — სქანი სიტყვა
მოაწონც, მარა

ვა მიჩქ, ბოში, მუ ფქიმიწა,

15 ვადობჰვა დო ვადშალორა,
ვაწმანწარა მა რინა!

ბო.ში — მიქვთ
გილალატასგნი,

ჯოჯოხეთის თიში რინა,
მაცოცხლი დო გამახარი,

20 წორო მილუდან ბინა.

ცირა — სი ჰქიმი რეკ დო
ვა—სქანი,

ძალ-ვაჟის სივარული

ვა.ჟი — შენ სად მიხვალ
ლამაზო გოგოვ,
შე მაზაკვარო, თვალუჟუუნა,
კოპწიაობ, ინაზები,
ოხ, შენი წახდომა ლამაზო
ცირავე!

5 ცირა — შენ რას დაეძებ
კოტა ბიკო,
ბულბულს მიუცია ენა
(შენთვის),

დედასთან მომწყინდა და
სხვაგან მინდა აწ ყოფნა....
ვა.ჟი — ცოტა ხანს მოიცადე,

10 თაფლ-შაქარი შენს ენას,
